საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№9 (433)
14 - 20 მარტი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად, სჯობს, დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს ხელფასები შეუმცირდეთ

14

## საქართველოს ფასადური რესპუბლიკა

2





„მიშიზმის“ ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ზედაპირულობაა — ის მხოლოდ გარეკანს ხედავს, ხოლო ანალიზზე უარს ამბობს. იგივე შეიძლება ითქვას „ბიძინიზმზეც“, რომლის მთავარი სიმბოლო ე.წ. შუშის სასახლეა. ის, ერთი შეხედვით, გამჭვირვალეა, მაგრამ არავინ იცის, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება მის შიგნით

## «ეი, ნატო, სად ხარ?»



**რეჯეფ თაიფ ერდოღანი:**

„ნატოს წევრმა თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონებში გაგზავნა, როდესაც მას ეს სთხოვეს, მაგრამ სანაცვლოდ თურქეთს მხარდაჭერა არ მიუღია. ნატოს წევრი ქვეყნები თურქეთს მხარს არ უჭერენ „ზეთისხილის ტოტის“ ოპერაციის ფარგლებში; მეტიც, ანკარის ქმედებებს სირიაში ეწინააღმდეგებიან. ეი, ნატო, სად ხარ? ჩვენ ამდენს ვიბრძვით, ნუთუ თურქეთი ნატოს წევრი არ არის? სად ხარ?“

7

## ნატოს იმედი თურქებს არ აქვთ და გურჯებს რა გვრჯის?!

## «ისტორიულმა მეგობარმა» თურქეთმა პომპეზურად აღნიშნა «ქართველი ოკუპანტებისგან» ართვინის გათავისუფლება

17

## მაკულატურა, რომელიც სულ უფრო გვაშორებს სოხუმსა და ცხინვალს

6





## საპრეზიდენტო არჩევნები — ლაკმუსის ქაღალდი, რომელზეც ნათლად გამოჩნდება, რომელი პარტიები მისტირიან სააკაშვილის რეჟიმს, რომელსაც ვითომ ხმალამოღებული ებრძოდნენ

10

## ღამის ეკონომიკა და ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა

8






დედაქალაქის ნოვატორი მერი მალე სრულიად გამაოგნებელ ინოვაციურ სვლებსაც შემოგვთავაზებს და თბილისში მალე დაიწყებს აყვავებას ჯერარგაგონილი და არნახული „გარიჟრაჟის ეკონომიკა“. უკვე დაწყებულია მუშაობა ასევე „შებინდების ეკონომიკის“ საფუძვლის ჩასაყრელადაც

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სააკაშვილის რეჟიმი დაფიქრდა იმაზე, როგორ მოეხიბლა ამომრჩეველი, მალევე მიხვდა, რომ მას, უპირველესად, აინტერესებს გარეკანი და არა შიგთავსი, ფასადები და არა საყრდენი კედლები. როდესაც რეჟიმის ჩამოშლის პროცესი დაიწყო, მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია „ფასადურმა პოლიტიკამაც" განიცადა. ბიძინა ივანიშვილი და მისი თანაგუნდელები 2012 წლის არჩევნების წინ ხშირად აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ მას, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ივანიშვილის მთავრობა იმავე გზით წავიდა.**

# საქართველოს ფასადური რესპუბლიკა

## თუ საზოგადოება «ფასადურ რესპუბლიკაში» ცხოვრებას თანხმდება, ის ვერაფერს შეცვლის

**9 მარტს ძლიერმა ქარმა ქვეყანა პანიკაში ჩააგდო. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით, რამდენად არასანდოა ინფრასტრუქტურა ჩვენ გარშემო და, შესაძლოა, რეალობაც, რომელშიც ვცხოვრობთ. ამ სტიქიურ მოვლენებს პოლიტიკური და ფილოსოფიური განზომილებაც ჰქონდა.**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10 მარტის მონაცემებით, ოპერატიული მართვის ცენტრში 24 საათის განმავლობაში, უამინდობის გამო, 400-ზე მეტი შეტყობინება შევიდა. სამაშველო ოპერაციებში ჩართული იყო 100-მდე მეხანძრე-მაშველი.

თბილისში, რუსთავში, ხაშურში, სურამში, თელავსა და გურჯაანში ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხეებისგან გზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა, შიდა ქართლში — წყლის ამოტუმბვა დატბორილი სახლებიდან და კობი-გუდაურის გზაზე კი — დიდთოვლობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. თბილისში დაზიანდა 54 საცხოვრებელი სახლის სახურავი, ქარმა 68 ხე მოგლიჯა; წაიქცა 7 გარე განათების ბოძი და 6 სარეკლამო ბანერი; წყობიდან გამოვიდა 43 ელექტროსადენი, დაზიანდა 6 ავტომანქანა; 5 შემთხვევაში ხე გაზის ცენტრალური მილს დაეცა. მაშველები თბილისში 166-ჯერ გამოიძახეს, ხოლო რეგიონებში 88-ჯერ.

სახიფათო სიტუაცია შეიქმნა ალმაშენებლის ხეივანში, სადაც ერთ-ერთი შენობის მე-13 და მე-14 სართულებიდან მინები ჩამოვარდა. მაშველებმა იქ ვიტრაჟების დემონტაჟი განახორციელეს, რათა დარჩენილ მინებს საფრთხე არ შეექმნა ადამიანების სიცოცხლისთვის. ამ ეპიზოდმა შეიძლება გაგვახსენოს 28 თებერვლის უბედური შემთხვევა, რიდესაც ბარათაშვილის ქუჩაზე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობიდან 2008 წელს დამონტაჟებული მინის კონსტრუქციის ნაწილი ჩამოვარდა, რის გამოც დაიღუპა 14 წლის მოზარდი და დაშავდა მისი ხუთი თანაკლასელი. არადა, ასეთი ძლიერი ქარი იმ დღეს არ ყოფილა.

ცხადია, სტიქიამ შეიძლება ყველა ქვეყანას შეუტიოს, მათ შორის ისეთს, სადაც მკაცრი სამშენებლო ნორმები 100%-ით დაცულია, და დიდი უბედურება გამოიწვიოს. მაგრამ 9 მარტს, ალბათ, თითოეულმა ჩვენგანმა იგრძნო, რომ საზოგადოება ძალზე შეშინებულია - ეს იგრძნობოდა სატელეფონო თუ „ჩვეულებრივ" საუბრებში, სოცქსელებში სტიქიასთან დაკავშირებული ამბების ერთობ ნევროტიზებულ გაზიარება-კომენტირებაში და, საბოლოო ჯამში, უბედურების დაძაბულ მოლოდინში. **უხარისხო სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებმა და მათთან დაკავშირებულმა უამრავმა უბედურმა შემთხვევამ მოსახლეობაში გააჩინა განცდა, რომ სტიქიის ნებისმიერი შემოტევა შეიძლება კატასტროფით დასრულდეს, როგორც 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობა, რომელსაც 19 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.**

ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ საზოგადოება საყვედურობს ხელისუფლებას იმის გამო, რომ მას მხოლოდ ფასადები აინტერესებს და თითქმის არ ფიქრობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, მაგრამ „უჩინარ" ინფრასტრუქტურაზე, იქნება ეს სანიაღვრე კოლექტორები, ძველისძველი მილები ან ელექტროგაყვანილობა, დაბზარული საყრდენი კედლები და ა.შ. მაგალითად, მეტროში უამრავი აღჭურვილობაა, რომლებიც ბრეჟნევის პერიოდიდან არ განახლებულა, სპეციალისტები ამასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე მუდამ საუბრობენ, მაგრამ ხელისუფლება ფულს მაინც კოსმეტიკურ ცვლილებებზე ხარჯავს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია შეკიდული ჭერი მეტრო „ვარკეთილში", რომლის ჩამოვარდნის შედეგად 14 ადამიანი დაშავდა. მისი დამონტაჟების აუცილებლობა საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ხელისუფლება შეიძლება სულელი და არაკომპეტენტური იყოს, მაგრამ, საკუთარ იმიჯსა და პიარზე ზრუნვიდან გამომდინარე, განსაკუთრებით არჩევნების წინ, აკეთებს სწორედ იმას, რაც ამომრჩევლებს მოსწონს. თუ ის დააფიქსირებდა, რომ მისგან მეტროს შიდა, „უჩინარი" ინფრასტრუქტურის ან, მაგალითად, სანიაღვრე კოლექტორების მოწესრიგებას მოითხოვენ, სავარაუდოდ, სწორედ ამას გააკეთებდა, მაგრამ მან კარგად იცის, რომ საზოგადოებას, უპირველესად, ბრჭყვიალა გარეკანი აინტერესებს და არა სისტემის სტაბილურობა და სიმყარე.

ფასადების განახლება სააკაშვილის მმართველობის წლებში, რომლის ერთ-ერთ ეტაპზე „სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობაც შეალამაზეს, სწორედ ამ ზედაპირული დამოკიდებულების ნიადაგზე აღმოცენდა. გაჩნდა ტერმინები: „ფასადური დემოკრატია" და „ფასადური აზროვნებაც" კი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს მხოლოდ ხელისუფლებას უკავშირებდნენ, მაშინ, როდესაც ის დამახასიათებელია მთელი სოციუმისთვის — **საქართველო ბოლო წლებში ძალზე ზედაპირული გახდა**.

ჩვენ, როგორც წესი, ყველა უბედურებას სამოქალაქო ომსა და თანმდევ არეულობას ვუკავშირებთ, მაგრამ ზედაპირულობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულებში შეინიშნებოდა. ჩვენ, შესაძლოა, ვერ დავიჭირეთ მომენტი, როდესაც „ცნობადი სახის", შოუმენის, სპორტსმენისა თუ მსახიობის სიტყვა საზოგადოებისთვის გაცილებით ღირებული გახდა, ვიდრე, მაგალითად, აკადემიკოსის მოსაზრება. წიგნები და ფილმები იმ პერიოდში, ერთი შეხედვით, იმავე მხატვრული ხერხების ერთობლიობას ეფუძნებოდა, მაგრამ განუხრელად კარგავდა სიღრმეს, რაღაც მომენტში კი ღირებულებები ცარიელი სიტყვების კოლექციად გადაიქცა. შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირების ველურობა და სისასტიკე სწორედ ამ ზედაპირულობის შედეგი იყო. ის ზნეობრივი და ინტელექტუალური დეგრადაციის ნაყოფს წარმოადგენდა, რომელიც არეულობის პერიოდის შემდეგ ნათლად გამოვლინდა კულტურულ-ცივილიზაციური ეროზიის პროცესში. **როდესაც სააკაშვილის რეჟიმი დაფიქრდა იმაზე, როგორ მოეხიბლა ამომრჩეველი, მალევე მიხვდა, რომ მას, უპირველესად, აინტერესებს გარეკანი და არა შიგთავსი, ფასადები და არა საყრდენი კედლები.**

**როდესაც რეჟიმის ჩამოშლის პროცესი დაიწყო, მნიშვნელოვანი დისკრედიტაცია „ფასადურმა პოლიტიკამაც" განიცადა. ბიძინა ივანიშვილი და მისი თანაგუნდელები 2012 წლის არჩევნების წინ ხშირად აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ მას, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ივანიშვილის მთავრობა იმავე გზით წავიდა**. 2016-17 წლების საარჩევნო კამპანიების ქვაკუთხედს სწორედ „ფასადური პოლიტიკა" წარმოადგენდა (სხვათა შორის, ის შეკიდული ჭერი მეტროსადგურ „ვარკეთილში", აგრეთვე, „წინასაარჩევნო" იყო).

პოლ გოგენის სამ ლეგენდარულ კითხვას: „საიდან მოვედით? ვინ ვართ? საით მივდივართ?" საქართველოში ემატება მეოთხე — „როგორ გამოვიყურებით?" და ის უდავოდ მთავარ ადგილს იკავებს. დანარჩენ სამს მხოლოდ ეპიზოდურად ვიხსენებთ, მაგალითად, მორიგი ზედაპირული სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს. როგორც წესი, აქცენტი დიად, მნიშვნელოვანწილად მითოლოგიზებულ წარსულზე კეთდება, აგრეთვე, ნათელ მომავალზე, მაგრამ კითხვას „ვინ ვართ?" გვერდს ვუვლით, როგორც ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს. არადა, **ვინ ვართ სინამდვილეში, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნეში იმ ქალაქის შუაგულში, რომელსაც პრეტენზია აქვს არა უბრალოდ ცივილიზებულად, არამედ ევროპულად იწოდებოდეს, ძლიერი წვიმის შედეგად 19 ადამიანი იღუპება და სადაც შემინული ფასადი შეთავსებით გილიოტინის როლს ასრულებს?**

„ფასადური პოლიტიკა" არსებითად ანტიჰუმანურია — ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქუთაისში, პარლამენტის ახალ ფუტურისტულ შენობაში, ჟანგბადის უკმარისობის გამო თანამშრომლები ცუდად ხდებიან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ათვლის წერტილი ამ შემთხვევაში არ იყო ადამიანი, მისი კომფორტი, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, არამედ — ვიზუალური ეფექტი, რომელიც ამ შენობას უნდა მოეხდინა, ვენტილაცია, როგორც ჩანს, არავის გახსენებია. ამ ტერიტორიაზე 2009 წლის 19 დეკემბერს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაქირავებულმა „სპეციალისტებმა" მეორე მსოფლიო ომის მემორიალი ააფეთქეს და ამას 11 წლის გოგონასა და მისი დედის სიცოცხლე შეეწირა. ალბათ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კაცთმოძულე რეჟიმის მთავარ შენობას, მის „ვიტრინას", ასეთი ანტიჰუმანური წარსული და აწმყო აქვს.



პრეზიდენტის სასახლე



ივანიშვილის სასახლე

ერთ-ერთ ყველაზე საზარელ, არქიტექტურის სივრცეში გაშლილ მეტაფორას პოლიციის გამჭვირვალე შენობები წარმოადგენს. ფასადური გამჭვირვალობა ნიღბავდა ნამდვილ ჯოჯოხეთს სისტემის შიგნით, მაგრამ მოქალაქეების ნაწილს არა მხოლოდ არ სურდა, გაეგო, რა ხდებოდა სიღრმეში, არამედ ამის დანახვის უნარიც არ ჰქონდა, უკიდურესად ზედაპირული აზროვნების გამო. **„მიშიზმის" ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ზედაპირულობაა — ის მხოლოდ გარეკანს ხედავს, ხოლო ანალიზზე უარს ამბობს. იგივე შეიძლება ითქვას „ბიძინიზმზეც", რომლის მთავარი სიმბოლო ე.წ. „შუშის სასახლეა". ის, ერთი შეხედვით, გამჭვირვალეა, მაგრამ არავინ იცის, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება მის შიგნით. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ამის გაგება არ სურს და მშვიდად ეგუება უცნაური ოლიგარქიულ-კრიპტოკრატიული სისტემის არსებობას, რომელსაც უახლეს ისტორიაში ანალოგი არ აქვს** (სხვათა შორის, ძველშიც ძნელი მოსაძებნია).

**«მიშიზმის» ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ზედაპირულობაა — ის მხოლოდ გარეკანს ხედავს, ხოლო ანალიზზე უარს ამბობს. იგივე შეიძლება ითქვას «ბიძინიზმზეც», რომლის მთავარი სიმბოლო ე.წ. შუშის სასახლეა. ის, ერთი შეხედვით, გამჭვირვალეა, მაგრამ არავინ იცის, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება მის შიგნით. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ამის გაგება არ სურს და მშვიდად ეგუება უცნაური ოლიგარქიულ-კრიპტოკრატიული სისტემის არსებობას, რომელსაც უახლეს ისტორიაში ანალოგი არ აქვს**

შესაძლოა, სტიქიის შემოტევის ან პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდში საზოგადოებას, სხვა ყველაფერთან ერთად, ეშინია, რომ ფასადური საქართველო ჩამოიშლება და ის იხილავს თავის ქვეყანას ისეთს, როგორიც ის სინამდვილეში არის. სავარაუდოდ, ის გრძნობს, რომ ელიტის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეა და, ალბათ, სულისჩამდგმელიც კი; ცდილობს, გაექცეს ამ აზრს, ქვეცნობიერის ყველაზე ბნელ კუთხეში დამარხოს და საკუთარი თავი მსხვერპლად წარმოაჩინოს და არა დამნაშავედ. დრო გადის, არაფერი იცვლება ან რატომ უნდა შეიცვალოს, თუ ყველა დაინტერესებულმა მხარემ, სიმართლისა და კეთილსინდისიერების ხარჯზე, კომპრომისს მიაღწია?! თუ საზოგადოება „ფასადურ რესპუბლიკაში" ცხოვრებას თანხმდება, ის ვერაფერს შეცვლის.

**საააკაშვილი მიანიშნებს ბიძინა ივანიშვილს, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მზადაა, გააკეთოს იგივე, რაც 2016-ში, საპარლამენტო არჩევნების წინ, და „ბუას“ როლი შეასრულოს, ეს კი „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობას მისცემს, საპრეზიდენტო არჩევნები იოლად მოიგოს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი ამას არ იკადრებს, უნდა გაიხსენოს, რომ ის, როგორც ჩანს, აპირებდა, ფული უკრაინიდან გაქცეული ოლიგარქისგან, სერგეი კურჩენკოსგან აეღო.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მუშავ წამებულო!

**ხანმოკლე პაუზის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი კვლავ გააქტიურდა და მხარდამჭერებს საქართველოსა და უკრაინაში ამჟამად უკვე ჰოლანდიიდან მიმართა. მისი გავლენა შემოდგომაზე გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებზე, სავარაუდოდ, უფრო მოკრძალებული იქნება, ვიდრე 2016 წლის საპარლამენტოზე, მაგრამ გარკვეულ როლს ის მაინც შეასრულებს.**



კიევიდან გაძევების შემდეგ სააკაშვილი ცდილობს, აუდიტორიის ინტერესი შეინარჩუნოს. მას უკრაინაში შესვლა აუკრძალეს, ხოლო მისი მხარდამჭერების მცირერიცხოვანი საპროტესტო აქცია პოროშენკოს ხელისუფლებამ ისე დაშალა, რომ არ გამოუწვევია ანგარიშგასაწევი ძალების გაღიზიანება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მთლიანობაში, სააკაშვილის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ პოროშენკოს ცნობილი „მონანიების წერილი“ მისწერა, გართულდა — ე.წ. მიხომაიდანი ჩაიფუშა, რადგან მას სხვა ოპოზიციური პარტიები არ შეუერთდნენ, ხოლო თვით სააკაშვილის რეიტინგი დაეცა. როდესაც ინტერნეტგამოცემა „მედუზას“ კორესპონდენტი, რომელსაც სააკაშვილმა ვრცელი ინტერვიუ მისცა, ამ თემას შეეხო, სააკაშვილმა უპასუხა: „უკრაინულ პოლიტიკაში რეიტინგი არაფერს ნიშნავს“, ხოლო როდესაც ჟურნალისტმა თქვა: „თქვენ ამბობდით, რომ ქუჩაში ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვაო, საბოლოო ჯამში, რამდენიმე ათასი გამოვიდა“, რესპონდენტმა ყველა ვიდეოჩანაწერისა და ფოტოს საპირისპიროდ იმის მტკიცება დაიწყო, რომ ქუჩაში „მინიმუმ 50 ათასი“ გამოვიდა და ეს მხოლოდ კიევში, ხოლო ქვეყნის მასშტაბით — 100 ათასი.

ამ სახალისო არითმეტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — კომიკური ჰიპერბოლიზაცია ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომლის მეშვეობით სააკაშვილი აუდიტორიის დაინტერესებას ცდილობს. **მშვიდად, ლოგიკის ფარგლებში რომ ისაუბროს, ინტერესი მის მიმართ, ალბათ, საერთოდ გაქრება, რადგან არსებითად ის გაკოტრებული პოლიტიკოსია, რომელსაც, ხმაურის გარდა, აღარაფერი შეუძლია. უკრაინული ოდისეის ბოლო მონაკვეთმა ეს ნათლად დაადასტურა. სავარაუდოდ, ამიტომ ის თანახმაა, კლოუნის როლი შეასრულოს, ოღონდაც საზოგადოებამ მის მიმართ ინტერესი საბოლოოდ არ დაკარგოს.**

„მედუზასთვის“ მიცემული ინტერვიუს მონაკვეთი, რომელიც ქართულ სოცქსელებში ყველაზე სასაცილოდ ჩათვალეს, ასე ჟღერდა: „მინდა, იცოდეთ, რომ ჩემი მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარდა, შემდეგ ის თბილისის პირველი ვიცემერიც იყო, ახლა ამერიკაში მშენებლობაზე რიგით მუშად მოეწყო. კიდევ ერთი ჩვენი ყოფილი მინისტრი აშშ-ში სატვირთო ავტომობილის მძღოლად მუშაობს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ის საქართველოში დარჩა, შიმშილით ხომ არ მოკვდებოდა? თუ ეკონომიკა იცი, შეგიძლია ეკონომიკის ყოფილი მინისტრ ვერა ქობალიასავით მოეწყო, რომელიც ახლა ინდონეზიის მთავრობის მთავარი მრჩეველია. ყოფილმა პრემიერმა შექმნა რეფორმების სააგენტო და მთელ მსოფლიოში მოგზაურობს — აფრიკაში, ალბანეთში. მას ხელფასს ქართული რეფორმების გამოცდილების გაზიარებაში უხდიან“.

იხარე, მუშავ წამებულო!.. მშენებლობაზე დასაქმებულო... ორ ხსენებულ თანამდებობას სააკაშვილის მმართველობის წლებში კობა სუბელიანი იკავებდა. შემდეგ ფრაზაში მისი (აგრეთვე, იმ კრიპტომძღოლის) მდგომარეობის აღსაწერად „ნაცმოძრაობის“ ბელადმა გამოიყენა რუსული ზმნა „პერებივაიუტსია“, რომელიც, ჩვეულებრივ, გაჭირვებულ ცხოვრებასა და დროებით შემოსავალზე მიუთითებს. ყოფილი მინისტრები, როგორც წესი, გადადგომის შემდეგ კარიერას კონსალტინგის სფეროში აგრძელებენ. ზოგიერთი ბიზნესმენი ასეთ პირებს ასაქმებს იმისთვის, რომ საკუთარ ფირმას მეტი სოლიდურობა შესძინოს, ნაწილი ძველ საქმიანობას უბრუნდება (იურისტი, ექიმი და ა.შ.), ნაწილი ლექციებს კითხულობს და წიგნებს წერს, თუმცა, როგორც ჩანს (თუ წამით დავუშვებთ, რომ სააკაშვილი სიმართლეს ამბობს), ამ მინისტრებს ამისთვის კომპეტენცია არ ეყოთ.

რაც შეეხება ქალბატონ ვერა ქობალიას, მისი წარმატებების შესახებ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ბევრი რამ გვსმენია, მაგრამ მხოლოდ მისგან. არანაირი საბუთი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ის ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველია, არ მოიპოვება. თავის დროზე, როდესაც ის ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, ოპოზიციამ მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში აშკარა შეუსაბამობებზე მიუთითა და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის წარდგენა მოითხოვა. ამის გამო მცირე სკანდალიც კი დაიწყო, მაგრამ ქობალიას დიპლომის ასლი მაინც არ გამოუქვეყნებია. საბოლოო ჯამში, თავად ვერა ქობალიას პრობლემაა, აქვს თუ არა მას უმაღლესი განათლება, უბრალოდ, როდესაც ის ან მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ინდონეზიის მთავრობის მთავარი მრჩეველია, ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ჯაკარტას კლუბებში მაგიდებზე ცეკვავს, რაც ცნობილი ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად ეხერხება.

**მშვიდად, ლოგიკის ფარგლებში რომ ისაუბროს, ინტერესი მის მიმართ, ალბათ, საერთოდ გაქრება, რადგან არსებითად ის გაკოტრებული პოლიტიკოსია, რომელსაც, ხმაურის გარდა, აღარაფერი შეუძლია. უკრაინული ოდისეის ბოლო მონაკვეთმა ეს ნათლად დაადასტურა. სავარაუდოდ, ამიტომ ის თანახმაა, კლოუნის როლი შეასრულოს, ოღონდაც საზოგადოებამ მის მიმართ ინტერესი საბოლოოდ არ დაკარგოს**

საკუთარ თავზე საუბრისას სააკაშვილმა თქვა: „ბოსტონში ტაფტის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაში ვასწავლიდი. ჩემთვის იქ სპეციალურად გამოიგონეს სტატუსი „მსხვილი უცხოელი პოლიტიკური მოღვაწე“. ჩემს შემდეგ, მგონი, კოფი ანანი ჩამოიყვანეს ასეთივე თანამდებობაზე“. დოკუმენტი, რომელშიც ნახსენებია „მსხვილი უცხოელი პოლიტიკური მოღვაწე“, სააკაშვილს, ალბათ, არ აქვს (თორემ დაუყონებლივ გამოაქვეყნებდა). სამაგიეროდ, არსებობს იმ პერიოდის სააკაშვილის ამერიკული ვიზის ფოტო — 2015-ში თავის „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა. ის ნათლად მიუთითებს იმაზე, რა სტატუსით იმყოფებოდა შტატებში სააკაშვილი. ეს ვიზა „რ-1“ ტიპისაა, რომელიც, აშშ-ის „იმიგრაციის და მოქალაქეობის კანონის“ 110(ა)(15)(რ) პარაგრაფის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებში დროებით საფუძველზე მუშაობისთვის გაიცემა. ის, ვინც ამ ვიზას იღებს, აშშ-ის კანონმდებლობით შემდეგ კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს: „ეკუთვნოდეს კონფესიას, რომელიც აღიარებულია აშშ-ში, როგორც კეთილსინდისიერი არაკომერციული რელიგიური ორგანიზაცია“, აგრეთვე, იყოს ამ კონფესიის წევრი, მინიმუმ, ორი წლის განმავლობაში და აშშ-ის ტერიტორიაზე კვირაში არანაკლებ 20 საათისა რელიგიური საქმიანობით იყოს დაკავებული. მოკლედ, სააკაშვილი აშშ-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, როგორც რელიგიური მოღვაწე — მღვდელმსახური, ქურუმი ან კიდევ შამანი... მის მხარდამჭერებს კი სწყინთ, როდესაც „სექტას“ ეძახიან.

ძნელი სათქმელია, სად ატარებდა სააკაშვილი წირვებს, თუმცა, დიდი ალბათობით, რომელიმე ძველმა პარტნიორმა ვაშინგტონში ეს ვიზა, უბრალოდ, „გაუჩალიჩა“, რადგან სხვას, მისი სტატუსისთვის უფრო შესაფერისს, არ აძლევდნენ, და ტაფტის უნივერსიტეტშიც მოაწყო. შემდეგ კი ხელი შეუწყო მის გადასვლას უკრაინაში, სადაც სააკაშვილმა ჩააფლავა ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა.

„პირველივე კურსზე ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის უკრაინის სუკ-მა ჩამსვა“, — განაცხადა სააკაშვილმა. ცხადია, არც ამ ფაქტის დოკუმენტური მტკიცებულება არსებობს, თუმცა, აკრეფილი ტემპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შემდეგ ინტერვიუში ის მოყვება, როგორ გააციმბირეს. ის, აგრეთვე, შეეხო მოღვაწეობას ოდესაში და „მოქალაქეთა მომსახურების ცენტრს“ (ქართული „იუსტიციის სახლის“ ანალოგი) წარმატებული პროექტი უწოდა. სინამდვილეში, ის საბიუჯეტო თანხების მითვისების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა — სააკაშვილი ფართობის ერთ კვადრატულ მეტრს დაახლოებით 100 დოლარად ქირაობდა (პლუს ამას — დაახლოებით 6 ათასი საბიუჯეტო დოლარი იხარჯებოდა ერთი თანამშრომლის აღჭურვაზე ტანსაცმლითა და ავეჯით), რაც ოდესისთვის წარმოუდგენლად მაღალი ფასია. ფართობის მეპატრონეები სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენები იყვნენ, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ფონდთან „ოდესის საკეთილდღეოდ“. ის, დონბასის ომის ვეტერანებზე ზრუნვის საბაბით, ფულს აგროვებდა, სააკაშვილის სარეკლამო კამპანიასა და მისი გარემოცვის წევრების „გადაფრენებს“ აფინანსებდა და სარგებლობაში ძვირად ღირებული ავტომობილები გადასცა, რომელიც თითქოს სამართალდამცველებისთვის შეიძინა (ვრცლად ამ თემაზე, კონკრეტულ დოკუმენტებზე მითითებით, წერდა ინტერნეტგამოცემა დუმსკაია.ნეტ). ასე რომ, **სააკაშვილის საქმიანობა ოდესაში ერთი დიდი ბინძური კორუფციული საქმეა, რომლის ცალკეულ ეპიზოდებს სამართალდამცავები იძიებენ.** აქ ყველაფერი ცხადია და ამ თემაში ჩაღრმავება, ალბათ, არ ღირს.

ბოლო ინტერვიუებში სააკაშვილი გამუდმებით იმეორებს, რომ ძალიან უჭირს. ამავე დროს, მხარდამჭერებს გამამხნევებელი „რეჩებით“ მიმართავს: „უნდა დავბრუნდეთ ხელისუფლებაში უკვე 2018 წელს. როგორ უნდა განვახორციელოთ ეს? — ჩვენ უნდა მოვიგოთ საპრეზიდენტო არჩევნები და ამის ფონზე ჩამოვშალოთ ივანიშვილის მთავრობა“. გამორიცხული არაა, რომ ამ ორ თემას შორის ურთიერთკავშირი არსებობს და **სააკაშვილი მიანიშნებს ბიძინა ივანიშვილს, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მზადაა, გააკეთოს იგივე, რაც 2016-ში, საპარლამენტო არჩევნების წინ, და „ბუას“ როლი შეასრულოს, ეს კი „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობას მისცემს, საპრეზიდენტო არჩევნები იოლად მოიგოს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი ამას არ იკადრებს, უნდა გაიხსენოს, რომ ის, როგორც ჩანს, აპირებდა, ფული უკრაინიდან გაქცეული ოლიგარქისგან, სერგეი კურჩენკოსგან აეღო** (ექსპერტიზამ მათი სატელეფონო საუბრის ავთენტურობა დაადასტურა). თუ სააკაშვილი თავის იმიჯს გაუფრთხილდებოდა, ამას, სავარაუდოდ, არ გააკეთებდა. ამასთანავე, არ „ამოქაჩავდა“ ოდესის ბიუჯეტიდან ამდენ ფულს ესოდენ პრიმიტიული სქემების გამოყენებით და დაკმაყოფილდებოდა იმით, რაც საქართველოში „იშოვა“. ფულის მიმართ მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით არც ეს ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ და ის, ალბათ, „ქართული ოცნებისთვისაც“ საინტერესო იქნება. რაღაცაში ხომ უნდა გამოადგეს ეს „ნაცმოძრაობა“?!

**ლუკა ნემსაძე**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკის უშუალო მეზობელ რომელიმე ქვეყანას ასე ფეხებზე რომ დაეკიდებინა ამერიკის სახელმწიფო-სამხედრო ინტერესები და ისე დაეწყო ჯიუტობა, როგორც საქართველომ იჯიუტა ამ მხრივ რუსეთთან, ამერიკა იმ ქვეყანას გაცილებით უარესს დამართებდა, ვიდრე ჩვენ დაგვმართა რუსეთმა.**

# რა განსხვავებაა რუსეთისადმი წინა მთავრობისა და მოქმედი მთავრობის მიდგომებს შორის?




**ვინც ნატოს მომხრე იყო და ახლა წუწუნებს, როგორ უსამართლოდ მოგვექცა ჩვენი მტერი რუსეთიო, რას ელოდნენ რუსეთისგან, როგორ საქციელს? გვეტყოდა: მოდით, კაცო, დაიტოვეთ თქვენთვის სოხუმი, ცხინვალი, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ... აგერ მობრძანდით, ბატონო, ჯავის სიმაღლეებზე ნატოს რაკეტები განათავსეთ და დაგვიმიზნეთ პირდაპირ უკანალში; თუ გინდათ, კრასნოდარის ან სტავროპოლის მახრესაც დაგითმობთ, ოღონდ ქართველებმა ჩვენზე ცუდი რამ არ იფიქროთო?**

**რით განსხვავდება ვლადიმერ პუტინი ჯოტია ცაავასგან? ნუ მოგეჩვენებათ ეს მეტისმეტად არასერიოზულ შეკითხვად. ფაქტია, რომ ქართველი საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილს აშკარად საჭირდება ამ კითხვაზე პასუხი და ამ სტატიაში შევეცდებით, მათ ეს პასუხი რაც შეიძლება მარტივად, გასაგებად, „დალეჭილად“ გავცეთ. ვინც ჩვენი ასეთი ირონიული პათოსის გამო შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს, შეუძლია, სატატია არც წაიკითხოს. გეთანხმებით კიდეც — ნამდვილად შეურაცხმყოფელია და ჩვენც უხერხულობას განვიცდით, როდესაც „ჰომო საპიენსს“ ვუხსნით ასეთ უმარტივეს აქსიომებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ, ეს გავაკეთოთ.**

ბოლო ხანს დიდი მონდომებით ამკვიდრებენ ტრენდს — **„აგერ, ხომ ხედავთ, არანაირი შედეგი არ მოგვიტანა რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკამ. აღარ არის დრო, რომ რუსეთს უფრო მკაცრად და ხისტად მოვთხოვოთ პასუხი?“**

ეს ფრაზა, როგორც ჩანს, უკვე დამუშავდა ნაცებისა და კიდევ სხვა „ნატოისტების“, სამშობლოს თურქულ ფულზე გამყიდველი ჯგუფების კარგად ორგანიზებულ შეკრებებზე და ყველა სატელევიზიო კომენტარში ეს ადამიანები მკვეთრად და ხაზგასმით აღნიშნავენ და დაუსრულებლად იმეორებენ ამ ფრაზას: **„ხომ ხედავთ, რომ რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო?!“**

რას გულისხმობენ ისინი ამ ფრაზაში? ვინაიდან ამის მთქმელები, ძირითადად, წინა მთავრობის მეხოტბეები არიან, გამოდის, ისინი მიიჩნევენ, რომ წინა მთავრობა რუსეთს აღიზიანებდა, ეს მთავრობა კი აღარ აღიზიანებს, ანუ „არგაღიზიანების პოლიტიკას“ ეწევაო.

არადა, მარტივი დაკვირვებაც საკმარისია პასუხის გასაცემად შეკითხვაზე: **რა განსხვავებაა რუსეთისადმი წინა მთავრობისა და მოქმედი მთავრობის მიდგომებს შორის? — დიდი არაფერი.**

**წინა მთავრობა აქტიურად გაჰყვიროდა: „ლილიპუტინი!“, „რუსები — ღორები!“, „კრემლის დედაც!“ და ა.შ., მოქმედი მთავრობა კი, უბრალოდ, ასეთ უკულტურო და უზრდელურ განცხადებებს აღარ აკეთებს. სულ ეგაა!**

გამოდის, „რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა“ არის ის, როდესაც რუსეთს დედას არ ვაგინებთ? დანარჩენი **რაც უნდა ვქნათ და მოვიმოქმედოთ, მთავარია, არ შევაგინოთ, უხამსი სიტყვა არ ვაკადროთ და რუსეთი აღარ გაღიზიანდება?**

აი, ამიტომაც აღვნიშნე სათაურში: რუსეთი ზოგს ჯოტია ცაავა ჰგონია-მეთქი. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი და ბატონი **პუტინი** მაშინ ღიზიანდებიან, თუ მათ „ხუილოს“ დავუძახებთ. არავის ეწყინოს და, მართლა რა „ბირჟის ბიჭების“ აზროვნებაა ეს?! **ვლადიმერ პუტინი უბანში მობირჟავე პატარა ბიჭივით იმაზე ღიზიანდება თურმე, თუ აქედან ვიღაც გიგა ნასარიძის მსგავსი ტუტუცი შეაგინებს?**

მართლა მეუხერხულება „ჰომო საპიენსებისთვის“ ასეთი მარტივი პოსტულატის ახსნა, რომ **რუსეთის გაღიზიანებას იწვევს ჩვენი დეკლარირებული, პირდაპირი და უპირობო სწრაფვა იმ სამხედრო ალიანსისკენ, რომელიც მას თავის მტრად მიაჩნია; პუტინის გაღიზიანებას იწვევს ნატოს სამხედრო წვრთნები კავკასიის რეგიონში; კრემლი ღიზიანდება მაშინ, როდესაც საქართველოში ჩამოდის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დელეგაცია საქართველოს ტერიტორიაზე სარაკეტო სისტემების განლაგებაზე მოსალაპარაკებლად და არა ვიღაც ტუტუცის ძველბიჭური ლანძღვა გინების გამო პუტინის, რუსეთის თუ კრემლის მისამართით!**

**პუტინს სულაც არ სჭირდება ვინმე „დურუ ხუნჭუა“ იმისთვის, რომ გესროლოს, ოღონდ ქვა კი არა, რაკეტა(!). რუსეთის დევიზი არ არის „შემაგინე და გესვრი“. რუსეთი მაშინ გესვრის, თუ შენ მის საზიანო, მისთვის საფრთხის შემქმნელ საგარეო პოლიტიკას განაგძობ.**

ჰოდა, რომ აგიჩემებიათ: რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკამ შედეგები არ მოგვცაო, აბა, მიპასუხეთ: როდის გაგვიატრებია ჩვენ, საქართველოს, ბოლო 30 წლის განმავლობაში რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა?

**ზვიად გამსახურდიამ** ჩეჩნეთი დამოუკიდებლ ქვეყნად ცნო და თბილისში ჩეჩნეთის წარმომადგენლობა გახსნა, ანუ, საერთაშორისო სამართლით, რუსეთის ფედერაციის საშინაო კონფლიქტში უხეშად ჩაერია. **შევარდნაძის** დროს უკვე ოფიციალურად და შეუქცევადად გამოვაცხადეთ კურსი ნატოსკენ; სააკაშვილის პერიოდში რაც ხდებოდა, ყველამ ვიცით და აგერ, ბიძინას დროს, მართალია, მთავრობამ კი თქვა: ჩვენ რუსეთის გაღიზიანებას არ განვაგრძობთო, მაგრამ ეს, როგორც უკვე ვთქვით, „ბირჟავიკულად“ პუტინის შეუგინებლობაში აისახა მხოლოდ, რეალურად კი საქართველოს სახელმწიფომ არაერთი ისეთი ნაბიჯი გადადგა, როგორიც აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთის გაღიზიანებას.

გთხოვთ, ნურავინ დაიწყებს ახლა დემაგოგიას: აბა, რუსეთს კუდი უნდა ვუქიციონოთო?

აქ ამაზე არ არის საუბარი და, კუდი უნდა ვუქიცინოთ თუ თითის წვერებზე ვიაროთ, ეს სხვა თემაა. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ფრაზა, თითქოს ჩვენ რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას ვადგავართ, უკვე 6 წელია, სრული ტყუილია; ისევე, როგორც ტყუილია ნაციონალთა „ცნობილი სახეების“ განცხადება იმის თაობაზე, თითქოს 1993 წელს საქართველო „ესენგეში“ შევიდა, რადგან რუსეთი ამის სანაცვლოდ სოხუმის შენარჩუნებას გვპირდებოდა. სინამდვილეში მართლაც განგვიცხადეს რუსებმა: თუკი „ესენგეში“ შემოხვალთ, ჩვენ აფხაზებზე ზეგავლენას მოვახდენთ და სოხუმს შეგანარჩუნებინებთ, თუ არა, სოხუმის დაკარგვა გარდაუვალიაო. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე** გამოვიდა კიდეც ტელეეთერში და პირდაპირ მოგვიწოდა საქართველოს მოსახლეობას, გაგვეაზრებინა საფრთხე და თანხმობა გვეთქვა „ესენგეში“ შესვლაზე. მახსოვს შევარდნაძის სიტყვებიც: „ყოჩაღ, ვახტანგ, მე ამას ვერ გავბედავდი!“ შევარდნაძე ამ სიტყვებში გულისხმობდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მაშინდელ აღგზნებულ განწყობას, რომლის მიხედვით, ყველა, ვინც „ესენგეში“ შესვლაზე რამეს იტყოდა, ერის მოღალატედ ცხადდებოდა. საქართველომ იმხანად კატეგორიული უარი განაცხადა „ესენგეში“ შესვლაზე, არადა, იქ შესვლა, თუ კარგს არა, ცუდს ნამდვლად არაფერს მოგვიტანდა. ჩვენი ასეთი სრულიად უაზრო სიჯიუტის გამო დავკარგეთ სოხუმი. დიახ, უკვე სოხუმი, ფაქტობრივად, დაცემული იყო, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ დარეკა მოსკოვში და უთხრა: „შემოვდივართ ესენგეში! გთხოვთ, შეაჩეროთ სოხუმზე შტურმი!“ ცნობილია პასუხიც: **„უჟე პოზდნო!“**

გაინტერესებთ რეალური მიზეზი, რატომ შევიდა მოგვიანებით საქართველო „ესენგეში“? იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი შეიარაღებული ძალები სამტრედიამდე მოვიდნენ. აი, ამის გამო შევარდნაძე უკვე კი არ დათანხმდა, არამედ იქით ეხვეწებოდა რუსეთს, „ესენგეში“ შემოვალთო და რუსეთისგან მიიღო კიდეც გენერალი **ბალტინის** რუსული ბატალიონების დახმარება დასავლეთ საქართველოდან კანონიერი პრეზიდენტის საჯარისო ფორმირებების განსადევნად.

შედეგი — **საქართველო მაინც შევიდა „ესენგეში“, ოღონდ სოხუმი დაკარგა.**

აქედან რაიმე გაკვეთილი მივიღეთ? — რა თქმა უნდა, არა! ჩვენთვის ხომ პატრიოტიზმი გულზე მუშტების ბრაგუნი და „ჩექმების არალოკვისკენ“ „ვაჟკაცური“ მოწოდებებია, შედეგებზე კი პასუხს არც არავინ აგებს.

საინტერესოა ის მოსაზრებაც, რომელიც ასევე ერთგვარ „პოლიტიკურ ტრენდად“ მკვიდრდება ჩვენში — **აფხაზებთან და ოსებთან შერიგება ხელს სულაც არ უშლის საქართველოს ნატოსკენ სწრაფვაში და ნატო არ შეიძლება ჩაითვალოს ხელის შემშლელ ფაქტორად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშიო.**

უკაცრავად, მაგრამ **ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, ანუ ვინც ახლა იქ ფაქტობრივად და იურიდიულად ცხოვრობს (საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე გამოქცეული დევნილების გარდა), პირდაპირ და დაუფარავად აცხადებს, რომ არ სურს რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა. ეს ხალხი ნატოსა და ამერიკას მიიჩნევს მტრად; არ სურს ამერიკული „ქოლგის“ ქვეშ ცხოვრება და მისთვის რუსეთია მისაღები.**

და შენ რას ეუბნები? მოდი, შემირიგდი და თანაც — მე მივდივარ ნატოში, ანუ იქ, სადაც შენ არ გინდაო? სად არის აქ ლოგიკა? ამ ადამიანებს ძალით მივათრევთ იქ, სადაც მათ არ სურთ?

მსმენია მესამე დემაგოგიური პოლიტიკური „ტრენდიც“: **„აბა, რუსეთს ამართლებ?!“**

აქაც უხერხულია „ჰომო საპიენსებისთვის“ იმის ახსნა, რომ გლობალური პოლიტიკური საკითხების გადაჭრისას მტყუან-მართლაზე ლაპარაკი, უბრალოდ, სასაცილოა. აქ საუბარია სამხედრო თვალსაზრისით ზესახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებზე და არა იმაზე, სამართლიანად იქცევიან ისინი თუ უსამართლოდ.

ჩვენ მათთან ურთიერთობის ფორმები და მიღებული ზიანის მინიმუმი უნდა განვსაზღვროთ და არა ის, რომელი უფრო „კეთილი ბიჭია“ — რუსეთი თუ ამერიკა.

მერწმუნეთ, **ამერიკის უშუალო მეზობელ რომელიმე ქვეყანას ასე ფეხებზე რომ დაეკიდებინა ამერიკის სახელმწიფო-სამხედრო ინტერესები და ისე დაეწყო ჯიუტობა, როგორც საქართველომ იჯიუტა ამ მხრივ რუსეთთან, ამერიკა იმ ქვეყანას გაცილებით უარესს დამართებდა, ვიდრე ჩვენ დაგვმართა რუსეთმა.**

მაინტერსებს, იმთავითვე **ვინც ნატოს მომხრე იყო და ახლა წუწუნებს, როგორ უსამართლოდ მოგვექცა ჩვენი მტერი რუსეთიო, რას ელოდნენ რუსეთისგან, როგორ საქციელს? გვეტყოდა: მოდით, კაცო, დაიტოვეთ თქვენთვის სოხუმი, ცხინვალი, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ, მიიღეთ ჩვენ მიერ აშენებული გუდაუთის სპეციალიზებული სამხედრო ბაზა, ჩაბრძანდით ეშერის სამხედრო ლაბორატორიის სარდაფებში, ნახეთ ყველა ჩვენი საიდუმლო დოკუმენტი, აგერ მობრძანდით, ბატონო, ჯავის სიმაღლეებზე ნატოს რაკეტები განათავსეთ და დაგვიმიზნეთ; თუ გინდათ, კრასნოდარის ან სტავროპოლის მხარესაც დაგითმობთ, ოღონდ კი ქართველებმა ჩვენზე ცუდი რამ არ იფიქროთო?**

ჰო. და კიდევ, რაც მთავარია: „ხუილო“ არ დაგვიძახოთ, თორემ გავღიზიანდებით, დედა არ შეგვაგინოთ და კიდევ ჩვენს კეთილებს არ შეეხოთ ცუდად, თორემ სხვამ რამ უნდა გაგვაღიზიანოსო?!

თუმცა, კიდევ არა უშავს იმას, ვის რა ეგონა 1990-იანებში... მთავარი პრობლემა არის ის, რომ, როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოების ნაწილს, განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს ბედი აბარია, ეს ყოველივე დღესაც ასე ჰგონია.

**„ჩვენი პოლიტიკური ძალების უმრავლესობა ფინანსდება და იკვებება დასავლეთის სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ, ამერიკის საელჩოს მიერ. შესაბამისად, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფოებრივ ინტერესს, მათთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რას ჩასძახებენ ამერიკის საელჩოდან“.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრემიერი რუსეთს დიალოგისკენ მოუწოდებს, პრეზიდენტი კი ნატოს სამიტისთვის ემზადება

**9 მარტს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთის ხელისუფლებას მედიით მიმართა და ორ ქვეყანას შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად (თუნდაც ნაწილობრივ) გარკვეული ნაბიჯების გადადგმა შესთავაზა. მიმართვაში ნათქვამია, რომ 2008 წლის ომიდან ათი წლის გასვლის შემდეგ სახელმწიფოთა წინაშე არჩევანი ისევ დიალოგსა და კონფრონტაციას შორის დგას; კვირიკაშვილის განცხადებით, არსებული რთული რეალობის ფონზე, კონფლიქტის ზონასთან ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი კვლავ გრძელდება, რაც ძირს უთხრის, როგორც რუსულ-ქართული, ისე ქართულ-ოსური და აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოგვარების პერსპექტივას.**

**„სამწუხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინეთ, მაგრამ ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო ტრაგიკული მაგალითია ორი კვირის წინათ ცხინვალში გაურკვეველ ვითარებაში ჩვენი მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის, სიკვდილი, რომლის ცხედრის გადმოცემაც კი, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატრიარქისა და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მცდელობისა, აქამდე ვერ მოხერხდა ოჯახისთვის“...**

**პრემიერი თავის მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისი მზად არის აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისთვის. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით მისასალმებელი იქნებოდა რუსეთის კონსტრუქციული მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას და მხარეებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმართვას...**

პრემიერის მიმართვის პარალელურად მმართველი გუნდის მოქმედმა თუ ყოფილმა წარმომადგენლებმა ყურადღება რუსეთის მხრიდან მომდინარე სამხედრო აგრესიის საფრთხეებზე გაამახვილეს და პრემიერის განცხადება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის წინდახედულ ნაბიჯად შეაფასეს.

კონფრონტაციასა და დაპირისპირების შემდგომი ესკალაციის საფრთხეზე მიანიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ვიცესპიკერმა **გია ვოლსკიმაც.** მისი განმარტებით, საქართველოს დღეს რუსეთთან ურთიერთობის მხოლოდ ორი გზა რჩება: შეიარაღებული დაპირისპირება ან მოლაპარაკებების გარკვეული ფორმატის შექმნა. მეტიც, ვოლსკის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარება კვლავ „ფეთქებადსაშიში ხდება და **გიგა ოთხოზორიასა** და **არჩილ ტატუნაშვილის** მკვლელობები ერთ-ერთი დამამძიმებელი ფაქტია“...

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** საქართველოსთან პირდაპირი მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა 2014 წელს, სოჭის ოლიმპიადის მიმდინარეობისას, გამოთქვა, მაგრამ საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი მაშინ ამას დასავლელ პარტნიორებთან კონსულტაციის გარეშე შეუძლებლად მიიჩევდა. შემდეგ იყო განცხადებები, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის პირობებში არანაირ მოლაპარაკებას აზრი არ აქვს, რომ პირდაპირი დიალოგის მცდელობა საქართველოსთვის რუსულ ოკუპაციასთან პირისპირ დარჩენას ნიშნავს და ა.შ. ყოველივემ შექმნა იმის საფუძველი, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა აბაშიძე-კარასინის შეხვედრებს ვერ გასცდა. ჩიხში შესული პოლიტიკური დაძაბულობა შენარჩუნდა, თუმცა, პარალელურად, დასავლეთი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ განაგრძობდა საქართველოსთვის იარაღის მიწოდების თაობაზე პროვოკაციული განცხადებების გაკეთებას; ბოლოო ასეთი პროვოკაციული ნაბიჯი (და არა განცხადება) „ჯაველინების“ შემოტანაა. ძვირად ღირებული ტანკსაწინააღმდეგო სისტემით ჩვენი სამხედრო ძალების შეიარაღება აშკარად იყო ტრამპის ანტირუსული მილიტარისტული კამპანიის ნაწილი. შემდეგ ამას მოჰყვა **ლუკ კოფის** ხმაურიანი განცხადებაც, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშეც შეიძლება გახდეს ნატოს წევრი. მოკლედ, ცხადია, რომ რეგიონში რუსეთის ინტერესების უგულებელყოფის მცდელობა და ამით პოლიტიკური წონასწორობიდან მისი გამოყვანა, დიდი ალბათობით, რეგიონში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ანუ დასავლეთმა, საქართველოს ხელისუფლების პირით, დღის წესრიგში მოსალოდნელი სამხედრო ესკალაციის საკითხის დაყენება დაიწყო...

რა საფრთხეები იკვეთება დღეს საქართველო-რუსეთის ისედაც დაძაბულ ურთიერთობაში, რა ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი და ადეკვატურად იქცევა თუ არა ხელისუფლება? ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ესაუბრნენ.

## «მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვართ, მხოლოდ «ნაციონალური მოძრაობის» წისქვილზე ასხამს წყალს»



### „1 მარტის შემდეგ, როცა პუტინმა განაცხადა, რომ მას აქვს იარაღი, რომელიც თვისობრივად განსხვავებულია, ყველაფერი შეიცვალა“

**ზაზა შათირიშვილი,**
**ფილოსოფოსი:**

— დღეს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობაში არის ორი გზა: ან დაპირისპირება და ომი, ან მოლაპარაკებები, მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით მესამე მდგომარეობაში, როცა მხარეებს შორის არც შეიარაღებული დაპირისპირებაა და არც დიალოგი. ეს არის ვითარება, რომელსაც ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი **ვერნერ ჰაიზენბერგი** უწოდებდა განუსაზღვრელობის მდგომარეობას, ანუ, მარტივ ენაზე რომ ავხსნათ, ათი წლის განმავლობაში ჩვენ ვიმყოფებით ჩიხში. სამწუხაროდ, **ამ ჩიხს დღეს ძალიან უწყობს ხელს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოღებული სტერეოტიპები, რომ რუსეთს არ უნდა ველაპარაკოთ, და ვინც ელაპარაკება — კრემლის აგენტია.** სწორედ ამ სტერეოტიპების ტყვეობაშია დღეს ჩვენი პოლიტელიტა და, არა მხოლოდ ელიტა, პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილიც...

**— ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რომელი გზაა ხელსაყრელი საქართველოსთვის: დიალოგისა და მოლაპარაკებების თუ დაპირისპირების?**

— ამაზე უნდა იყოს კონსენსუსი საზოგადოებაში. არის ჩეჩნეთის გზა, არის ფინეთის გზა. სხვა არ არსებობს და ამაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ. ყოველ შემთხვევაში, **მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვართ, ჩვენ ხელს არ გვაძლევს, ეს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს,** რათა მუდმივად ჰქონდეს არგუმენტი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ამ დგომარეობით „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნის პოლიტიკურ დღის წესრიგს და ადგენს თამაშის წესებს: ვინ ვის უნდა ელაპარაკოს, ვის — არა; ვისთან დიალოგის შემთხვევაში ხარ დადებითი ძალა და ვისთან — უარყოფითი...

**— ბოლო პერიოდში ამერიკელი მაღალჩინოსნებისგან ხშირად ისმის განცხადებები საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდებაზე, რაც რუსეთს აღიზიანებს. მაგალითად, მცირე ხნის წინათ „ჯაველინები“ შემოიტანეს. ამასთანავე, ლუკ კოფიმ განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შეიძლება საქართველოს ნატოში მიღების განხილვა... ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ გარე ძალებს რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ ერთი შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება სურთ?**

— თქვენს შეკითხვაშივე დევს პასუხი, თუმცა, მოგეხსენებათ, ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ვერ შეხვალ. თუ რამე იგეგმება, ეს განზრახვა უკვე სხვა რაღაცას ემსახურება და გათვლა არ შეიძლება, ზუსტად იგივე იყოს, რაც ათი წლის წინათ, ვინაიდან ჩვენ ახლა ვართ სულ სხვა პოლიტიკურ და, არამხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ისტორიულ ვითარებაშიც. **1 მარტის შემდეგ, როცა პუტინმა განაცხადა, რომ მას აქვს იარაღი, რომელიც თვისობრივად განსხვავებულია, ყველაფერი შეიცვალა და, თუნდაც ბლეფი იყოს ეს განცხადება, თავისთავად უკვე ახალი მოცემულობაა.** ახლა ძალიან რთულია თქმა, კონკრეტულად რა შეიცვალა, მაგრამ, ეს რომ უბრალო ცვლილება არ არის და მას სერიოზული პროცესები შეიძლება მოჰყვეს, იგრძნობა. აი, სწორედ აქედან გამომდინარე უნდა შედგეს ერში, ჩემი აზრით, კონსენსუსი და შევთანხმდეთ საბოლოოდ, რას ვირჩევთ: ომს თუ დიალოგსა და მოლაპარაკებას, კონფრონტაციას თუ სხვა გზით შეთანხმების მიღწევას.



### „ამერიკას საქართველო სჭირდება, როგორც პატარა ფინია, რომელიც მუდმივად უნდა უყეფდეს, ჩქმეტდეს და აღიზიანებდეს დათვს, ხოლო დათვი ფეხს მოგამტვრევს თუ, საერთოდ, გაგსრესს, მისთვის სულერთია“

**გიორგი ახვლედიანი,**
**„დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— ვფიქრობ, შიში, რომ რუსეთს საქართველოსთან ვითარების გამწვავება უნდა, უსაფუძვლოა. ამის რეალურ ნიშნებს ვერ ვხედავ. ან რატომ უნდა უნდოდეს რუსეთს ურთიერთობის გამწვავება, როცა ყველაფერი, რაც მას საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე სჭირდებოდა, რეალურად უკვე აქვს?! სხვა ახლა, თბილისის აღებაც რომ ნდომებოდა **ვლადიმერ პუტინს**, ვერავინ შეაჩერებდა ვერც შეშფოთებითა და ვერც იმ წყლითა თუ საფენებით, რომლებიც ამერიკამ გამოგვიგზავნა.

დიალოგსა და პირდაპირ მოლაპარაკებებს რაც შეეხება, **რუსეთის პრეზიდენტმა სამჯერ გამოთქვა მზადყოფნა, თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თქვა, რომ არ არსებობს თემები, რომლებიც დიალოგის მიმდინარეობისას არ განიხილებაო. ეს თავისთავად ძალიან ბევრს ნიშნავდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების პასუხი აბსოლუტურად აცდენილი იყო ამ ყველაფერს...** რა თქმა უნდა, არავის აქვს ილუზია, რომ დილით რაღაც საუბარი დაიწყება და საღამოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა: იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ანუ მუდმივ აგრესიულ რეჟიმს, უკვე წლებია, შედეგი არ მოაქვს. მეტიც, ეს პოლიტიკა ისევ ჩვენს მიზნებს, ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს აზარალებს და გვაყენებს დარტყმის საფრთხის ქვეშ. აი ამ უგუნური და გაუთვითცნობიერებელი პოლიტიკის შედეგია ის, რომ, ფაქტობრივად, ყოველ ოთხ წელიწადში საქართველო კარგავს ტერიტორიებს: 1990 წელს ცხინვალი დავკარგეთ, 93-ში — აფხაზეთი, 98-ში — გალი, მერე — ცხინვალის გარშემო მდებარე ქართული სოფლები, 2008-ში — უკვე კოდორი და ახალგორი... პროცესი არ გაჩერდება, თუ, კიდევ ვიმეორებ, არ შევცვლით იმ მიდგომას, რომელიც საქართველოს მუდმივად აზარალებს...

**— რა არის დღეს ხელისშემშლელი ფაქტორი იმისა, რომ პოლიტიკური მიდგომა, თუნდაც იმავე რუსეთის მიმართ, მნიშვნელოვნად შეიცვალოს?**

— სამწუხაროდ, დღეს **ჩვენი პოლიტიკური ძალების უმრავლესობა ფინანსდება და იკვებება დასავლეთის სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ, ამერიკის საელჩოს მიერ. შესაბამისად, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფოებრივ ინტერესს, მათთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რას ჩასძახებენ ამერიკის საელჩოდან.** ტყუილად კი არ დაგვინიშნა ამერიკის ელჩმა ორჯერ თავდაცვის მინისტრი — ჯერ **ალასანია** და შემდეგ — **ხიდაშელი.** ამით იმის თქმა მინდა, რომ დღეს საქართველოში არ მეგულება ისეთი ჭკუასუსტი პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობას ვერ ხვდება, მაგრამ რა ქნან?! იციან, როგორც კი ამ თემაზე ხმას ამოიღებენ, მაშინვე დაკარგავენ ამერიკის საელჩოსთან მეგობრობის შანსს და ამის შემდეგ ამერიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ფურშეტზე ბატონი ელჩი მათ აღარ დაუძახებს...

**— ამაზე იცვლება სახელმწიფოს ინტერესები?**

— ვიწრო პოლიტიკურ მიზნებს ეწირება ყველაფერი, ცხადია. ამერიკას საქართველო სჭირდება, როგორც პატარა ფინია, რომელიც მუდმივად უნდა უყეფდეს, ჩქმეტდეს და აღიზიანებდეს დათვს, ხოლო დათვი, თავის მხრივ, ფეხს მოგამტვრევს, ხელს, კისერს თუ საერთოდ გაგსრესს, მისთვის სულერთია. აი ეს არის მიზანი — საქართველო მუდმივად დაჩაგრული უნდა იყოს რუსეთის მიერ, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს მასთან კონფრონტაციაში და კარგავდეს ტერიტორიებს. სხვანაირი, ძლიერი და წელში გამართული საქართველო ამერიკას არაფერში სჭირდება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ აქამდე ყბადაღებული რუსოფობიის საპირწონედ, ავად თუ კარგად, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია, მისი წმინდა სინოდი მიიჩნეოდა, ციანიდის საქმის შემდეგ აშშ-ში მყოფი სინოდის წევრები, რომლებიც ადრე ტაბურეტებით ებრძოდნენ სოდომიას, ახალა იმას გვიქადაგებენ, რომ პედერასტებიც ჩვენი ძმები არიან, რომ სტერეოტიპი — დასავლეთიდან მხოლოდ გარყვნილება შემოედინება, რუსული ნარატივის შედეგია და, რუსებთან ერთმორწმუნეობაზე კი არა, რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლასა და აშშ-ის ფასდაუდებელ წვლილზე ტლიკინებენ.**

**პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ყოველწლიურმა ტრადიციულმა მიმართვამ რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოსადმი ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია დასავლეთის ლიბერალურ პოლიტიკურ წრეებში, რომ ამ მიმართვას ანალიტიკოს-პოლიტოლოგების დიდმა ნაწილმა „მიუნხენი 2“ უწოდა.**

# მაკულატურა, რომელიც სულ უფრო გვაშორებს სოხუმსა და ცხინვალს

მკითხველს შევახსენებ, რომ მიუნხენის 2007 წლის უსაფრთხოების კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინის მთავარი გზავნილი იყო ის, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, რომელიც მანამდე მხოლოდ რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში განიხილებოდა ლიბერალური დასავლეთის, ანუ აშშ-ის მიერ, დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში ბრუნდება და ამიტომ მსოფლიო ველარ და აღარ იქნება ერთპოლუსიანი.

ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ **მსოფლიოს ახალი წესრიგის სცენარი აღარ დაიწერება მხოლოდ ვაშინგტონში, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ნატო (წაიკითხე, აშშ) ერთპიროვნულად ველარ ჩაატარებს სამხედრო ინტერვენციებს, როგორც გააკეთა ერაყში, სერბეთში და სხვაგან.** ასეთმა პესპექტივამ იმხანად, რომ იტყვიან, პირლია დატოვა კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერები.

და მართლაც — **დასავლელი ლიბერასტი ლიდერებისთვის მალევე ცხადი შეიქნა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ძალაც შესწევდა ქადილისა, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომში აშშ-ის გარკვეული პოლიტიკური წრეების მიერ დაიმედებულ სააკაშვილს თბილისში საკუთარი ჰალსტუხი ალოღნინა, გორში კი ცხვირით მიწა ათხრევინა — შედეგად დე იურედაც დავკარგეთ დე ფაქტოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი, პლუს — ახალგორი და კოდორის ხეობა, სამაგიეროდ, ახალი ლტოლვილები შევიძინეთ. ამ ყველაფერს კი შორიდან შეჰყურებდა „ჩვენი მეგობარი“ ევროპა და „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ.**

ერთი სიტყვით, სსრკ-ის დაშლის შემდეგ მრავალგზის დაშლილ-აოხრებული საქართველოს კიდევ ერთხელ იავარქმნა შეიქნა საჭირო იმისთვის, რომ დასავლეთს (წაიკითხე, აშშ) დაენახა მისთვის მწარე რეალობა — რუსეთი ძლევამოსილად დაბრუნდა მსოფლიოს გეოპოლიტიკაში.

**და რა მიიღო საქართველომ სანაცვლოდ?**

**ე.წ. არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დასტურად შიგადაშიგ ევროპა-ნატო-აშშ-ის მიერ მიღებული რეზოლუციები — მაკულატურა, რომელიც კი არ გვაახლოებს, არამედ, რაც დრო გადის, სულ უფრო გვაშორებს სოხუმსა და ცხინვალს...**

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ პუტინის მიმართვას რუსეთის ფედერალური საკრებულოსადმი ახალი სამხედრო სუპერტექნიკის ამსახველი ვიდეოკადრებიც ახლდა, ვფიქრობ, რომ ნატო-აშშ-ს ამ მხრივ სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში (რა თქმა უნდა, თუ ე.წ. ბირთვული ჩემოდანი ვინმე შიზოიდს არ ჩაუვარდება ხელში) სამხედრო კონფლიქტი რუსეთსა და აშშ-ს შორის, მით უმეტეს, იმ ვიდეოების გათვალისწინებით, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

გახსოვთ, ალბათ, რუსეთის პოლიტისტებლიშმენტში შობილი სხარტულა (თუ ასე შეიძლება ითქვას): **„ვინც ლავროვს (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) არ ესაუბრება, ის შოიგუს (რუსეთის თავდაცვის მინისტრი) მოუსმენს!“** რაც პუტინმა კიდევ უფრო გაამძაფრა თავის მიმართვაში ვიდეო კადრების დემონსტრირების ფონზე: **„აქამდე ჩვენ (რუსეთს — დ. მ.) არავინ გვისმენდა, ახლა მოგვისმენთ!“**

მოკლედ, ვლადიმერ პუტინის ვერბალური მიმართვა იქნება თუ სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება, ეს ერთგვარი პასუხია დასავლეთის, აშშ-ის მიერ რუსეთისთვის გამოუცხადებელ ომზე; ომზე, რომელიც აშკარად თუ შეფარვით, ცივად თუ ცხლად (უკრაინა, სირია), მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს სწორედ 2007 წლის მიუნხენის შემდეგ. ომი, აგრეთვე, საინფორმაციოც, სპორტულიც, რომელიც განსაკუთრებულად დაიძაბა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში, ანუ უკრაინაში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად აშშ-ის გოშიების ხელისუფლებაში მოსვლისა და რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების შემდეგ.

თვითონ განსაჯეთ — ჯერ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წართმევა სცადეს და, როდესაც არ გამოუვიდათ, განვლილ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ლამის ყველა მედლის დაუფლების კანდიდატი რუსი სპორტსმენები არ დაუშვეს სამხრეთ კორეაში. ზემორე თქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება რამდენიმე კითხვა: **რატომ და რისთვის — დასავლეთში ასეთი აშკარა რუსოფობია? დღეს ხომ ისეთი იდეოლოგიური შეუთავსებლობა არ არის დასავლეთსა და რუსეთს შორის, როგორიც სსრკ-ის დროს იყო? რუსეთიც ხომ კაპიტალისტური ქვეყანაა?**

კი, ბატონო, იქნებ ნაკლები დემოკრატიით, მაგრამ **რამდენ ასეთ ნაკლებ დემოკრატიასთან „მეგობრობდა“ და „მეგობრობს“ აშშ პრინციპით: ის ძაღლიშვილია, მაგრამ ჩემი ძაღლიშვილი?**

ამ და სხვა შესაძლო კითხვებზე სავარაუდო პასუხი კი ვიცოდი, მაგრამ ვარაუდის სისწორე, ნებსით თუ უნებლიეთ, გასულ ზამთარს შვეიცარიის დავოსში მყოფმა აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** დამიდასტურა. **მან თქვა, აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება იმიტომ არის შეუძლებელი, რომ**



## პუტინის მიმართვა აშშ-ის სატელიტი სახელმწიფოებისთვის არის განკუთვნილი, ზუსტად ისეთებისთვის, როგორიც საქართველოა

**რუსეთი თავის ფასეულობებს აღიარებს და არა ჩვენსასო...**

ამერიკელების მთავარი ღირებულება თუ ფასეულობა რაც არის, ეს რამდენიმე წლის წინათ გაასაჯაროა აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მინისტრმა, აწ პოლიტიკურმა გვამმა, მადამ **ჰილარი კლინტონმა**, როდესაც განაცხადა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მსოფლიოში ლგბტ პირთა უფლებების დაცვააო.

მადამ ჰილარის რამდენიმე დღეში აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი და დღეს ასევე პოლიტიკური გვამი **ბარაკ ობამა** გამოეხმაურა: ამა თუ იმ ქვეყნისადმი აშშ-ის ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ დაიცავენ ლგბტ-თა უფლებებსო.

**აშშ ჰომოსექსუალებისთვის სამოთხე რომ არის, არახალია — ყველა შტატში დაშვებულია ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ქორწინება; მეტიც — აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბრძანებულება ჯარში ლგბტ-თა მსახურების აკრძალვის თაობაზე სასამართლომ გააუქმა და დღეს პენტაგონის ჯარში 80 ათასზე მეტი პედერასტი და ლესბოსელი მსახურობს. მეტიც, ამას წინათ ვესტპოინტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულ ორ მფრინავ ოფიცერს იქვე, სამხედრო ნაწილში, დაწერა ჯვარი კაპელანმა.**

რუსეთი, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე 99 წლით აკრძალა გეიპროპაგანდა და, შესაბამისად, ამ ქვეყანაში არანაირი გეიაღლუმი არ ჩატარდება, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თუმცა თავი დავანებოთ სოდომიტებს და წერილის მთავარ თემას დავუბრუნდეთ...

ცხადია, რომ **ვლადიმერ პუტინის მიმართვა აშშ-ის სატელიტი სახელმწიფოებისთვის არის განკუთვნილი, აი, ზუსტად ისეთებისთვის, როგორიც საქართველოა.**

ეს არის გაფრთხილება, გნებავთ, მუქარა, რომ, თუ საქართველოს ხელისუფლება არ მოიშლის ნატოსკენ სწრაფვას, 2008 წელი მონაგონი იქნება; ისე მაგრად მიგვანგრევენ, რომ, მცოცავ საზღვარს კი არა, საზღვრებს საერთოდ წაგვიშლიან, რასაც ამერიკის შეშფოთებული შტატები და ევროსაბჭო ოპერატიულად „გამოეხმაურება“ მორიგი შეშფოთების ფარატინა ქაღალდით.

საკვირველია პირდაპირ, სატირალი რომ არ იყოს, რომელი დასავლეთის იმედზე არიან ჩვენი ხელისუფალნი თუ ოპოზიცია: იმ დასავლეთის, რომელმაც, მიუხედავად რესურსების მობილიზებისა, მიცვალებულის დაბრუნებაც კი ვერ შეძლო?

**საკვირველია ჩვენი სამღვდელოების მოულოდნელი მეტამორფოზიც — თუ აქამდე ყბადაღებული რუსოფობიის საპირწონედ, ავად თუ კარგად, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია, მისი წმინდა სინოდი მიიჩნეოდა, ციანიდის საქმის შემდეგ აშშ-ში მყოფი სინოდის წევრები, რომლებიც ადრე ტაბურეტებით ებრძოდნენ სოდომიას, ახალა იმას გვიქადაგებენ, რომ პედერასტებიც ჩვენი ძმები არიან, რომ სტერეოტიპი — დასავლეთიდან მხოლოდ გარყვნილება შემოედინება, რუსული ნარატივის შედეგია და, რუსებთან ერთმორწმუნეობაზე კი არა, რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლასა და აშშ-ის ფასდაუდებელ წვლილზე ტლიკინებენ.**

ამ სავლედ ქცეულ პავლეებს თვალდახუჭულმა რომ უსმინო, გეგონება, მართლმადიდებელი მღვდელი კი არა, **გიგა ბოკერია** საუბრობსო. ერთი სიტყვით, წმინდა მდინარე იორდანეს ნაცვლად, უწმინდურ პოტომაკში „განბანილ“ და, გოლგოთის მთის ნაცვლად, კაპიტოლიუმის ბორცვმოლოცვილი მღვდელმთავრების შავი ანაფორების კალთების შარიშურთან ერთად, მწვანე დოლარების შრიალიც ისმის...

აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ დუმან საზოგადოებაში პატიოსანი რეპუტაციის მქონე მღვდლები, თუნდაც **მეუფე იობი** და, გნებავთ, საქართველოს პატრიარქის **მოსაყდრე შიო.**

რად დადუმებულხართ?! ვერ ხედავთ, რომ თქვენი და თქვენნაირების დუმილის ფონზე საეკლესიო ხელისუფლებას ეპოტინებიან და ნელ-ნელა ეპატრონებიან კიდეც **მეუფე გრიგოლი, მეუფე პეტრე და მათი მსგავსი მეუფე ყანდურები?**

თუმცა საერთოდ რაზეა საუბარი, როცა ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობის შემხედვარე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე ამბობს, რომ ხანდახან საქართველოს გადარჩენის იმედი მასაც აღარ აქვს.

**დავით მხეიძე**

**მეუფე იობ და საქართველოს პატრიარქის მოსაყდრე შიო, რად დადუმებულხართ?! ვერ ხედავთ, რომ თქვენი და თქვენნაირების დუმილის ფონზე საეკლესიო ხელისუფლებას ეპოტინებიან და ნელ-ნელა ეპატრონებიან კიდეც მეუფე გრიგოლი, მეუფე პეტრე და მათი მსგავსი მეუფე ყანდურები?**

ნატო მხოლოდ დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის ინტერესების დამცველი რომ არის და სხვა ქვეყნების ინტერესები, მათ შორის, თავისი წევრის, ფეხებზე ჰკიდია, ახლახან კიდევ ერთხელ დაადასტურა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, რომელმაც ქალაქ მერსინში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ნატოს წევრმა თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონებში გაგზავნა, როდესაც მას ეს სთხოვეს, მაგრამ სანაცვლოდ თურქეთს მხარდაჭერა არ მიუღია. ნატოს წევრი ქვეყნები თურქეთს მხარს არ უჭერენ „ზეთისხილის ტოტის“ ოპერაციის ფარგლებში; მეტიც, ანკარის ქმედებებს სირიაში ეწინააღმდეგებიან. ეი, ნატო, სად ხარ? ჩვენ ამდენს ვიბრძვით, ნუთუ თურქეთი ნატოს წევრი არ არის? სად ხარ?“

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ყველა ხელისუფლება (გამონაკლისია ზვიად გამსახურდიას მთავრობა), რომლებიც დასავლელი პატრონების მითითებებით იკვებებოდნენ და იკვებებიან, მრავალი წელია, გაჰყვირის, რომ ნატო დაგვიცავს და ამ ალიანსის დახმარებით აღვადგენთ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საშველი არც ნატოში შესვლას დაადგა და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, პირიქით — 2008 წელს აშშ-ის წაქეზებითა და ავანტიურისტი სააკაშვილის უგუნური მოქმედებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებთან ერთად, კოდორის ხეობაც დავკარგეთ.**

# «ეი, ნატო, სად ხარ?»

## ნატოს იმედი თურქებს არ აქვთ და გურჯებს რა გვრჯის?!

2008 წლიდან, როდესაც ბუქარესტში ნატოს სამიტზე განაცხადეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესაძლო შესვლის თაობაზე, ქართველი ჯარისკაცები, რომელთა მიზანი დასავლეთის ინტერესების დაცვაა, სიცოცხლეს წირავენ უცხო ქვეყნებში სხვადასხვა მისიის შესრულებისას, მაგრამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესასვლელი კარი საქართველოსთვის მაინც ჩარაზულია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა — მოუგვარებელი. ნატოს არასოდეს არსად გაუერთიანებია ტერიტორიები; პირიქით, მის შესვლას ყველგან მოჰყვა ქვეყნის დაშლა-გაპარტახება. ნატო მხოლოდ დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის ინტერესების დამცველი რომ არის და სხვა ქვეყნების ინტერესები, მათ შორის, თავისი წევრის, ფეხებზე ჰკიდია, ახლახან კიდევ ერთხელ დაადასტურა თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა**, რომელმაც ქალაქ მერსინში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: **„ნატოს წევრმა თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონებში გაგზავნა, როდესაც მას ეს სთხოვეს, მაგრამ სანაცვლოდ თურქეთს მხარდაჭერა არ მიუღია. ნატოს წევრი ქვეყნები თურქეთს მხარს არ უჭერენ „ზეთისხილის ტოტის“ ოპერაციის ფარგლებში; მეტიც, ანკარის ქმედებებს სირიაში ეწინააღმდეგებიან. ეი, ნატო, სად ხარ? ჩვენ ამდენს ვიბრძვით, ნუთუ თურქეთი ნატოს წევრი არ არის? სად ხარ?“**

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, რომელიც 1949 წელს აშშ-ის ძალისხმევით შეიქმნა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან დასაპირისპირებლად, „ცივი ომის“ დასრულების, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წესით, არსებობა უნდა შეეწყვიტა, მაგრამ მოხდა პირიქით — ეს ამერიკის ინტერესების გამტარებელი სამხედრო ბლოკი თავის რიგებში ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების მიღებით უფრო გაფართოვდა და იმაზე გაცილებით აგრესიულ ძალად იქცა, ვიდრე „ცივი ომის“ პერიოდში იყო. სწორედ ამ აგრესიული სამხედრო ბლოკის სინდისზეა: **1999 წელს იუგოსლავიის დაბომბვა და 6 ათასამდე ადამიანის დაღუპვა, მათ შორის, 400 ბავშვის; 2001 წელს აშშ-სა და ნატოს სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ერთად ომი ავღანეთში, რომელიც დღემდე გრძელდება, შედეგად დაღუპულია 35 ათასი ადამიანი; ლიბიის დაბომბვა აკრძალული იარაღის გამოყენებით — კასეტური და ფოსფორიანი ყუმბარებით, კანონიერი ხელისუფლების დამხობა და თავის დროზე ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის დაშლა-გაპარტახება. ნატოს დაბომბვების შედეგად ლიბიაში 20 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ლტოლვილად იქცა 350 ათასი; სხვათა შორის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თავისი სამხედრო დოქტრინით, უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ატომური იარაღი, რომლის გამოყენებაც 1996 წელს საერთაშორისო სამართლით არის აკრძალული...**

* აი რას ამბობდა „საქართველო და მსოფლიოსთვის“ 2012 წლის მაისში მიცემულ ინტერვიუში ცნობილი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია** საქართველოს შესვლაზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში:

**„საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს,... მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება. ნატოს არასოდეს არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ამას ყველგან მოჰყვა ქვეყნის რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა. მინდა, შევახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა „ტირანიისგან გაათავისუფლეს“, მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.... იცით, ვინაა ყველაზე მეტად, აშშ-ის გარდა, საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებული? — თურქეთი, აგრეთვე, აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს და ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 200 წლის წინათ რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი — რუსეთის? “**




**ნატოში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკი რომ უპერსპექტივო საქმეა, ამას ნატოს კარზე მრავალი წლის განმავლობაში კაკუნი და საქართველოს ხელისუფლებების ცრუდაპირებები ადასტურებს. ან რისთვის გვჭირდება ნატოს, ამ მსოფლიოს ჟანდარმის როლის შემსრულებელი ორგანიზაციის, წევრობა, თანაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე? რა, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ნატო დაგვიცავს?**




მართლაც — მას შემდეგ, რაც ენ-დი-აის კვლევამ დაადასტურა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ ამერიკული გავლენიანი კვლევითი ცენტრის, სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტ „ჰერიტეიჯ ფაუნდეიშენის“ ექსპერტის, **ლუკ კოფის,** პირით დაიწყეს ლაპარაკი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გარეშე საქართველოს შესვლაზე და ატყდა კიდეც მასმედიაში „ექსპერტების“ მსჯელობა ნატოში ნებისმიერ ფასად შესვლის შესახებ, თუმცა ამის პროპაგანდა უფრო ადრე დაიწყო პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა.** მან 2016 წლის დეკემბერში გერმანული გამოცემა Die Zait-ის ჟურნალისტს განუცხადა:

**„ნატოს წევრობას არაფერი აქვს საერთო ტერიტორიულ მთლიანობასთან. პირველ რიგში, ნატოში შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (? — გ. გ). ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გამოვრიცხეთ ამ მიზნის მიღწევა სამხედრო გზით. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა ნდობის ხარისხის ამაღლებაში მდგომარეობს — ერთი მხრივ, ქართველებს, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზებსა და ოსებს შორის. ნატოს წევრობას კი მასთან არაფერი აქვს საერთო. ეს ჩვენთვის ნიშნავს, რომ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ნატოს სტანდარტებს შეესაბამება. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია ერთგულება. საქართველო თავს მიიჩნევს ევროკავშირის, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულ პარტნიორად სამხრეთ კავკასიაში“.**

როგორც ხედავთ, საქართველოს პრემიერმა აღიარა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ყველა ხელისუფლების დაპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა.

* კიდევ ერთი ამონარიდი **ალექსანდრე ჭაჭიას** ინტერვიუდან („საქართველო და მსოფლიო“, №34 (221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.):

**„ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზღაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართველ საზოგადოებას დიდი ხნის წინათ უნდა მიეღო აქსიომად: პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს!“**

ნატოში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკი რომ უპერსპექტივო საქმეა, ამას ნატოს კარზე მრავალი წლის განმავლობაში კაკუნი და საქართველოს ხელისუფლებების ცრუ დაპირებები ადასტურებს. **ან რისთვის გვჭირდება ნატოს, ამ მსოფლიოს ჟანდარმის როლის შემსრულებელი ორგანიზაციის, წევრობა, თანაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე? რა, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ნატო დაგვიცავს?**

თურქეთი 1952 წლიდან არის ნატოს წევრი, მაგრამ, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი ერდოღანი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ **ნატოს წევრმა თურქეთმა თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონებში გაგზავნა, როდესაც მას ეს სთხოვეს, სანაცვლოდ არანაირი მხარდაჭერა არ მიუღია ნატოსგან, პირიქით — ამ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ (და აშშ-ის ინტერესების დასაცავად — გ.გ.) მოქმედებს სირიაში. ამას ამბობს იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია რეგიონში და ამის შემდეგ რომელ ნორმალურ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ნატო საქართველოს გამო იომებს და რომელიმე სახელმწიფოს აგრესიისგან დაგვიცავს ან ომით დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს?!**

ნატოს იმედი თურქებს არ აქვთ და გურჯებს რა გვრჯის, ფეხქვეშ რომ ვეგებით?!

**დასავლეთს საქართველო ნატოს წევრად მხოლოდ იმიტომ სურს, რომ აქ, ჩვენს ტერიტორიაზე, განალაგოს სამხედრო ბაზები რუსეთთან კონფრონტაციისთვის და საქართველო ამ კონფრონტაციის პოლიგონად აქციოს, რადგან, თუ საქართველოში ნატოს ბაზები განლაგდება, რუსეთის, ამ უდიდესი ბირთვული პოტენციალის მქონე სახელმწიფოს, სამიზნეში აღმოვჩნდებით.**

მოამზადა

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ქრონიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასაფასებელია კახა კალაძის ეკონომიკური გამბედაობაც. სახუმარო საქმე ხომ არ გგონიათ დღის ეკონომიკიდან პირდაპირ ღამის ეკონომიკაზე გადასვლა? ვიღაც გაუბედავი და ფრთხილი ტიპები ჯერ შუადღის, მერე საღამოს ეკონომიკაზე გადავიდოდნენ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწევდნენ ღამის ეკონომიკამდე. აი, კახი კალაძე კი არ უშინდება სიძნელეებს და პირდაპირ ღამის ეკონომიკას ეჭიდება სერგი გვარჯალაძის საოცარი ეკონომიკური ალღოს იმედად. დარწმუნებული ვართ, მალე ყოველივე ეს „უკუნეთის ეკონომიკაში“ გადაიზრდება და საბოლოოდ გავბრწყინდებით.**

# ღამის ეკონომიკა და ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა

**როგორც ჩანს, ნამეტნავად აყვავებული ქართული ეკონომიკა მტრებს ისე უბრმავებს თვალს, რომ დადგა აუცილებლობა, როგორმე გადავმალოთ და ავ თვალს მოვარიდოთ. ხომ შეიძლება, ძალიან წარმატებულ ეკონომიკას ვინმე მტერმა და შურიანმა ბოროტი თვალი დაადგას და დაგვიწყევლოს, ჯადო გაუკეთოს, დაამხოს და გაანადგუროს?**





**დედაქალაქის ნოვატორი მერი მალე სრულიად გამაოგნებელ ინოვაციურ სვლებსაც შემოგვთავაზებს და თბილისში მალე დაიწყებს აყვავებას ჯერარგაგონილი და არნახული «გარიჟრაჟის ეკონომიკა». უკვე დაწყებულია მუშაობა ასევე «შებინდების ეკონომიკის» საფუძვლის ჩასაყრელადაც**

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს თბილისის ყველაზე ყურადღებიანმა და გამჭრიახმა მერმა **კახა კალაძემ** შენიშნა და გადაწყვიტა, ჩვენი ეკონომიკის ბედი უკუნ ღამეს მიანდოს.

ამის მიზანი, სავარაუდოდ, არის ის, რომ „გადაბრწყინებულ“ ქართულ ეკონომიკას ღამით მტრები და შურიანები ვერ დაინახავენ და ჩვენც მშვიდად განვაგრძობთ ჯერარნახულ ეკონომიკურ წინსვლას.

პატრონიც შესანიშნავი გამოუჩნდა ამ ახალ წამოწყებას — ცნობილი შოუმენი **სერგი გვარჯალაძე.**

შესანიშნავი კი არა, უფრო სწორად — შესაფერისი. ესეც, როგორც ჩანს, მტრის თვალის ასახვევად. „დედაქალაქის მერმა კახი კალაძემ თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის ხელმძღვანელად ცნობილი მომღერალი, ტელეწამყვანი და პროდიუსერი სერგი გვარჯალაძე დაასახელა“, — იუწყებოდნენ გასულ კვირაში საინფორმაციო სააგენტოები და რაც შეიძლება ბერავდნენ სერგი გვარჯალაძის „უდიდეს დამსახურებებს“ ქვეყნის წინაშე და მის რეგალიებს. თავისუფლად შეიძლებოდა გვეთქვა: „შოუმენი გვარჯალაძე“, მაგრამ არა! სერგი გვარჯალაძე მოიხსენიება, როგორც „90-იანი წლების ვარსკვლავი, ტელეწამყვანი, პროდიუსერი, პროექტების მენეჯერი, მომღერალი, მუსიკოსი...“ ექიმი, მეწარმე და ლიდერიღა აკლია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მას ეკონომისტად ან ფინანსისტად ნამდვილად ვერავინ მოიხსენიებს. აი, ამას ვგულისხმობდი, წელან რომ ვთქვი, ეგეც მტრის თვალის ასახვევად არის-მეთქი. აბა, **მართლა ეკონომისტი და ფინანსისტი რომ დაენიშნათ „ღამის ეკონომიკის“ ამღორძინებლად ქალაქში, ეს ძალიან ბანალური სვლა იქნებოდა და მტრებს რამე აუცილებლად ექნებოდათ მოფიქრებული ამის საწინააღმდეგოდ.**

ახლა კი ჩვენი დედაქალაქის ღამის ეკონომიკის ფაქტობრივი „მინისტრი“ არის მომღერალ-მუსიკოს-პროდიუსერ-ტელეწამყვანი და მას ისეთი ექსტრაორდინარული გზები ექნება ეკონომიკის ასაყვავებლად მოფიქრებული, რომ მტრები ველარაფერს დააკლებენ.

სხვათა შორის, სათქმელი და **დასაფასებელია კახა კალაძის ეკონომიკური გამბედაობაც. სახუმარო საქმე ხომ არ გგონიათ დღის ეკონომიკიდან პირდაპირ ღამის ეკონომიკაზე გადასვლა? ვიღაც გაუბედავი და ფრთხილი ტიპები ჯერ შუადღის, მერე საღამოს ეკონომიკაზე გადავიდოდნენ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწევდნენ ღამის ეკონომიკამდე.**

**აი, კახი კალაძე კი არ უშინდება სიძნელეებს და პირდაპირ ღამის ეკონომიკას ეჭიდება სერგი გვარჯალაძის საოცარი ეკონომიკური ალღოს იმედად. დარწმუნებული ვართ, მალე ყოველივე ეს „უკუნეთის ეკონომიკაში“ გადაიზრდება და საბოლოოდ გავბრწყინდებით.**

უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ დედაქალაქის ნოვატორი მერი მალე სრულიად გამაოგნებელ ინოვაციურ სვლებსაც შემოგვთავაზებს და თბილისში მალე დაიწყებს აყვავებას ჯერარგაგონილი და არნახული **„გარიჟრაჟის ეკონომიკა“.** უკვე დაწყებულია მუშაობა ასევე **„შებინდების ეკონომიკის“** საფუძვლის ჩასაყრელადაც.

ერთდაერთი, რაზეც ექსპერტები თავს იკავებენ, თურმე ეს არის **„ბინდბუნდის ეკონომიკა“,** რადგან ქართული ეკონომიკა, ისედაც დიდი ხანია, ბინდბუნდშია და, აქედან გამომდინარე, „ბინდბუნდის ეკონომიკის“ ცალკე დარგად გამოყოფა აღარ მიგვაჩნია საჭიროდ, — ამბობენ ისინი.

ცნობილი ქართული სატელევიზიო სპექტაკლი „უჩინმაჩინის ქუდი” მახსენდება: მთავარ გმირს, რომლის როლსაც **ეროსი მანჯგალაძე** ასრულებს, ხუმარა მდგმურები მოატყუებენ: უჩინმაჩინის ქუდს გაჩუქებთ, რომ დაიხურავ „მიგანქარდი-მიგანქარდი“ უნდა იძახო და აღარ გამოჩნდები, ველარავინ დაგინახავსო. ეს გაბრიყვებული კაციც დადის ამ ქუდით „მიგანქარდი-მიგანქარდიო“ იძახის და ყველანი დასცინიან, საკუთარი ცოლის ჩათვლით. ჰოდა, რას იტყვით: **„ღამის ეკონომიკის“ ნაცვლად, ბოროტი თვალისგან დასაცავად ქართულ ეკონომიკას უჩინმაჩინის ქუდი ხომ არ დავახუროთ? ანუ „უჩინმაჩინური ეკონომიკა“ ხომ არ გავაკეთოთ? კალაძე კი ივლის ამ ეკონომიკასთან ერთად და მიგანქარდი-მიგანქარდიო, — იძახებს.**

მესმის ამ ირონიაზე „კალას ფანების“ პასუხი: თქვენ რა უცოდინარები ხართ, ე.წ. ღამის ეკონომიკა მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში არის უკვე დანერგილი და სხვათა შორის, ადამიანს, რომელიც იქ ღამის ეკონომიკის პროექტებს ხელმძღვანელობს, ღამის მერს ეძახიანო.

კი, ბატონო, გვსმენია, მაგრამ, თქვენ თუ გსმენიათ მაგ ქალაქებისა და, ქვეყნების, რომლებსაც ეგ ქალაქები ეკუთვნის, „დღის ეკონომიკა“ როგორ მდგომარეობაშია? დიახ, ბატონო, მაგ ქვეყნებმა, მაგ ხალმა, მაგ მთავრობებმა ჯერ „დღის“, ანუ ჩვეულებრივ, ნორმალურ, ადამიანურ ეკომონიკას მიხედეს, აიყვანეს მაღალ დონეზე, თავიანთი მოქალაქეების ცხოვრება გააუმჯობესეს, მშიერი ხალხი არ ჰყავთ, სამუშაო ადგილების პრობლემა დიდწილად მოგვარებული აქვთ და მხოლოდ ამის მერე დაიწყეს ფიქრი ისეთ „გასართობ“ და „დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლის“




დატვირთვის მქონე სეგმენტზე, როგორიც არის ეგ თქვენი „ღამის ეკონომიკა“.

მითხარით ერთი, თუ გსმენიათ რამე ქვეყანასა და ქალაქზე, რომელთა მკვიდრნი შიმშილითა თუ სიცივით იხოცებიან, ყოველდღე ტელევიზიითა თუ ინტერნეტით ლამის ათეულობით განცხადება ვრცელდება, — ბავშვს, მოხუცს თუ ზრდასრულ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, სამკურნალო თანხა არ აქვს და გთხოვთ, დაეხმარეთო, ამ ქვეყნისა და ამ ქალაქის მთავრობა კი „ღამის ეკონომიკაზე“ საუბრობს?

**ჩვენს ქვეყანაში ნაციონალების პერიოდში დაწყებული ფასადური დემოკრატია, ფასადური ეკონომიკური აღორძინება და ფასადური აყვავება გრძელდება და ამას „წარმატებით“ განაგრძობს ნაცების, ყოფილი ნომერი პირველი თუ არა, ნომერი მეოთხე მეხოტბე — კახა კალაძე.**

როგორც ჩანს, მაშინ, იმ დროსაც, რომელიც, როდესაც კალაძისნაირებს აძლევთ ხელს, „ავადსახსენებელია“ და როცა მათვე უნდათ — „საქართველოს აღმშენებლობის წლებია“, სწორედ იმ წლებში რა მსგავსი სისულელეებიც კეთდებოდა, ველოსიპედისა და „შლოპანცების“ ძეგლებით დაწყებული, თბილისის „გაშუშიანებით“ დამთავრებული, ათასი ჯურის „ვარსკვლავის“ ჩამოყვანები და „ბევრი მილიონი ტურისტის მოზიდვის“ შტერული გეგმები სულაც არ იყო კალაძისა და ივანიშვილის მონაწილეობის გარეშე.

ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, ოდნავაც არაფერი შეცვლილა. ხსენებულ „ნაციონალურ“ იდიოტობებს ზარ-ზეიმით განაგრძობს „ოცნება“ და უკვე აჭარბებს კიდეც, ისეთ აბსურდულ და უაზრო წამოწყებებს გვთავაზობენ „ოცნების“ მერები, მინისტრები თუ კიდევ სხვა თანამდებობის პირები.

პირდაპირ ვთქვათ: ასეთი მარაზმების ავანგარდში სწორედ დედაქალაქის მერი კახა კალაძე დგას. სხვათა შორის, ვფიქრობთ, უკვე იმის დროც მოვიდა, მას წინასაარჩევნო დაპირებებიც შევახსენოთ. აქამდე „ახალარჩეული“ მერი ერქვა და მისი ფანები წამდაუწუმ გაჰკიოდნენ: მიდით, აბა, ჰე, შეჭამეთ კაცი ერთ და ორ თვეში მოთხოვეთ ყველაფრის შესრულებაო! მაინტერესებს, რამდენი თვე უნდა გავიდეს, რომ კალაძეს „ახალარჩეული“ აღარ ერქვას და მისმა თაყვანისმცემლებმა „ნება დაგვრთონ“, საოცნებო მერს რაღაცრაღაცები შევახსენოთ.

თუმცა ვიცი მე მერის საოცარი სტილი, აკი ბრიფინგზეც განაცხადა ამას წინათ: „არჩევნების წინ მე გავეცი დაპირება, რომ თბილისში ჩემი მერად მოსვლის შემდეგ შეჩერდებოდა უკანონო მშენებლობები და ამდენი უაზრო და უსახური კორპუსი აღარ დაამახინჯებდა თბილისს, მაგრამ ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და აღმოჩნდა, რომ მდგომაროება კატასტროფულია. რამდენიმე ჰექტარ ფართობზე გაცემულია მშენებლობების ნებართვები და ჩვენ კანონიერად მათი გაუქმება არ შეგვიძლია“.

აფერუმ! მერიც ასეთი უნდა! აბა, ლონდონის, პარიზის, ნიუ-იორკისა და სხვა „ჩამორჩენილი“ ქალაქების მერები იმდენად სულელები არიან, რომ ჯერ სწავლობენ საკითხს, მერად არჩევამდე, მეტიც — საკუთარი კანდიდატურის დაყენებამდე კარგა ხნით ადრე და მხოლოდ მერე გასცემენ იმ დაპირებებს, რომელთა შესრულებაც რეალურად იქნება შესაძლებელი.

აი, **კახა კალაძე კი ამაშიც ნოვატორია! მან ჯერ დაპირებები გასცა, მერე მერი გახდა და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობს იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც დაპირებები აქვს გაცემული.**

დარწმუნებული ვართ, კალაძე ყველა თავის დაპირებაზე გაგვცემს პასუხს. ის ხომ ცნობილია თავისი დაპირებებით (მაგალითად, „კოაბიტაციის დასრულებაზე“) და შემდეგ თავისი დაპირებების ვერშესრულების მიზეზების ზედმიწევნითი ახსნით. ჰოდა, დაველოდოთ, ვაცალოთ, დავუჯეროთ თბილისის „ახალარჩეულ“ მერს. ამასობაში კი სერგი გვარჯალაძე „ღამის ეკონომიკას“ ააყვავებს და მერე, ასეთ ბედნიერებს, ვინძლო, აღარც კი გაგვახსენდეს დაპირებები — დავსხდეთ და ვისიამოვნოთ ჩვენი „ღამის კეთილდღეობით“ და კაი ცხოვრებით. არ გახსოვთ, „ემწინეებზე“ ქართული ენერგეტიკაც ზუსტად ასე არ აყვავდა? მართალია, დენი გაძვირდა, მარა ენერგეტიკა ხომ აყვავდა?! აჰ, არა? კაი, მაშინ ისღა დაგვრჩენია, საკუთარი თავი დავაჯეროთ, რომ ყველაფერი კარგადაა და კალაძესთან ერთად ვიძახოთ: „მიგანქარდი, მიგანქარდი“!

**ბაკურ სვანიძე**

„ხალხი არიან ისინი, ათასები რომ არ ჰყოფნით და სხვას 180 ლარზე ცხოვრებას აიძულებენ? ბიძინას მოყვანილმა ადამიანებმა არ გაამართლეს. ჩვენ ბიძინა მოვიყვანეთ, მაგრამ მან ვინ მოიყვანა? პრემიერი კვირიკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე ვინ არიან? — სოროსის გამოზრდილები“.

კარდაკარ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანზორ დანელია:

# გაყიდეს საქართველო, ეს ხალხი დასაჭერია და ქონების კონფისკაციაა ჩასატარებელი

**რუბრიკის სტუმარია ჩვენი გაზეთის მკითხველი, თბილისელი ანზორ დანელია, რომელიც თვითონ დაგვიკავშირდა, რათა საჯაროდ გამოეთქვა თვალსაზრისი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.**

— ივანიშვილს დიდი იმედით შევყურებდი, მაგრამ ახლა აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უარესი ყოფილა.

მახსენდება ივანიშვილის პირველი მიტინგი, 2012 წლის 30 მაისს ჩატარებული; მახსენდება, როგორი დაპირებები ჰქონდა, რამდენი პუნქტი იყო და როგორ ედებოდა გულს მალამოდ მისი სიტყვები, მაგრამ ახლა ვფიქრობ — ვინ ექაჩებოდა ენაზე ამ დალოცვილს? რატომ დაგვპირდა იმას, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებდა? რატომ მჯეროდა კაცის, რომელიც თურმე **მიშა სააკაშვილს** აფინანსებდა? არადა, გვეგონა, ამას **სოროსი** აკეთებდა.

ახლა ვხვდები, რომ მას მართლა არ უნდოდა ხელისუფლებაში მოსვლა და ციხის კადრების შემდეგ „ოცნების“ წარმომადგენლები შემთხვევით აღმოჩნდნენ იმ ადგილებზე, რომლებზეც ახლა სხედან. **ივანიშვილი მაძღარია, ამიტომ მშიერიც მაძღარი ჰგონია და თავისი გადმოსახედიდან უყურებს ყველაფერს.** ჩვენი ყოფა ყოფაა?! ჩემს ახალგაზრდობაში ხის დიდი სანაგვე ყუთები იდგა თბილისში, იმ ყუთთან ახლოს მდგარს ვერავის ნახავდით, მხოლოდ ნაგავს ყრიდნენ შიგ და ახლოს არ ეკარებოდნენ. ახლა ვხედავ, ნაგვის ურნებში იქექება უამრავი ადამიანი. დიდი სამამულო ომის პერიოდში თითქოს შიმშილობდა ხალხი, მაგრამ ნაგავში საჭმლის მძებნელს ვერავის ნახავდით. **პრინციპი „მე ვიყო კარგად და სხვისი დედაც...“ არავის გამოადგა და არც ამათ გამოადგებათ. ასე არ არის, ასე არ ხდება!**

ქარხანა და ფაბრიკა ჩვენ აღარ გვაქვს, ყველაფერი თურქეთში გაყიდეს და ერთ დროს უმდიდრესი ქვეყანა დაამშიეს, მიწასთან გაასწორეს. ყველაფერში პირველები ვიყავით — განათლებით დაწყებული, მუშახელით დამთავრებული.

**შევარდნაძის** პოლიტიკის გამო აფხაზეთის ომში ორი შვილი დამეღუპა — ერთი 28 წლის, მეორე — 21 წლის. უფროსი ბიჭისგან შვილიშვილი დამრჩა, შარშან დაოჯახდა; **შვილი რომ შეეძინა, საქართველოდან წავიდა. ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ეს ბავშვი და წავიდა, იმიტომ, რომ აქ სამუშაო ვერ იპოვა, ვერ დასაქმდა.**

ინვესტიციები შემოგვაქვსო, — ამბობენ. რა ინვესტიცია შემოაქვთ?! ეს ხომ გარიგებაა და მეტი არაფერი. ჩემი დაღუპული შვილების გამო დახმარებას მაძლევენ, მაგრამ ასეთ დახმარებას არავის ვუსურვებ. მოხუცები 180 ლარზე ცხოვრობენ. ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება შრომაში გალიეს, წამალსა და პურს ვერ ყიდულობენ, შიათ და წყურიათ. ამის შემდეგ ამას სახელმწიფო ჰქვია?

**— ვის ადანაშაულებთ: „ნაცმოძრაობას“, რომელიც ვერ მოვიშორეთ, ხელისუფლებას თუ...**

— ყველა ჩვენი უბედურების სათავე ივანიშვილია. მას ვაბრალებ ყველაფერს, მაგრამ ჩვენც მოვტყუვდით და ის ხელისუფლების სათავეში მოვიყვანეთ.

ამბობენ, ბიძინამ ერთ წელიწადში 600 მილიონი იშოვაო. თქვენს გაზეთში წერია, რომ მაგის ნახევარია საჭირო თურმე, მრავალშვილიან ოჯახებს რომ დაეხმარონ. როდესაც ბიძინას ბანკი დაუყადაღეს, მივედი და 10 ლარი გადავრიცხე მის დასახმარებლად. მაგ მამაცხონებულს ხალხის მხარში დგომა მაინც არ ახსოვს? მისთვის სჯობს, გაიხსენოს.

**— ფიქრობთ, რომ ივანიშვილს ქართველი ხალხი არ უყვარს?**

— მას არ აქვს ურთიერთობა ქართველ ხალხთან; ვისთანაც ურთიერთობა აქვს, ის ხალხი არ არის, **საგანელიძე** ხალხია? **ხალხი არიან ისინი, ათასები რომ არ ჰყოფნით და სხვას 180 ლარზე ცხოვრებას აიძულებენ? ბიძინას მოყვანილმა ადამიანებმა არ გაამართლეს. ჩვენ ბიძინა მოვიყვანეთ, მაგრამ მან ვინ მოიყვანა? პრემიერი კვირიკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე ვინ არიან? — სოროსის გამოზრდილები.**

ბიძინას ჰგონია, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ზოგი ბავშვებს ასეირნებს, ზოგიც — ძაღლს, ეს კი ხეებს „დაასეირნებს“ აქეთ-იქით და თბილისელებისთვის საყვარელ ადგილებს ისე ითვისებს, გეგონება, მამამისის დატოვებული იყოს.

კომკავშირის ხეივანი იმდროინდელი ახალგაზრდებისთვის უსაყვარლესი ადგილი იყო, ახლა ივანიშვილმა მიითვისა და, რას დაამსგავსებს, კაცმა არ იცის, ან შევალთ კი იქ ოდესმე? **რაც დღეს უბედურება გვჭირს, ბიძინას ბრალია ყველაფერი.**

**— როგორ ცხოვრობდით კომუნისტების მმართველობის პერიოდში?**

— იმ „საზიზღარი“ კომუნისტების პერიოდში უმუშევარს ვერ ნახავდით. თუ არ სწავლობდი და ქუჩაში დაყიალობდი, მაშინვე მოგადგებოდა უბნის ინსპექტორი და გაგაფრთხილებდა, რომ სამსახური გეშოვა; თუ ეტყოდი, ვერ ვშოულობო, მოგცემდა მიმართვას და გაგიშვებდა, მერე შეგამოწმებდა და ერთ თვეში სამსახურიდან ცნობის მიტანას მოგთხოვდა. უმუშევარი ვერ გაჩერდებოდი. ანაზღაურება დიდი არ იყო, მაგრამ არავის შიოდა, დენსა და ბუნებრივ აირს არავის უთიშავდნენ, ყველა გადახდისუნარიანი იყო, ახლა გაუსაძლისია ზამთარი. ფუფუნებაში არ ვცხოვრობდით, მაგრამ არც გაჭირვებული და თავმოყვარეობაშელახული ვიყავით. ყოველი ჩვენი ნაშრომი წუთი სათანადოდ იყო ანაზღაურებული. ვალი არავისი გვქონდა.

**— თავისუფლება რომ არ გქონდათ? დამოუკიდებლები რომ არ იყავით?**

— დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, შებოჭილად თავი არასოდეს მიმიჩნევია. რუსეთში დავდიოდი და დამცირებულად თავი არასოდეს მიგრძვნია, ცუდად არასოდეს მოვქცეულვარ; სადაც მივდიოდი, იქაურ ქუდს ვიხურავდი. წესია ასეთი და იმიტომ. **გურამ რჩეულიშვილი** გაღეღილი პერანგით დადიოდა მოსკოვში, თავისუფლად გრძნობდა თავს და იმიტომ.

10 მანეთად ერთი კვირის სამყოფ სანოვაგეს მიიტანდი შინ. სანატორიუმი უფასო გვქონდა...

გლეხები მეცოდებიან — თავისუფლება წაართვეს, შევარდნაძემ სოფლიდან გამოიტყუა, აქ დაგასაქმებთო, — უთხრა და დაცალა ქართული სოფლები. ახლა ის გლეხები, შევარდნაძის ღალატის გამო, შეურაცხყოფილები და დამცირებულები არიან. იმ „მონობის“ პერიოდში კი გლეხობა ყველაზე საპატიო ფენა იყო.

**ქართველები ზარმაცები ვართო. ვინ ააშენა ეს ქვეყანა? ახლანდელმა პარლამენტარებმა? ჩვენზე მშრომელი და გამრჯე ხალხი არ დაბადებულა.**

სანამ არ მოვა ხელისუფლებაში ადამიანი, რომელიც საქართველოსთვის იშრომებს, მანამდე არაფერი გვეშველება.

**— დღევანდელ პოლიტიკოსებს შორის თუ გეგულებათ ისეთი, ვინც საქართველოსთვის თავდადებით იშრომებს?**

— მახსოვს, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა **მარგველაშვილზე:** ბევრი ვეხვეწე, სანამ დავითანხმებდი პრეზიდენტობაზეო. ეს სიტყვები ჩვენი დაცინვა იყო.

**ერეკლე მეფე, ილია ჭავჭავაძე** და **ზვიად გამსახურდია** — აი ეს ადამიანები არიან დიდი ქართველები. პრეზიდენტის არჩევისას შეცდომებს ვუშვებთ. ის „ავადსახსენებელი“ კომუნისტები თაობებს ზრდიდნენ, ჯერ ოქტომბრელების რიგებს გამოატარებდნენ, მერე — კომკავშირის, შემდეგ კი პარტიაში შეჰყავდათ. ამ ადამიანებს გამოცდილება ჰქონდათ და ქვეყნის მართვა შეეძლოთ, ახლა კი პრეზიდენტობა ყველას სურს და მარგველაშვილის მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერის გაპრეზიდენტებაა შესაძლებელი.

მეგულება ერთი კაცი — **ალექსანდრე ჭაჭია**, რომელიც პრეზიდენტობის შესანიშნავი კანდიდატია, მაგრამ ეს გაუკუღმართებული პოლიტელიტა არ არის მზად ასეთი კაცის მისაღებად. ჩვენ მივეჩვიეთ პრეზიდენტს, რომელიც იქნება პლასტელინი და მხოლოდ ხელის ჩამორთმევის ფუნქციას შეასრულებს. ასეთი კი ქვეყანას არაფერში სჭირდება, ახლა საჭიროა პრეზიდენტი, რომელსაც ექნება სურვილიც, უფლებამოსილებაც და შესაძლებლობაც, მიაღწიოს კონკრეტულ შედეგებს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ასეთად მივიჩნევ ბატონ ალექსანდრეს.

**— გამოვა ხალხი ქუჩაში, იქნება საპროტესტო ტალღა?**

— 1956 წლის 9 მარტის შემდეგ სულ ქუჩაში ვარ, სულ ვაპროტესტებ. ახლაც, თუკი სადმე რამე ხდება, იქ ვარ, მაგრამ ამაოდ. ახლანდელი პოლიტიკოსები ამჯობინებენ, დიპლომატიურ კორპუსს წერილი გაუგზავნონ, აშშ-ის ელჩს, **იან კელის,** ეახლებიან და ქვეყნის პრობლემებზე ელაპარაკებიან. ხან ამბობენ, დათბეს და მერე გამოვალთო... ასეთი პროტესტი არ მომწონს. შვილმკვდარი მამა ვარ, ჩემი შვილები სამშობლოსთვის დაიხოცნენ. უნდა გამოვიდეთ ქუჩაში, რაღაც მაინც უნდა შევცვალოთ ქვეყანაში. გაიძახიან: ნატო-ნატოო. ნატო შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების საწინააღმდეგოდ — ასე წერია წესდებაში. სოციალიზმი აღარ არსებობს და ახლა სურთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩახშობა. ეს — მათთვის, ვისაც ნატო უნდა. როცა ნატომ ბელგრადი დაბომბა 1999 წლის აღდგომას, ყუმბარებზე ეწერა: „გილოცავთ აღდგომას“.

შემოსევაა ქვეყანაში. თურქი, არაბი, ირანელი — ყველა აქ არის. **ასლან აბაშიძეს** ნაცებმა 15 წელი მიუსაჯეს. არადა, ასლანმა აჭარა შეინარჩუნა, მიწას უფრთხილდებოდა, ერთი გოჯი არ გაუყიდია. მათი გასასამართლებელია ასლანი?

გაყიდეს საქართველო, ეს ხალხი დასაჭერია და ქონების კონფისკაციაა ჩასატარებელი, მილიონერები გახდნენ და მათი ყურება როდემდე შეიძლება?! ქვეყანაში არსებული საშინელი ვითარების წინააღმდეგ აუცილებლად უნდა აღდგეს ხალხი.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# საქართველოში საჯარო მოხელეები ხელფასების მომატებას მოითხოვენ და ამის გამო ერთმანეთს ცემენ, კანადაში კი ექიმები ხელფასების მომატებას აპროტესტებენ



**პარადოქსების ქვეყანაა საქართველო. ქვეყანაში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 175 ლარია, პენსიონერის პენსია — 180 ლარი. უმუშევართა რაოდენობა 235 ათასია, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 21,3%; ხელისუფლების წარმომადგენლების, ხალხის რჩეულების ანაზღაურება კი რამდენიმე ათას ლარს შეადგენს, კიდევ უფრო მეტი აქვთ პრემიები და ე.წ. დანამატები.**

მაგალითად, 2016 წელს თბილისის მერის მოადგილეებმა — **ნინო ხატისკაცმა** და **ირაკლი ლექვინაძემ** 15-ჯერ აიღეს პრემია-დანამატი (როგორ ახერხებენ წელიწადში ხელფასის 12-ჯერ აღებას, სახელფასო დანამატისა კი — 15-ჯერ, გაუგებარია). მათი ძირითადი ხელფასი წელიწადში 33 600 ლარი იყო, პრემია-დანამატები კი 2-ჯერ მეტი მიიღეს — 75 ათასი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პირველი მოადგილის, იოსებ გოგაშვილის, ანაზღაურება 2016 წელს 142 609 ლარი იყო (თვეში საშუალოდ 11,8 ათასი ლარი), აქედან თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 35 400 ლარს, ხოლო პრემია-დანამატები — 107 209 ლარს.

რამდენიმე დღის წინათ კი დიდი აურზაური იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მერიის წარმომადგენლები საკრებულოს წევრებისგან ხელფასების მომატებას ითხოვდნენ და ამის გამო ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებისთვის — გასაოცარი, საზოგადოებისთვის კი სასიამოვნო უნდა იყოს ის, რაც რამდენიმე დღის წინათ კანადაში მოხდა:

კანადის სამედიცინო სფეროს 500-ზე მეტმა წარმომადგენელმა გააპროტესტა ახალი რეფორმა, რომელიც მათთვის ხელფასების მომატებას ითვალისწინებს. ექიმებმა, რეზიდენტებმა და სტუდენტებმა თავიანთი პოზიცია საჯარო წერილში გამოხატეს:

„ჩვენ, კვებეკის ექიმები, რომლებსაც გვჯერა ძლიერი საზოგადოებრივი სისტემის, წინააღმდეგნი ვართ ხელფასის მომატების“, — წერია წერილში.

ექიმების ჯგუფის აზრით, მომატებული ხელფასის მიღება მაშინ, როდესაც ექთნებს დაბალი ანაზღაურება და რთული სამუშაო პირობები აქვთ, პაციენტებს კი, სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის ხარჯების შემცირების გამო, მკურნალობის ხარჯების დაფარვა არ შეუძლიათ, ექთნებისა და პაციენტების შეურაცხყოფა იქნება.

213 ზოგად პრაქტიკოსს, 184 სპეციალისტს, 149 რეზიდენტსა და 162 სტუდენტს სურს, მათთვის მომატებული თანხა სახელმწიფო ფონდში დაბრუნდეს.

ასე ხდება ნორმალურ ქვეყნებში, საქართველოში კი ყველაფერი უკუღმაა.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

ვაი ქალისაგან

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის კაცები, რომლებიც ადრე კაცები იყვნენ და, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ახლაც კაცები არიან, ამბობენ, რომ საბუთში ჩაწერილი მამრობითი სქესი დისკომფორტს უქმნით და მათ სათანადოდ არ ეპყრობიან, ანუ არ ეპყრობიან, როგორც ქალებს. სწორედ ამიტომ ისინი იუსტიციის სამინისტროს კანონიდან იმ მუხლის ამოღებას სთხოვენ, რომელიც, სქესის შეცვლის სანაცვლოდ, კასტრაციის საბუთის წარდგენას ითვალისწინებს.**

# საპრეზიდენტო არჩევნები — ლაკმუსის ქაღალდი, რომელზეც ნათლად გამოჩნდება, რომელი პარტიები მისტირიან სააკაშვილის რეჟიმს, რომელსაც ვითომ ხმალამოღებული ებრძოდნენ

## შალვა ნათელაშვილი მზად არის, ეშმაკსაც შეეკრას ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბაჩუკი ქარდავას კი ნაციონალების შეთავაზება პატივად მიაჩნია



შალვა ნათელაშვილი



ბაჩუკი ქარდავა

**2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და, შესაბამისად, უკვე დაიწყო მსჯელობა, რომელ პარტიას ვინ ეყოლება კანდიდატად. დიდი ალბათობით, მმართველი გუნდის — „ქართული ოცნების“ კანდიდატი ქალი იქნება და ის, ასევე დიდი ალბათობით, გამარჯვებას მოიპოვებს. ეს კი იმიტომ, რომ რეალურად, ოპოზიციურ ფლანგზე არ ჩანს კანდიდატი, რომელიც ხელისუფლებას, თუნდაც ისეთს, როგორიც დღეს გვყავს, კონკურენციას გაუწევს. შესაბამისად, მმართველი გუნდი ფონს ადმინისტრაციული რესურსითაც იოლად გავა, თუმცა მთავარი არის ის, რომ ყოფილი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში დაბრუნებას ცდილობს და მათმა ლიდერმა, ევროპაში შავი ჭირივით მოარულმა მიხეილ სააკაშვილმა, სპეციალური განცხადებაც გააკეთა.**

„ჩვენ, ყველანი, ვხედავთ, თუ რა განსაცდელშია ჩვენი ქვეყანა — ჩვენი დატოვებული ფული ბოლომდე შეიხრა; სახელმწიფო ინსტიტუტები მორყეულია და იქ დაბრუნდა კორუფცია; კრიმინალი მძლავრობს; უსაფრთხოების სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა. ასეთი უიმედობა არ ყოფილა შევარდნაძის დროსაც კი. ამ ყველაფრის ფონზე, ასიათასობით ყველაზე შრომისუნარიანმა ჩვენმა თანამემამულემ ან უკვე დატოვა საქართველო, ან თვალი უჭირავს წასვლაზე. საქართველო არის განადგურების საფრთხის წინაშე. ამ პირობებში ივანიშვილმა, პრაქტიკულად, კასტინგი გამოაცხადა მთავარი ოპოზიციური ძალის წოდებაზე. ის გვიბიძგებს, ვიბრძოლოთ მეორე ადგილისთვის და დავკმაყოფილდეთ ამ რაღაც საპატიო პრიზით. ნურას უკაცრავად! ჩვენი ამოცანაა საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნება და ჩვენ უნდა დავბრუნდეთ უკვე 2018 წელს. როგორ უნდა განვახორციელოთ ეს? — ჩვენ უნდა მოვიგოთ საპრეზიდენტო არჩევნები და ამის ფონზე ჩამოვშალოთ ივანიშვილის მთავრობა, მოვშალოთ მისი ფეოდალური საკარმიდამო. ხალხს ის სძულს, ყველას აეხილა თვალი და დაინახა განსხვავება იმათ შორის, რაც არის და რაც ამათ მოშალეს. რაც მთავარია, ყველა ხედავს, რომ ჩვენ გვაქვს პოზიტიური პროგრამა და ვართ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ამ ჭაობიდან ქვეყნის ხელახლა ამოყვანა, ამიტომ ჩვენ უნდა მოვემზადოთ საპრეზიდენტო კამპანიისთვის — პრაიმერიზის გზით ყველა არგაყიდულ ოპოზიციურ ძალასთან ერთად უნდა შევარჩიოთ ღირსეული კანდიდატი და ჩავატაროთ ისეთი კამპანია, როგორიც არასდროს ჩაგვიტარებია — აბსოლუტურად ახალი მეთოდებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გამოცდილების გათვალისწინებით და ახალი ხალხის ჩართვით, მათ შორის, ახალგაზრდობის მასობრივად მოზიდვით. ჩვენი ძალა, მიუხედავად უზარმაზარი წნეხისა, არ გაიყიდა და არ განადგურდა (რაც ივანიშვილისა და მისი ჩრდილოელი პატრონების სანუკვარი ოცნება იყო) და გადარჩა. ახლა ჩვენ უნდა დავუბრუნოთ ქართველ ხალხს საქართველო და უკვე მეორედ შევასრულოთ საქართველოს გადამრჩენის ძირითადი ფუნქცია. ჩვენ ეს აუცილებლად გამოგვივა. მე ბოლომდე ვარ თქვენთან ერთად ამ ბრძოლაში და მინდა, რომ თქვენც წამომყვეთ ამ ბრძოლაში. საქართველოს აქვს ძალიან მაგარი მომავალი, ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია და ჩვენი გამარჯვება აბსოლუტურად გარდაუვალია“, — განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა.**

გაგიკვირდებათ და, ამ განცხადებას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. მაგალითად, **შალვა ნათელაშვილმა** აღნიშნა, რომ მზად არის, ეშმაკსაც კი შეეკრას ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ **ბაჩუკი ქარდავას** ნაციონალების შეთავაზება პატივად მიაჩნია.

„ნაციონალური მოძრაობა“ არის მთავარი პოლიტიკური ძალა საქართველოში. მათ მიერ გაკეთებული შეთავაზება კი ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის დიდი პატივია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვითანამშრომლებთ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ერთიან კანდიდატთან დაკავშირებით კონსულტაციებში აქტიურად ჩავერთვებით“, — განაცხადა ქარდავამ.

არადა, **ქარდავამ ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რომ მისი პარტიის რეიტინგი ორი ხელის თითებზე დასათვლელ ამომრჩეველს, დიდი ხანია, აღარ სცდება და პარტიისგან, რომელიც გია ჭანტურიამ ააშენა, მხოლოდ სახელიღა დარჩა, სახელი და არა სახე, რადგან ამ განცხადებით ქარდავამ საბოლოოდ დაკარგა სახე და შეეკრა ადამიანებს, რომლებმაც ერს გენოციდი მოუწყვეს და სხვათა შორის, ამ გენოციდს ქარდავა თავის დროზე აპროტესტებდა კიდეც, მაგრამ შემდეგ მისი ათკაციანი პარტია აღარავის დასჭირდა და ახლა ნაციონალებს შეეკრა, პოლიტიკურ მორევში რომ იტივტივოს.**

ეგ კი არა, ბატონმა ბაჩუკიმ რუსეთის წინააღმდეგაც კი გაილაშქრა და პრემიერმინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ტატუნაშ- ▶

# «აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ...»

**აბრევიატურა კომუნისტების ლოზუნგისა — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, არის „პყქშ“. ჰოდა, „პყქშ“-ს თანამედროვე ვარიანტი ვნახეთ 8 მარტს იუსტიციის სახლის წინ გამართულ აქციაზე, სადაც „პედერასტები ყველა ქვეყნისა შეერთდნენ“ და მოითხოვეს, საბუთში მდედრობითი სქესი ჩაგვიწერეთო.**

ანუ ის კაცები, რომლებიც ადრე კაცები იყვნენ და, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ახლაც კაცები არიან, ამბობენ, რომ საბუთში ჩაწერილი მამრობითი სქესი დისკომფორტს უქმნით და მათ სათანადოდ არ ეპყრობიან, ანუ არ ეპყრობიან, როგორც ქალებს. სწორედ ამიტომ ისინი იუსტიციის სამინისტროს კანონიდან იმ მუხლის ამოღებას სთხოვენ, რომელიც, სქესის შეცვლის სანაცვლოდ, კასტრაციის საბუთის წარდგენას ითვალისწინებს. ანუ, როცა ვინმე გადაწყვეტს, რომ ქალია, უნდა გაიკეთოს ოპერაცია, მოიჭრას კაცობის დამამტკიცებელი ორგანო და მხოლოდ ამ საბუთის წარდგენის შემდეგ დაწერენ, რომ ქალია, არადა...

„ეს არის საკმაოდ ძვირად ღირებული ოპერაცია, რომელიც არ კეთდება საქართველოში. მას არ აფინანსებს არც ერთი დაზღვევა და საზღვარგარეთ წასვლისა და მკურნალობის ფული კიდევ ყველას არ აქვს“, — განაცხადა თანამედროვე „პყქშ“-ს დამცველმა **ბაია პატარაიამ.** მანვე მოითხოვა, რომ ამ „ადამიანებს“ მდედრობითი სქესის დამადასტურებელი საბუთი საქართველოში ექიმის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე მიეცეთ, რომელშიც ეწერება, რომ მათ ჰორმონული დარღვევები აქვთ და ექვემდებარებიან სტერილიზაციას (კასტრაციას), მაგრამ არ აქვთ ამის




შესაძლებლობა.

**კეთილი. ვთქვათ, გაგიჟდა ერი და ბერი და დაუჯერა პატარაიას — მივეცით ვიღაც დურმიშხანს საბუთი და ამ საბუთით ვაქციეთ დადუნად ან მაკუნად თუ ლიკუნად... რა მნიშვნელობა აქვს! მერე ამ დურმიშხანს, რომელიც რეალურად დადუნა, მაკუნა ან ლიკუნაა, თუ ჩაიდინა დანაშაული და დააკავეს, რა უნდა უყონ: წაიყვანონ ქალთა კოლონიაში, მაგრამ კასტრირებული რომ არ არის, ანუ ქალთა კამერაში რეალურად ხომ დურმიშხანს შეუშვებენ, თუ წაიყვანონ კაცების კოლონიაში, მაგრამ საბუთებში ხომ უწერია, რომ მდედრია? ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ, „პყქშ“-ს აქტივისტების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არაერთი პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ,** თუმცა ესეც არ არის მთავარი. არც ისაა მთავარი, მდედრის საბუთიან მამრს ჯარში გაწვევის მოწმობა რომ მიუვა და გაშლილი დალალებით რომ მივა კომისარიატში, ქალი ვარო, სამედიცინო კომისიას რომ გაატარებენ და კაცი აღმოჩნდება...

„მოგეხსენებათ, რომ უარყოფითი ამბები მოდის, ხდება ნეგატიური მოვლენები. ახალგაზრდობა არის ჩაბმული ამაში. სიძულვილი რით აიხსნება? — ზოგიერთი ფიქრობს, რომ სოციალური მდგომარეობაა მძიმე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რაღაც უფრო მეტია, უფრო ძლიერი. ბიბლიაში წერია, რომ ბოლო დროს, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, ბოროტი სული, ეშმაკი გააძლიერებს თავის ზეგავლენას. რა თქმა უნდა, თვითონ ადამიანის მონაწილეობით. თუ ადამიანს არ უნდა და სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ეშმაკი ვერაფერს დააკლებს და მე მინდა, რომ რამდენიმე შეხვედრა მოვაწყოთ და ვიმსჯელოთ, როგორ ვუშველოთ ხალხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს ჩვენი ლოცვა და გთხოვთ ფსიქოლოგებს, რომ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ. **მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდე-** ▶

„როდესაც ბავშვი, ახალგაზრდა, მოზარდი მედიით ლამის 24 საათის განმავლობაში ისმენს, რომ თურმე მამათმავლობა ნორმაა, რომ კაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელს იცვამს და საკანონმდებლო დონეზე ითხოვს მის აღიარებას ქალად, თურმე თავის უფლებებისთვის იბრძვის, ეს, ცხადია, დიდ გავლენას ახდენს ცნობიერებაზე“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვილის ცხედრის დაბრუნების თაობაზე, ძალიან საინტერესოდ გამოეხმაურა: „ბატონებო! უადგილო უსტარით რუსეთს თავის გეგმებზე ხელს ვერ აალებინებთ. გაიგეთ, მას სძულს არა ესა თუ ის ხელისუფლება, არამედ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. თავის დროზე, საერთაშორისი დღის წესრიგიდან საქართველოს ამოღება, თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენი საგარეოპოლიტიკური არჩევანი იყო, ახლა მაინც გაუსწორეთ თვალი რეალობას, კარასინთან ჭორაობას მოეშვით და გააძლიერეთ ყველა დონეზე, იქნება ეს ევროპის დედაქალაქებში თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რუსეთის თავხედობის წინააღმდეგ აქტივობები! არავინ გთხოვთ თოფის სროლას, სიტყვა მაინც ისროლეთ!“ — აცხადება ქარდავა.

სროლაზე თუ მიდგა საქმე, თქვენს ახალ ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს, მიმართეთ, ბატონო ბაჩუკი. მაგან სროლა იცის, ტყვიას ტყვიაში აჯენს. თუ არ გჯერათ, გორში გადაღებული კადრები ნახეთ, ძლივს რომ „წაართვეს“ იარაღი მიშას ხელიდან და მერე მიწაზეც დააგდეს: ამდენი სროლა არ გინდა, დაისვენე ცოტაო...

ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ ასეა — საპრეზიდენტო არჩევნები იქნება ლაკმუსის ქაღალდი, რომელზეც ნათლად გამოჩნდება, რომელი პარტიები მისტირიან სააკაშვილის რეჟიმს, რომელსაც ვითომ ხმალამოღებული ებრძოდნენ და „სიტყვებს ესროდნენ“. ქარდავამ სათქმელი უკვე თქვა, ახლა სხვების ჯერია და გამოდით, არ მოგერიდოთ... უნდა დაგთვალოთ!

**ბესო ბარბაქაძე**

# ვიზალიბერალიზაცია გეიაღლუმების ჩატარების სანაცვლოდ

**იური როშკამ, მოლდოვის ყოფილმა ვიცეპრემიერმა, საკუთარ თავში იპოვა ძალა, გაბედულად გაელაშქრა ქვეყანაში მოქმედი, დასავლეთიდან დაფინანსებული ჰომოსექსუალების ლობის წინააღმდეგ და ემხილებინა აშშ-ის საელჩო ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერაში.**

იური როშკა ფილმში „სოდომი“, რომელშიც ნაჩვენებია ყველა ის საზიზღრობა, რომლებიც დღეს ევროპასა და დემოკრატიის ციტადელად შერაცხილ აშშ-ში ხდება, ყვება, როგორ ცდილობდა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი **დარია ფეინი** მის დარწმუნებას, მხარი დაეჭირა მოლდოვაში გეიაღლუმების ჩატარებისთვის და, საერთოდ, დასავლური ფასეულობებისთვის. ევროკავშირის წარმომადგენლებზე კი ამბობს: **„საჯაროდ გამოთქმული არგუმენტები ევრობიუროკრატებისა, რომლებიც ჩვენთან, მოლდოვაში, ჩამოვიდნენ, იყო შემდეგი: ჩვენ გაძლევთ ლიბერალიზებულ სავიზო რეჟიმს ევროკავშირთან, თქვენ კი უნდა მოგვცეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი“.**

ჩანს, სწორედ ასეთივე გზა გაიარა საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან, რომელსაც წინ უსწრებდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, ვიზალიბერალიზაციამდე. ახლა კი, საქართველოს ხელისუფლება ამ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ, 17 მაისს გეიაღლუმის ჩასატარებლად ემზადება — ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს 2018 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილი აქვს 17 მაისის აღნიშვნა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან აღნიშვნის დღედ...



იური როშკა

# რას გეგმავს ხელისუფლება და როგორ დაიცავს 17 მაისს ლგბტ-ებს



## მამა ვახტანგი (დავითაშვილი):

## თუ ჩვენ ვიქნებით მობილიზებული და დავდგებით მშვიდობიანად, ვერანაირი გარყვნილებისა და ამორალურობის ზეიმი ვერ ჩატარდება

**8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, თბილისში იუსტიციის სახლთან ლგბტ დროშებითა და ტრანსპარანტებით „შეიარაღებულმა“ რამდენიმე ათეულმა უჩვეულო გარეგნობის მოქალაქემ გამართა აქცია-პერფორმანსი „მე ვარ ქალი — აღიარე“. ლიბერალური მედიის მიერ ტრანსგენდერებად წოდებულმა მამაკაცებმა, რომლებიც თავს ქალად ასაღებენ და ქუჩაშიც ქალის ტანსაცმლით დადიან, იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნები წაუყენეს. აქციის ორგანიზატორების განმარტებით, პრობლემა არის ის, რომ „ტრანსგენდერი ქალების“ (მამაკაცი, რომელიც თავს ქალად ასაღებს) სქესი არ შეესაბამება მათსავე პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ ჩანაწერს. შესაბამისად, აქციის მთავარი მოთხოვნა აღნიშნულ დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის დაუყოვნებლივ შეცვლასა და კონკრეტული მოქალაქის მიერ მისთვის სასურველი სქესის მითითების შესაძლებლობას ეხებოდა. მათი თქმით, აქცია ერთჯერადი არ არის და, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, გამოსვლები გაგრძელდება.**

**ცნობისთვის: ტრანსგენდერებითვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის პროცედურის გამარტივებაზე იუსტიციის სამინისტროში პირველი განცხადება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გაფორმების პერიოდში გაკეთდა. როგორც ჩანს, ხელისუფლების მიერ დასავლეთის წინაშე ნაკისრ საკანონმდებლო ვალდებულებებს შორის ერთ-ერთი ეს იყო და მისი შეუსრულებლობა მმართველ გუნდს ძვირად დაუჯდება.**

კულუარული ინფორმაციით, ევროკავშირის ერთ-ერთი მკაცრი დირექტივა ასევე ეხება უახლოეს მომავალში ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის სამოქალაქო ქორწინების დაკანონებას. ამ პროცესის პარალელურად კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი გამოხატვის თავისუფლება ყველგან — ქუჩაში თუ ნებისმიერ სხვა საჯარო სივრცეში.

ძნელი მისახვედრი, ალბათ, არ არის, რომ ამ მხრივ „ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე დიდი ტესტი და გამოწვევა წელს 17 მაისი იქნება, „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“. მეტიც, სანდო წყაროს ინფორმაციით, დასავლეთის იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი ხელისუფლება უკვე ემზადება და ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ დღეს „სექსუალურ უმცირესობებს“ მათთვის სასურველ დროსა და ადგილას გარკვეული „ღონისძიების“ ჩატარების საშუალება მიეცეთ...

**რა ფორმით და საშუალებებით განახორციელებს ხელისუფლება დასავლეთიდან ნაკარნახევ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია, და რა შეიძლება მოხდეს წლევანდელ 17 მაისს, „საქართველო და მსოფლიოს“ წმ. მარკუს ესესელის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ვახტანგი (დავითაშვილი) ესაუბრება.**

**— მამაო, 8 მარტს იუსტიციის სახლთან ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა ტრანსგენდერებისთვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის მოთხოვნით აქცია გამართა. მათი თქმით, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს, ამ შემთხვევაში ტრანსგენდერებს, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ დოკუმენტში სქესი მათი „გენდერული იდენტობის“ შესაბამისად განისაზღვროს. ევროკავშირის დირექტივების ტყვეობაში მყოფი ხელისუფლება, ალბათ, ამ ცვლილებასაც ისე განახორციელებს, როგორც თავის დროზე „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მიიღო. თუ ეს მოხდება, რა რეალობას მივიღებთ?**

— უწინარესად, ყველაფერს უნდა დავარქვათ თავის სახელი — ეს არის ღვთის ცნების წინააღმდეგ სიარული, რაც ძალიან მძიმე ცოდვაა და, როცა ერი ამას იღებს, ის უკვე ერის ცოდვად იქცევა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი საზოგადოება დადუმებულია და ეს ძალიან მიკვირს. არ ვიცი, რატომ, არ მინდა, დავიჯერო, რომ ხალხი უკვე შეეგუა ყველაფერს. რაც შეეხება შეკითხვას, რას მივიღებთ? — პასუხი ძალიან მარტივია, **მივიღებთ ქალის ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცებს, რომლებსაც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის აღმნიშვნელ გრაფაში ეწერებათ ქალი...**

სხვათა შორის, თქვენს გაზეთთან მე ადრეც ვისაუბრე საზოგადოების გულგრილობაზე და მაშინ ვთქვი, რომ ეს, დიდი ხანია, დამკვიდრდა საქართველოში, თუმცა ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ გულგრილობით დღეს ქრისტე გაიცემა.

**— გადაგვარებასაც ხომ უნდა ჰქონდეს თავის მიზეზი? „ლიბერალურმა“ დასავლურმა პროპაგანდამ, რომლითაც გაჯერებულია მედიის დიდი ნაწილი, მიზანს მიაღწია და საზოგადოების ცნობიერება მნიშვნელოვნად შეცვალა?**

— პროპაგანდას, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს და, მოგვწონს თუ არა, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. **როდესაც ბავშვი, ახალგაზრდა, მოზარდი მედიით ლამის 24 საათის განმავლობაში ისმენს, რომ თურმე მამათმავლობა ნორმაა, რომ კაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელს იცვამს და საკანონმდებლო დონეზე ითხოვს მის აღიარებას ქალად, თურმე თავისი უფლებებისთვის იბრძვის, ეს, ცხადია, დიდ გავლენას ახდენს ცნობიერებაზე.** თუმცა საღად მოაზროვნე, შინაგანად ძლიერი ადამიანი, რა თქმა უნდა, შავსა და თეთრს არჩევს და, რა პროპაგანდამაც უნდა იმუშაოს, მას აზრს ვერ შეაცვლევინებს. უბედურება არის ის, რომ ყველას არ აქვს ამხელა შინაგანი ძალა, ყველა ვერ უძლებს ამ პროპაგანდისტულ ტერორს და ვერც კი ხვდება, ისე ექცევა მისი გავლენის ქვეშ. სამწუხაროდ, დღეს ხალხი უკვე მიაჩვიეს ისეთ რაღაცებს, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, ამიტომ ბევრ რამეზე რეაგირება საერთოდ არ ხდება.

**— ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის პარალელურად, დასავლეთი სულ უფრო მკაცრად მოითხოვს საქართველოს პოლიტელიტისგან, რომ უმცირესობების უფლებები განსაკუთრებით წამოწიოს და მმართველი გუნდიც არ აყოვნებს. გარკვეული პოლიტიკური წრეებიდან უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ხელისუფლება 17 მაისს ყველა ღონეს იხმარს, მათ შორის, შესაძლოა, არც ძალის გამოყენებაზეც დაიხიოს უკან, სექსუალურ უმცირესობების „გამოხატვის უფლების“ დასაცავად. რა მოჰყვება მსგავს მცდელობებს და რას ეტყვით თქვენ, როგორც სასულიერო პირი, ხელისუფლებას?**

— მე მახსოვს ძველი პრემიერმინისტრის, თუ არ ვცდები, **ღარიბაშვილი** იყო მაშინ, განცხადება 17 მაისზე. როცა მას ჰკითხეს, რატომ არ გამოიყენა ძალა პოლიციამ, უპასუხა: როგორ შეიძლება, პოლიცია დაუპირისპირდეს ასობით სასულიერო პირსა და ათიათასობით მოქალაქესო. მე ახლაც ასე მგონია, თუ ჩვენ ვიქნებით მობილიზებული და დავდგებით მშვიდობიანად, ვერანაირი გარყვნილებისა და ამორალურობის ზეიმი ვერ ჩატარდება. გარდა ამისა, 17 მაისი არის ოჯახის სიწმინდის დღე და ჩვენ ამ დღეს ვზეიმობთ ტრადიციული ქრისტიანული ოჯახის სიწმინდეს. ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ვეტყოდი, რომ არ დაავიწყდეთ, ვისი ნდობითა და მხარდაჭერით მოვიდნენ სათავეში. კი ბატონო, ისიც მესმის, რომ გარკვეული გარეძალებისგან წნეხში არიან, მაგრამ ხალხია მაინც მათი დასაყრდენი. აი, აქედან თუ შეხედავენ ყველაფერს და სხვა მიდგომა არც შეიძლება არსებობდეს, მაშინ უნდა მიხვდნენ: რაც უნდა დასავლეთს — ევროპასა და ამერიკას, ის კი არ არის მთავარი, არამედ მთავარი ხალხის აზრია; ხალხს კი არ უნდა, ეს ამორალურობა დაკანონდეს; ხალხს არ უნდა, უზნეობა ნორმად იქცეს და ადამიანმა დაკარგოს ადამიანის სახე.

შიშს რაც შეეხება: გარე ძალების თუ ეშინიათ, ისიც უნდა იცოდნენ, რომ არც საზოგადოების აზრის უგულებელყოფა დაუჯდებათ იაფი. დასავლეთის შეშფოთება და მოწონება თუ აღმოჩნდება საკმარისი მათი პოლიტიკური დღეგრძელობისთვის, მალე ნახავენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ბა და ველარ გააჩერებ, აი, ამას ჰგავს დღევანდელი მდგომარეობა. მე მინდა, რომ მოხსენება კი არ იყოს ჩვენი ფსიქოლოგების, აი, საუბარი გაიმართოს. აქტიური მონაწილეობა თქვენც უნდა მიიღოთ, მეც და სხვებმაც. ღმერთმა ინებოს, რომ გამოვსწორდეთ“**, — ეს განცხადება **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაა** და გამოტყდით, რამდენს გითქვამთ, რომ „აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ...“

ვერ გეტყვით, საით მივდივართ და რატომ მივდივართ, რატომ ვუწევთ პროპაგანდას იმას, რაზეც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანხმდება, რომ უზნეობაა, ამორალური და დაუშვებელია... და ეს იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველმა უკვე განაცხადა, სექსუალური უმცირესობის უფლებებს ვარღვევთ და ამ მიმართულებით საზოგადოება უნდა გაიზარდოსო. არადა, გაფრთხილებდით, **ნინო ლომჯარია** სწორედ სექსუალური უმცირესობების დამცველი იქნება და მის დანიშვნას მწარედ ვინანებთ-მეთქი. ახლა თქვენი გადასაწყვეტია: პატრიარქს დაუჯერებთ თუ ლომჯარია-პატარაიას. ფაქტია, რომ საქართველოში კაცად დაბადებულები ქალობის დამადასტურებელ საბუთს ითხოვენ.

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ჭაბუკი სოსელო განვლილი დღეების ტანჯვათა შემეცნებაა, მისგან ამოტყორცნილი ნაპერწკალი, თუ გნებავთ, გულთამხილავი, ვისაც ანაღვერდებული ოცნების ველზე გარდაუშლია სულ სხვა, გარდაღმა მხარის ბედნიერებისა და ნაყოფიერების მზიური ქვეყანა, რომლის საზღვრებში შესასვლელად საჭიროა ჯვარცმა, წამება, ძლიერის გზნებით უფსკრულების ხვრელთა გადაწვა“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3-7

## ნაწილი VI

# სტალინი და საქართველო

## დავით კასრაძის შექმნილი სტალინის პირველი ლიტერატურული პორტრეტი

**ბევრი ვიფიქრე, ალმედგინა თუ არა მკითხველის გონებაში პირველი პორტრეტი კობა-სტალინისა, რომელიც ღრმა ფილოსოფიური, შორსმჭვრეტელური და წინასწარმეტყველური აზროვნებით დახატა სტალინის სიყრმის ამხანაგმა და ახლო მეზობელმა, ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა დავით კასრაძემ. ეს ის დავით კასრაძეა, რომელიც, გარდა მწერლური დამსახურებისა, იმითაც არის ცნობილი, რომ ქართველ საზოგადოებას აჩუქა უაღრესად ნიჭიერი და ყველასთვის საყვარელი ადამიანი და მსახიობი ქართლოს კასრაძე.**

გთავაზობთ **დავით კასრაძის** მიერ 1917 წელს(!) შექმნილი იოსებ სტალინის პირველი ლიტერატურული პორტრეტის სრულ ტექსტს, რომლის გულდასმით წაკითხვის შემდეგ შეიტყობთ, როგორ წარმოედგინა მწერალს **სოსელო** მომავალში:

„მისი სილუეტი სხვადასხვა სახით გამოკრთის მისი ცხოვრების პერიფერიებზე: დღევანდელი სტალინი შორეულ წარსულში **ჯუღაშვილი** იყო. მისი სახელი არც კობა ყოფილა და არც იოსები. სოსოთი კმაყოფილდებოდა. მისი სურათიც არაა განსაკუთრებული: აიღეთ ციცრის კვერცხი, ჭორფლისა და ყვავილის ლეჩაქის მოზაიკით და მიიღებთ პატარა სოსოს ნამდვილ პორტრეტს.

**ცქვიტი, მალხაზი, შავი გრუზა თმითა და თითქოს ნახშირით გადაკალმული წარბებით, პატარა, ელვარე შავი თვალებით თვალწინ გიდგებოდათ სიცოცხლის მოტრფიალე, დაჩაგრული, ობოლი ბავშვი, მარტოობაში რომ უცნაურ ფიქრებში დასცურავს და ფიქრებითვე სწვავს სულის მშფოთვარე ტბის კაეშნის ლელნარს. სულიერ იდუმალ მღელვარებას რელიგიური ექსტაზით ჰკლავდა იგი და საღმრთო ჰიმნებით იკვლევდა სასოწარკვეთილების მკვდარი ზღაპრის გაყინულ ბილიკს იმ ნორჩ სულთა საჯალათოს ცივ კედლებში, რასაც სასულიერო სასწავლებელი ერქვა.**

ღვთიური ძღვენი — ხასხასა კისკისი, მზიურ სიმშვიდის ველზე უდარდელად პეპელათ დევნა, აღტაცებული აფეთქება და მოწყვეტილი სხივის ცრემლების აკოკრება არ უგემნია სანეტაროდ მის ყმაწვილობას: ისეც ობოლი, სულიერადაც ობოლი იყო, თვით ტოლთა შორის არ უწყოდა ლაღი სიცილი, სიცოცხლის მშვენიერება. მისი ლაღი სუნთქვა და სიმსუბუქე იდუმალ სევდის სარკოფაგში ჩამარხულიყო!

**იშვიათი, ნაზი, სუფთა ხმა, ალტი, სოსოს თვალსაჩინო მგალობლად ჰხდიდა: მიგეცათ სხვა პირობები სხვა სარბიელი და, დღევანდელ სტალინის ნაცვლად, გვეყოლებოდა ქართველი სმირნოვ-სობინოვი.**

სოსომ თვითვე გალეწა საჯალათოს ყინულოვანი ზღუდეები. იგი სიჭაბუკის ცეცხლით აღიგზნო. მის ფიქრმორეულს, შავ ჩირაღდნებს გარდაეშალა კაცობრიობის სიმდაბლე, სიმახინჯე, მოშხამულ სახეთა შემზარავი პრანჭვაგრეხა და მასში გაილვიძა ერთგვარმა სიმძაფრემ: ადამიანთა შორის სოსო უდაბნოში გრძნობდა თავს. ტანჯული, გასრესილი მისი ყრმობა, სულიერი შიმშილით აუმუშავებელი მისი სიჭაბუკე რელიგიურის გატაცებით ისმენდა უგუნურთა ველურ მუსიკას, როგორც უდაბნოში განდგომილი მისი შორეული პროტოტიპი, ჯერ წყნარი მქადაგებელი, მაგრამ **იროდის** წინაშე გათავხედებული **იოანე ნათლისმცემელი!** მის გაუდაბნოებულს სულში საიდუმლოდ გაბნეული სიცოცხლის მშვენება ბრძოლისა და გარდატეხის დროს უგუნურთა ცეცხლს იკიდებდა! უეჭველია, საშუალო საუკუნეებში რომ ეცხოვრა, მისგან გამოვიდოდა სასტიკი, ურყევი, თავისუფლად მონავარდე ველური **სავონაროლა** (ჯიროლამო სავონაროლა — იტალიელი ბერი, რეფორმატორი. 1452—1498წწ. — გრ.ო.), რომელიც უნდა შეიშალოს, რათა განიცადოს ზეშთაგონების ბედნიერება, რათა იმითი აამწვანოს მგზავრობის მიერ წარხოცილი ცხოვრების ველი! მაგრამ სოსოს არ უცხოვრია შუა საუკუნეებში და, აჯანყებული დემონის ნაცვლად, ამიტომ იქცა სულ სხვა არსებად, რომელსაც თვითვე გამოუჭედა ძალოვანი სახელი „სტალინი“. **შემთხვევით როდი იყო მისი ასეთი ფსევდონიმი. მასში გარეულია ფილოსოფიური შხამი მისი წარსულისა, რომელმაც აღაგზნო, გამოაფოლადა რელიგიური მისტიციზმით მისი ყრმობის უმწიკვლო სული, მასში უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე რევოლუციონერში უწყინარი ბუნება იქცა სიმაგედ!** მარქსიზმის გარეშე შეატრიალა **რენე დეკარტის** ძირითადი პრინციპის ფორმულა: „გოგიტო-ერგო-სუმ!“ — „სუმ-ერგო-გოგიტო!“ რომ შემეცნება კი არ ჰსაზღვრავს არსებობას, თვით არსებობა ჰქმნის შემეცნებას! **ჭაბუკი სოსელო განვლილი დღეების ტანჯვათა შემეცნებაა, მისგან ამოტყორცნილი ნაპერწკალი, თუ გნებავთ, გულთამხილავი, ვისაც ანაღვერდებული ოცნების ველზე გარდაუშლია სულ სხვა, გარდაღმა მხარის ბედნიერებისა და ნაყოფიერების მზიური ქვეყანა, რომლის საზღვრებში შესასვლელად საჭიროა ჯვარცმა, წამება, ძლიერის გზნებით უფსკრულების ხვრელთა გადაწვა.**

**არ იფიქროთ, ბოლო დროის სტალინი-კობა წარმოსადეგი ვაჟკაცი იყოს, მის მხრებს ამშვენებდეს გრაფი**



«ცქვიტი, მალხაზი, შავი გრუზა თმითა და თითქოს ნახშირით გადაკალმული წარბებით, პატარა, ელვარე შავი თვალებით თვალწინ გიდგებოდათ სიცოცხლის მოტრფიალე, დაჩაგრული, ობოლი ბავშვი, მარტოობაში რომ უცნაურ ფიქრებში დასცურავს და ფიქრებითვე სწვავს სულის მშფოთვარე ტბის კაეშნის ლელნარს. სულიერ იდუმალ მღელვარებას რელიგიური ექსტაზით ჰკლავდა იგი და საღმრთო ჰიმნებით იკვლევდა სასოწარკვეთილების მკვდარი ზღაპრის გაყინულ ბილიკს იმ ნორჩ სულთა საჯალათოს ცივ კედლებში, რასაც სასულიერო სასწავლებელი ერქვა»



**მირაბოს მანტია, თუნდა რობესპიერის „ტრაგიზმის მშვენიერების ბეჭედი“, რასაც ასე რიგად სდავობს მისი მასწავლებელი, ხოლო ეროვნულ საკითხში მისი მოსწავლე ლენინი, არა! ეხლაც შორს არ წასულა ტანჯვით გამოკვესილი სტალინი პირველ ბიჭის სოსელოსაგან. განსხვავებაა მხოლოდ შავი წვერ-ულვაში და მუქი, მოლურჯო პენსნე! სხვაფრივ მისი ნიღაბი უცვლელია.** ონორე მირაბოობა რომ გასწიოს, მას სჭირია ხუთჯერ მეტი ფიზიკური დასრულება, ველური ჰიპნოზი! მის დონკიხოტურ გამხდარ კისერს დამოკლება და ფაფუკი ღაბაბით შემოფარკვლა, ხოლო მის მშვენიერ ტენორს — იერიქონის საყვირად მოხმარება. ერთით აღემატება ხსენებულ გრაფს — ხასიათის სიმტკიცით! მას ვერავითარი **მარია ანტუანეტა** ვერ მოისყიდის, რომ რწმენა ვნების კოცონზე დასწვას და ისტორიის წინაშე გამურული პირბადით წარდგეს! ამ შემთხვევაში სოსო ისეთივე უდრეკია, როგორც პატარაობისას, როდესაც ინსტიქტურად ნორჩ სულთა საჯალათოს კედლების გასარღვევად სულ გარეთ მიიწევდა.

**სტალინი-კობა ამხანაგებთან ერთად დღეს რევოლუციის უახლეს ფურცლებს სწერს. ნუ გაგიკვირდება, თუ (ორის ათეულის წლის შემდეგ) ჩვენის ბედნიერის თვალით წავიკითხავთ მის მიერ ხელმოწერილ დეკრეტს წითელი ტერორის დასაწყისად... ბუნებრივი იქნება, სოსელოს შესაფერი!**

და, როგორც **ყაზბეგის** გმირმა კობამ ანაცვალა თავის ძმადნაფიც იაგოს ერთი სროლით დიაბეგი და გრიგოლა, ისე ანაცვალა სოსელო-კობამ ლენინს ერთი სროლით ძველი და ახალი მთავრობა“ (დავით კასრაძე ქ. გორი-თბილისი, გაზეთი „საქართველო“, 1917 წლის გიორგობისთვე 8 (27) №247 გვ. 2-3.).

**დავით კასრაძე გორის რაიონის სოფელ ავნევში დაიბადა 1885 წლის 27 დეკემბერს. სტალინზე 6 წლითა და 6 დღით არის უმცროსი. 1901 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იცოდა მრავალი ენა, განათლება მიღებული ჰქონდა ევროპაში. პარიზში სწავლის პერიოდში (ფილოსოფიის ფაკულტეტზე) პიურეს პანსიონში მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, თედო სახოკია, კონდრატე თათარაშვილი და გერონტი ქიქოძე. დავით კასრაძე 1914 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო აქტიური სამწერლო და ჟურნალისტურ საქმიანობა. ის მრავალი გაზეთის რედაქტორი და რომანების თუ ესეების ავტორია. სწორედ 1917 წელს განჭვრიტა მან, რა გზით ივლიდა და რას მიაღწევდა კობა-სტალინი და რა უზარმაზარ კვალს დაამჩნევდა იგი მე-20 საუკუნეს.**

განსაცვიფრებელია დავით კასრაძის წინასწარი ხედვა წითელ ტერორსა და მისი ჩატარების აუცილებლობაზე. აზროვნების ყოველგვარ საზღვარს სცილდება ნათლად დანახვა სატუსაღოდან ახალგამოსული კობა-სტალინის გიგანტური შურისძიებისა, რომლის მსგავსიც ხალხთა თავისუფლებისათვის ჩაიდინა ყაზბეგის გმირმა კობამ. მისი განზოგადოება და მსოფლიოს ჭრილში გადატანა და ტუსაღის სამოსგაუხდელი, მშიერმწყურვალი ახალგაზრდისთვის ამ მისიის დაკისრება და აღსრულების წინასწარი განცდა თითქოს ადამიანურ აზროვნებას სცილდება.

დავით კასრაძე ეროვნულ იდეებზე აღზრდილი და ამ იდეების გამტარებელი მოღვაწე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ლენინს აფასებდა და ადიდებდა, პროლეტარიატის ბელადს ეროვნულ და ნაციონალურ საკითხში სტალინის მოწაფეს უწოდებდა. მინდა, კიდევ ერთხელ გაგაცნოთ ამ დიდი ქართველის დამოკიდებულება ეროვნული საკითხის მიმართ:

„ლენინს ეროვნული საკითხი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობდა კლასთა ბრძოლის გაჩაღებას. რუსეთში 1907 წლიდან ეროვნული საკითხი საოცარის სისწრაფით იზრდება, თუმცა არც ერთს მოქმედს პარტიას განსაზღვრული ფორმა არ წამოუყენებია, თუ რა ნიადაგზე უნდა ყოფილიყო იგი დამყარებული, მაგრამ რა სახელიც უნდა დაერქვას ამ მოვლენას, რეაქციონური თუ არარეაქციონური, დღეს ფაქტია და ანგარიში უნდა გაეწიოს. როგორ იქცევა ამ დროს ს. დემოკრატია (სოციალ-დემოკრატია — გრ.ო.)? იგი კვლავ 1903 წ. შემუშავებულ პროგრამის მე-3 და მე-9 პუნქტს ემყარება, რომელიც დღემდე ვერც ერთს ქვეყნის სოციოლოგს, იურისტს თუ სხვა დარგის მეცნიერს ვერ გაურკვევია, თუ რა არის ეს „თვითგამორკვევა“, რა სახელი ვუწოდოთ ამ არაჩვეულებრივ ტერმინსაო! აქაა ჩვენი შეცდომა. **შემუშავებული თეორია თუ პრაქტიკულ ცხოვრებასთან არ იქნება შეზომილი, ყოველთვის მშრალს თეორიად დარჩება და ბუნდოვანობის მეტს არას გამოიწვევს. ქართული ეროვნული საკითხი კი კონკრეტულად არის წამოყენებული. იგი თხოულობს გადაჭრილ პასუხს, როგ-** ▶

„არ იფიქროთ ბოლო დროის სტალინი-კობა წარმოსადეგი ვაჟკაცი იყოს, მის მხრებს ამშვენებდეს გრაფი მირაბოს მანტია, თუნდაც რობესპიერის „ტრაგიზმის მშვენიერების ბეჭედი“, რასაც ასე რიგად სდავობს მისი მასწავლებელი, ხოლო ეროვნულ საკითხში მისი მოსწავლე ლენინი, არა! ეხლაც შორს არ წასულა ტანჯვით გამოკვესილი სტალინი პირველ ბიჭის სოსელოსაგან“.

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავით კასრაძე გორის რაიონის სოფელ ავნევში დაიბადა 1885 წლის 27 დეკემბერს. 1901 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იცოდა მრავალი ენა, განათლება მიღებული ჰქონდა ევროპაში. პარიზში სწავლის პერიოდში (ფილოსოფიის ფაკულტეტზე) პიურეს პანსიონში მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, თედო სახოკია, კონდრატე თათარაშვილი და გერონტი ქიქოძე. დავით კასრაძე 1914 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო აქტიური სამწერლო და ჟურნალისტური საქმიანობა. ის მრავალი გაზეთის რედაქტორი და რომანებისა თუ ესეების ავტორია. სწორედ 1917 წელს განჭვრიტა მან, რა გზით ივლიდა და რას მიაღწევდა კობა-სტალინი და რა უზარმაზარ კვალს დაამჩნევდა იგი მე-20 საუკუნეს**

**ორც ისტორიული მოვლენა! მით უმეტეს, რომ იგი მარტო მხოლოდ რუსეთით არ განისაზღვრება. იგი აუცილებელი თანამგზავრი იქნება ეპოქისა.** ეროვნული პოლიტიკა ფეოდალურ წესწყობილების დანგრევისთანავე აუწერელს როლს ითამაშებს. იგი გააერთიანებს სხვა და სხვა ეროვნებებს და საძირკველს ჩაუყრის ხვალინდელ იურიდიულ სახელმწიფოს. ფეოდალურ ციხე-კოშკების ნგრევას მოსდევს მოქალაქეობრივი ზრდა, გავიყვანთ გზებს, ნატურალისტური წარმოება განვითარდება, მრეწველობა მოიკიდებს ფეხს, ინდუსტრია ფრთებს გაშლის და ახალი საწარმოო იარაღების გაუმჯობესებით შეიქმნება კაპიტალი, რომელიც საოცარის სისწრაფით გაიზრდება და ჯადოსნურ თილისმით გაარღვევს ფეოდალურ ნაშთებზე გავლებულ სხვა და სხვა სახელმწიფოთა საზღვრებს! ამიტომ არის, რომ იქ, სადაც კაპიტალმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, ეროვნულ საკითხს ნიადაგი გამოეცლება, განვითარდება დემოკრატია და ბრძოლა იგი უთმობს თავის ადგილს კლასთა ბრძოლას, ბურჟუათა და პროლეტარებს. პირიქითაა ის ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ ფეოდალურ წეს-წყობილებას ნახევრადაც ვერ გასცილებიან, მაგალითისთვის აიღეთ, ერთი მხრივ, შვეიცარია და მეორე მხრით — ავსტრია... ახლა თუ გადავხედავთ რუსეთს, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, იგი ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანაა. სადაა ინდუსტრიალური წარმოება? სადაა კაპიტალის მოძრაობა? აი, ამიტომ არის, რომ ეროვნული საკითხი ასე გაცხოველდა. ახლა ამას დაუმატეთ ხელოვნურად აშენებული სახელმწიფო და აშკარად დაინახავთ, თუ რად მწვავდება საკითხი იგი ასეთის სახით. რაღაცა განგებით გაბატონებულ ველიკორუსებს ვუმორჩილებთ მასზე წინ წასულ ერებს. პოლონეთის ვიწრო ფარგლებმა უნდა შთანთქას მასზე ბევრად დიდი მხარე უკრაინისა; ასევე ითქმის ფინლანდიაზე, კავკასიაზე და სხვა. თქმა არ უნდა, რომ ხელოვნური შეერთება და იძულებითი პოლიტიკა ეროვნულ მოძრაობას გააცხარებს. **თუ გვსურს სოციალური განვითარება, ერებს უნდა მიენიჭოს საკუთარი ტერიტორია, რომ ნაციონალურს ბრძოლაზე არ იხარჯებოდეს ის ენერგია, რომელიც ასე რიგად საჭიროა სხვა და სხვა სოციალური საკითხების გადასაჭრელად. ასე ერი უფრო სწრაფად აუღებს მრეწველობასა და ვაჭრობას ალღოს, ამაში სწრაფად დაეხმარება მშობლიური ენა. საჭირო აღარ იქნება მისთვის თარჯიმნების ძებნა. მეცნიერებაც მშობლიურ ენაზე უფრო მარჯვედ შეისწავლება, ვიდრე უცხო ენაზე.** ერთი სიტყვით, თავისუფალ ვაჭრობისათვის საჭიროა თავისუფალი ენაც. აი, ამიტომ გვაინტერესებს ქართველი ერის დამოუკიდებლობა, მათი ენა, დიალექტები, ისტორია, გეოგრაფიული პირობები, სპეციფიკური ხასიათი და სხვა. პრინციპი ტერიტორიისა ოდნავაც არ ეწინააღმდეგება პოლიტიკურს თუ ეკონომიკურს ინტერესებს. პირიქით — ეს ერთადერთი საშუალებაა კაპიტალისტურ წარმოების განვითარებისა. ტერიტორიალური და არავითარი ეროვნული უპირატესობა, სრული გარანტია ერების დაცვისა, — აი ის საშუალებანი, რომელნიც აუცილებლად მიგვაჩნია. შემდეგ კამათში მოვიხსენიე ლენინის მიერ მოყვანილი ისტორიული საბუთები, თანამედროვე სახელმწიფოთა წესწყობილების ანალიზი, რომლის განსაზღვრა-განმარტებას მთელი ოთხი საათი შეალია. ყველა ამას დაინტერესებული მკითხველი ბაუერის თხზულებაში იპოვის, რომელიც რუსულადაც არის ნათარგმნი. მე ყურადღება მივაქციე იმ მხარეს, რაც ცოტა არ იყოს, საჩოთიროდ მიაჩნია უჩვეყურს სოციალ-დემოკრატის პირიდან, მაგრამ იმდენად რეფერატი არ იყო საინტერესო, რამდენადაც ოპონენტების გამოსვლა „მენშევიკების“ მხრით. კამათი ერთი დღით არ გათავებულა და მეორე დღესაც გაგრძელდა, ლენინი აღარ დასწრებია. მენშევიზმის წარმომადგენელი **სენკოვსკი** გახლდათ. იგი კულტურული ავტონომიის მომხრეა. საინტერესოა, რომ სენკოვსკიმაც უარჰყო ბრალდება, სოციალ-დემოკრატები არასოდეს ეროვნულ საკითხის წინააღმდეგნი არ ვყოფილვართ, მარქსის სიტყვები, რომ „პროლეტარს სამშობლო არა აქვს“, ეს ზოგადად კი არ უთქვამს, არამედ, კერძოდ, ჩეხ პროლეტარებზე იყო ნათქვამი, რომელებსაც ჩეხი კაპიტალისტები ქარხნებიდან ერეკებოდნენ და მათს ადგილას უცხო პროლეტარები მოჰყავდათო. სხვა მხრივ, როგორ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარს სამშობლო არა აქვს? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სათითაოდ, თვითეული ერი გამოვყოთ, ტერიტორია დავაქუცმაცოთ და ერთმანეთს გადავკიდოთ ერები! არა, კავკასია, მაგალითად, ტერიტორიალური ავტონომია პრინციპად რომ ვაღიაროთ, და ათასად დავქრათ, „ქაშის“ მეტი არა გამოვა-რა! პოლონეთში, მაგალითად, მრავალი ებრაელობა ცხოვრობს. თუ ტერიტორიალური ავტონომია ვაღიაროთ, ისინი სად უნდა წავიდნენ? კულტურული კი აუცილებელია. უფლება უნდა ჰქონდეს ყველაფერს, ჩვენ ჩვენი სასწავლებლები უნდა ვიქონიოთ. **ლენინი ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ჰკლავს თვითეული ერის სულს! აქ ტერიტორია კი არ თამაშობს როლს, არამედ რასიული ფსიქიკა, რასიულ სპეციფიკური თვისებანი და ხასიათები.** სენკოვსკი დიდი მოწინააღმდეგე იყო ტერიტორიალური ავტონომიისა და ლენინს ჰკიცხავდა, რად ჰქადაგებ სახელმწიფოს დაქუცმაცებასაო. ლენინმა ამაზე მოკლედ უპასუხა: თანამედროვე კანონმდებლობის მიხედვით, ცოლ-ქმრის გაყრა აკრძალულია. ვთქვათ, ერთად ერთი მე გამოვედი და საქვეყნოდ ვაღიარე, საჭიროა ცოლ-ქმართა გაყრა, თუ მათ ერთად არ შეუძლიათ ცხოვრება. ნუთუ ამას კიდევ მტკიცება სჭირია, თუნდა მთელს იმპერიაში არც ერთი მომხრე არ გამოვიდეს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჯოხით ჩამოვუარო და ყველა ქმრებს ცოლები მოვაშორო? ასეთი როლი არც მიკისრია და არც ვიკისრებ, მაგრამ რა ვქნათ, თუ ცოლ-ქმარნი ვერ რიგდებიან? ნუთუ გულგრილად უნდა დავდგეთ და მათ ცემა-ტყეპას ვუყუროთ და გაცლასაც ვუშლიდეთ? ასეთი როლი კი მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იკისროთ, მომილოცნია! — კამათობდა ლენინი. როგორც მკითხველი დაინახავს, ს. დემოკრატების ახალი რეფორმა ეროვნულ საკითხში იძულებითი რეფორმაა, რომლის გზასაც უფრო ადრე ბუნდის პარტია დაადგა, ხოლო დასავლეთ ევროპაში ავსტრიის ს. დემოკრატია **ბაუერის** მეთაურობით. ბაუერი ექსტერიტორიალური ავტონომიის მომხრეა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ეს პრინციპი მიიღო, ოღონდ ფრაქციული ფერადებით შეაზავა. საოცარი ის არის, რომ ამ ფრაქციულმა შეჯახებამ ისინი დააყენა სწორედ იმ პოზიციაზე, რომელზეც **ლავროვ-მიხაილოვსკი** იდგნენ, ხოლო ჩვენში — **მაიაშვილი ლალი**, დიდი მამულიშვილი, განსვენებული **არჩ. ჯორჯაძე** და მისი თანამოაზრენი. სახელმძღვანელო მეთოდი კი ერთგვარი აქვთ: ბაუერიც, „მენშევიკობაც“ და „ბოლშევიკობაც“ ისტორიის ერთგვარ არსენალს მისდგომიან, ერთსა და იმავე მასალას ჰკრებენ, ოღონდ სხვა სახელებს არქმევენ, მაგრამ ამჟამად ეს კრიტიკა არ მაინტერესებს. აბა, რა გასაოცარი უნდა იყოს ჟინიანი ფრაქციის საკადრისი თუ უკადრისი ფანდები? საოცარი ის არის, რომ ამ თეორიის შემქმნელი ბაუერი, როგორც ებრაელი, ინსტიქტურად მაინც თავის რასის საკეთილდღეოდ იფიქრებდა, რომ შეღავათი მისცემოდა ავსტრიაში მყოფ ებრაელობას; ისიც გასაგებია, რომ რუსეთის „მენშევიზმის“ შემადგენლობა, რომლის უმრავლესობა ებრაელობაა, მისი მომხრენი იქნებოდნენ (რაა დასამალი, მაგალითს იგივე ბ-ნი სენკოვსკი გვიჩვენებს და მთელი ის არმია, რომელიც კამათის დროს მონაწილეობას იღებდა, ებრაელებს არ გასცილებია); **ებრაელობის გულჩათხრობილი პატრიოტიზმი დღეს გაფაციცებით იკრებს ახალგაზრდობას პარიზში, ფრანგულ და ებრაულ ფურცლებით მოუწოდებს უცხოეთში გაფანტულ მოსწავლეებს ახალაღთქმული ქვეყნის აღმოსაჩენად. არა ეს ჩვენ — ქართველებს არ გაგვიკვირდება! არცა გვშურს, არც დავიშურებთ არასოდეს;** ყველა ეს ბუნებრივია, მოსალოდნელი, მაგრამ ის არის საოცარი, რომ **ჩვენებური ს. დემოკრატებიც ყოველ ღონესა ხმარობენ, დაამტკიცონ, რომ ტერიტორია აღარა გვაქვს და მისი მოთხოვნაც ამაოა! ჯანი გავარდეს, ამას რომ მარტო შინაურებთან ბრძოლაში ამბობდნენ და უცხოებსაც არ გვისისინებდნენ! სენკოვსკიმ, მაგალითად, შენიშვნაზე, რომ ქართველებს უფლება აქვთ, ტერიტორიული ავტონომია მოითხოვონ, სულ თავი წაიკლა, უტოპიად ჩასთვალა! შეურაცხყოფაც კი მომაყენა: „თქვენ არ იცით საქმის ვითარება, თორემ მაგას როგორ იტყოდით, საქართველოს ძველ მიჯნებზე ეხლა უცხო ელემენტები უმრავლესობას შეადგენენ, ვიდრე ქართველებიო.** საბუთი? ის, რომ ამ ოპონენტზე უფრო „კომპეტენტურ პიროვნებას“, როგორიც არის დეპუტატი **კარლო ჩხეიძე,** მისთვის ციფრებით დაუმტკიცებია, რომ საქართველო არ არსებობს!.. რომ ქართველი უცხოელებშია ათქვეფილი! ქიმერაა ფედერალისტების ავტონომიის მოთხოვნა! მათ მხარს აღარავინ უჭერს, რაც იქიდანა სჩანს, რომ საქართველოს ძველ სატახტო ქალაქიდან ს. დემოკრატი გაიგზავნა დეპუტატად.

მოდი და, ეხლა სთქვი კეთილი! **ვთქვათ, რომ ტფილისში უცხო ელემენტი უფრო მეტია, ვიდრე თვით ქართველობა. ნუთუ ეს რაიმე საბუთს გვაძლევს? ასე თუ არის, პეტერბურგი რომელ სახელმწიფოს უნდა მივაკუთვნოთ? ლონდონი? ანტვერპენი? პარიზი? მაგრამ დავთანხმდეთ, რომ დე ფაქტო ქართველი ერს სწყდება, ნადგურდება, ნუთუ ამ გარემოებამ უნდა აღაფრთოვანოს ადამიანი, ოღონდ მარტო იმიტომ, რომ მას „სადეპუტატო“ სერთუკს ჰპირდებიან? რას ნიშნავს ასეთი სიმახინჯე, ასეთი გაუწითლებელი ყოყოჩობა!** ასეა თუ ისე, მიუხედავად ასეთი არა სასიამოვნო დასკვნისა, ლენინის რეფერატით პირისპირ ვნახე „შეუდრეკელი“ პარტიის უკუქცევა, ვნახე გაცხარებული მტკიცება იმის, რის გულისთვისაც ჩვენებურმა დასელებმა გაანდევნეს ლ.დ.-შვილი, ჯვარს აცვეს **გომართელი** და მისი გულწრფელობა საზიზღარი ტერმინებით მონათლეს. ვუყურებდი და არ მჯეროდა, რომ სოციალ-დემოკრატები (დიახ, სოციალ-დემოკრატები!) კანონიერად სთვლიდნენ, რაც რომ გუშინ ზღაპარი იყო! ზოგიერთის თავგამოდებულის არგუმენტები იმდენად მკვეთრი იყო, რომ ბევრს გულწრფელს მამულიშვილს შეეშინდებოდა, არ წამომცდეს, თორემ „ზოოლოგიურ პატრიოტობაში“ ჩამომართმევენო. **ნათლად დავინახე, რომ „მენშევიკთა“ ექსტერიტორიალური ავტონომია უფრო პატრიოტული მოთხოვნილებაა, ვიდრე ავტონომისტთა ტერიტორიალური ავტონომია. ბრძოლა ეროვნული საკითხების შესარჩენად, ეს ხომ ჩვენთვის იგივე არსებობისათვის ბრძოლაა!** თანამედროვე ბოტანიკამ იცის უდაბნოს ისეთი მცენარე, რომელიც პაპანაქება სიცხეში თავის ფოთლებს შემოიცვამს, რათა შესასვლელი წყალი ღეროში მოკრიბოს და ამრიგად სიცოცხლე გაიგრძელოს, იგი ებრძვის მომაკვდინებელ ცხოველებსაც კი... საკმარისია, რომელიმე მშიერი ზღვის ცხოველი მიეტანოს, რომ მეტამორფოზა მოხდეს და ღერო იგი ეკლად ეძგეროს ცხოველს. ასეთ ბრძოლას ეწევა უმწეო მცენარეც-კი!

მაშ, **რა ხდება ჩვენი ქართველი ერის თავს, როცა კითხვა მის ყოფნა-არყოფნას შეეხება? რა არის საამაყო? ტერიტორია აღარ გვქონდეს და გავნადგურდეთ? ნუთუ პასიურ სიკვდილში უნდა გამოვხატოთ ჩვენი არსებობა? ქართველი ერი, როგორც სოციოლოგიური ერთეული, უბრალო ნივთიერება არაა, რომ „დიდ ერს“ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მოსანელებლად გაღებულ პირში ისე ჩაუვარდეს, როგორც ოკეანეში პირდაღებულ ვეშაპს უცვივდებიან უდარდელად ტალღებზე მოთამაშე პატარ-პატარა ცხოველები.**

ეს ანბანური ჭეშმარიტება რამდენადაც მალე იქნება ანბანურ ჭეშმარიტებად აღიარებული, მით უკეთესი“. ლენინმა დარბაზი მიატოვა! როგორც ვთქვი, კამათი მეორე დღესაც გაგრძელდა, მაგრამ ლენინი აღარ დასწრებია...

**P.S. უნივერსიტეტის დერეფანში ლენინმა განმიცხადა, რომ „ეროვნულ საკითხზე“ მუშაობს ახალგაზრდა მარქსისტი — იოსებ ჯუღაშვილი და უმჯობესია, მას მიაკითხოთო“.**

დ.კ.“



დავით კასრაძე (მარცხნივ) და გალაკტიონ ტაბიძე (მარჯვნივ)

გაგრძელება შემდეგ ნომერში

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს საქართველოში პენსია 180 ლარია, საარსებო მინიმუმი — 174 ლარი, ხელისუფლების წარმომადგენლები კი, რომლებიც, უზარმაზარ ხელფასებთან ერთად, პრემია-დანამატებსაც იღებენ, მხოლოდ ახლა ალაპარაკდნენ მრავალშვილიანი ოჯახების (საქართველოში მხოლოდ 12 369 ოთხ და მეტშვილიანი ოჯახია) დახმარებაზე ყოველთვიური 20-ლარიანი ვაუჩერით ელექტროენერგიაზე(?!) — პარლამენტში ახლახან შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, ოთხშვილიან ოჯახებს ყოველწლიურად ელექტროენერგიაზე 240-ლარიანი სუბსიდია მიეცემათ, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 120 ლარი დაემატებათ. კანონპროექტის მიხედვით, „მრავალშვილიანად ჩაითვლება ოჯახი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ოთხი(!) და მეტი შვილი“.**

**1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში დემოგრაფიული ვითარება განუხრელად უარესდება: შემცირდა შობადობა, მოიმატა მოკვდავობამ, ქვეყანაში ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით სრულდება; არნახულ მასშტაბს მიაღწია ემიგრაციულმა პროცესებმა — 1989-2014 წლებში 1,7 მილიონი ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა. ამასთანავე, საქართველო ყველაზე დაბერებული ქვეყნების სიაშია. 2002-2014 წლებში, 13 წლის განმავლობაში, ოფიციალური მონაცემებით, რამდენიმე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა თითქმის განახევრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული პირობებისა და ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში 13 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტები მოსახლეობისგან დაიცლება. დანარჩენი მუნიციპალიტეტების გაუკაცრიელებას კი 20, დიდი-დიდი, 40 წელი დასჭირდება. ცნობილი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის მონაცემების მიხედვით, მომავალ წლებში შობადობის დონე რომ არ შემცირდეს და ცოტა მოიმატოს კიდეც, მოსახლეობის დეპოპულაცია გაგრძელდება და ქვეყანა დემოგრაფიულად ისე დასუსტდება, რომ სხვა ხალხი დაიჭერს დომინანტის ადგილს.**

# მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად, სჯობს, დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს ხელფასები შეუმცირდეთ

## მრავალშვილიანი ოჯახისთვის თვეში 20 ლარის გადაგდებას შეიძლება დახმარება დავარქვათ?!




**საქართველო, რომლის ხელისუფლებაც ხშირად იკვეხნის, რომ ამა თუ იმ სარეიტინგო სიაში მოწინავე პოზიციაზეა, ისევე როგორც პენსიის, საარსებო მინიმუმისა და საშუალო ხელფასის მხრივ, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გაწეული დახმარების მიხედვითაც ძალიან ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, არამედ მეზობლებს — რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, ლაპარაკი აღარ არის ევროპის ქვეყნებზე**

დღეს საქართველოში პენსია 180 ლარია, საარსებო მინიმუმი — 174 ლარი; ხელისუფლების წარმომადგენლები კი, რომლებიც, უზარმაზარ ხელფასებთან ერთად, პრემია-დანამატებსაც იღებენ, მხოლოდ ახლა ალაპარაკდნენ მრავალშვილიანი ოჯახების (საქართველოში მხოლოდ 12 369 ოთხ და მეტშვილიანი ოჯახია) დახმარებაზე ყოველთვიური 20-ლარიანი ვაუჩერით ელექტროენერგიაზე(?!) — პარლამენტში ახლახან შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, **ოთხშვილიან ოჯახებს ყოველწლიურად ელექტროენერგიაზე 240-ლარიანი სუბსიდია მიეცემათ, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 120 ლარი დაემატებათ.** კანონპროექტის მიხედვით, „მრავალშვილიანად ჩაითვლება ოჯახი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ოთხი(!) და მეტი შვილი“.

**საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის უფსკრულში გადასაჩეხად არის გამზადებული, ქვეყნის ხელისუფლება კი უსუსურად ცდილობს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, თუ შეიძლება, მრავალშვილიანი ოჯახისთვის თვეში 20 ლარის გადაგდებას დახმარება დავარქვათ. არადა, მსოფლიოში არ არსებობს განვითარებული ქვეყანა, რომელიც არ ზრუნავს დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებაზე და შემუშავებული არ აქვს დახმარებებისა და შეღავათების პაკეტები დედების, ახალშობილებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რადგან მოსახლეობის შემცირება ხელს უშლის სოციალურ სტაბილურობასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.**

აი როგორი ვითარებაა ამ მხრივ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:

* **საფრანგეთში** მრავალშვილიანი ოჯახების მხარდასაჭერად შემუშავებულია პროგრამა „დიდი ოჯახი“, რომელიც 1921 წლიდან მოქმედებს. შობადობის სტიმულირებისთვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გამოყოფილია სუბსიდიები და დაწესებულია საგადასახადო შეღავათები. მაგალითად, ყოველი შემდგომი შვილის გაჩენის შემდეგ ოჯახს უმცირდება გადასახადები ისე, რომ ოთხშვილიანი ოჯახი თითქმის არაფერს იხდის. აგრეთვე, მნიშვნელოვნად უმცირდება კომუნალური, სამედიცინო მომსახურების გადასახადები; შეღავათით სარგებლობს მგზავრობისას და ა.შ. ამასთანავე, მეორე და მესამე შვილის გაჩენის შემდეგ მშობლებს სახელმწიფო ეხმარება 120 ევროთი (390 ლარი) ყოველთვიურად. 4 შვილზე კი ყოველთვიური დახმარება შეადგენს 428 ევროს, ანუ 1412 ლარს (!), ხოლო მეხუთე და შემდეგ შვილზე კიდევ ემატება 154 ევრო (508 ლარი).

* ანალოგიური სისტემა მოქმედებს **გერმანიაშიც.** მრავალშვილიან ოჯახებს პირველი შვილის გაჩენის შემდეგ ეძლევათ 184 ევრო (607 ლარი), მეორე შვილის გაჩენის შემდეგაც — 184 ევრო, მესამე შვილის შემდეგ კი — 190 ევრო (627 ლარი), თუ ოჯახი მცირეშემოსავლიანია და მშობლების ხელფასი 1632 ევროა (5385 ლარი);

* **დიდ ბრიტანეთში** პირველ შვილზე დახმარება შეადგენს 105 ევროს (346,5 ლარი) თვეში; მეორე შვილზე — დამატებით 70 ევროს (231 ლარი), მესამე და შემდეგ შვილებზე — 70 ევროს;

* **იტალიაში**, თუ მშობლებს წელიწადში 11 422 ევროზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, პირველ შვილზე სახელმწიფოსგან იღებს 250 ევროს (825 ლარი) თვეში;

* **შვედეთში** მრავალშვილიან ოჯახებს სახელმწიფო მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს; მათთვის, აგრეთვე, დაწესებულია საგადასახადო შეღავათები საცხოვრებელზე, ბავშვების სკოლაში სწავლაზე, მრავალშვილიან ოჯახებს აძლევენ ტალონებს საკვებ პროდუქტებზე და ა.შ. **შვედეთში მრავალშვილიანად ითვლება ოჯახი, რომელსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავს.**

პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ სახელმწიფო ოჯახს ყოველთვიურად აფინანსებს 120 ევროთი (396 ლარი), მეორე ბავშვის გაჩენის შემდეგ — 251 ევროთი (823 ლარი); სამ და მეტ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება შეადგენს 411 ევროს (1356,3 ლარი), ოთხ და მეტ შვილზე — 629 ევროს (2075,7 ლარი);

* **ამერიკის შეერთებულ შტატებში** ბავშვების გაჩენისთვის დახმარება არ არის. გამონაკლისია მცირეშემოსავლიანი ოჯახები (1305 დოლარზე ნაკლები თვეში), რომლებსაც ეხმარებიან ინდივიდუალური მიდგომით. იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები, ერთადერთი დახმარებაა საგადასახადო შეღავათები, რომელიც წელიწადში 1000 დოლარია ერთ ბავშვზე.

* ევროპის ქვეყნებთან შედარებით დიამეტრულად საწინააღმდეგო ვითარებაა **ჩინეთში**, სადაც სახელმწიფო შობადობის შესამცირებლად 1970-იანი წლებიდან ატარებს მკაცრ პოლიტიკას: „ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი“. წყვილებს, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქში, უფლება აქვთ, ჰყავდეთ ერთი შვილი; სოფელში მცხოვრებთ — 2 შვილი, იმ პირობით, რომ პირველი გოგო იქნება. ოჯახებს, რომლებიც დაარღვევენ შობადობის ლიმიტს, ფულადი ჯარიმა ემუქრებათ.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მხრივ საქართველოზე გაცილებით უკეთესი ვითარებაა მეზობელ ქვეყნებსა და ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში:

* 2018 წლიდან **რუსეთში** პირველი შვილის გაჩენის შემდეგ 0-დან 1,5 წლამდე ჩვილის მშობლებს სახელმწიფო უხდის თვეში 800 რუბლს — დაახლოებით 35 ლარს; 1,5-დან 3 წლამდე — 1600 რუბლს, ანუ დაახლოებით 70 ლარს. ბავშვის დაბადებისთანავე მშობლები ერთჯერადად იღებენ 13 741,9 რუბლს (590 ლარს); ამდენივეა ფულადი დახმარება მეორე შვილზეც, მაგრამ მთლიანი ერთჯერადი დახმარება — „დედობის სერტიფიკატი“ უკვე 429 408 რუბლს შეადგენს, ანუ 18 464 ლარს; მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადებისას სახელმწიფოს დახმარება ანალოგიურია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში მოქმედებს ე.წ. უშვილობის გადასახადი, ანუ მშობლები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები, მიუხედავად ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობისა, ყოველთვიურად იხდიან დაახლოებით 5 ლარს.

* **ბელარუსში** პირველ შვილზე (0-დან 3 წლამდე) სახელმწიფოს დახმარება (წელიწადში 2-ჯერ) შეადგენს 401-401 ბელარუსულ რუბლს, ანუ დაახლოებით 670 ლარს წელიწადში. პირველ შვილზე მშობლების ერთჯერადი დახმარება 1 993,2 ბელარუსული რუბლია — დაახლოებით 2390 ლარი, მეორე და შემდეგი შვილის გაჩენის შემთხვევაში სახელმწიფო მშობლებს თვეში 2790,48 ბელარუსული რუბლით ეხმარება;

* **სომხეთში,** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ და მეორე შვილზე ოჯახებს ერთჯერადად ეძლევათ 50 ათასი დრამი, ანუ 250 ლარი; მესამე და მეოთხე შვილის გაჩენისას — 1 მლნ დრამი, ანუ დაახლოებით 5000 ლარი; მეხუთე შვილზე კი — 1,5 მლნ დრამი, ანუ 7500 ლარი;

* **აზერბაიჯანში,** სადაც მოსახლეობა 10 მლნ-ს აღწევს, ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი ბავშვი, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბინით, აგრეთვე, იპოთეკური შეღავათებით. ამასთანავე, სახელმწიფო 4 და მეტშვილიან ოჯახებს ერთჯერადად ან ყოველთვიურად ეხმარება მინიმალურ ხელფასზე 12-ჯერ მეტი თანხით. აზერბაიჯანში მინიმალური ხელფასი არის 130 მანათი (186,3 ლარი), ანუ 4-შვილიან ოჯახს სახელმწიფო დაახლოებით 2235 ლარით ეხმარება;

* **უკრაინაში** მრავალშვილიანად ითვლება ოჯახი, რომელშიც იზრდება 3 და მეტი ბავშვი. ეს ოჯახები 50%-ით ნაკლებს იხდიან საცხოვრებელში, აგრეთვე, ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაში. შეღავათებით სარგებლობენ წამლის ყიდვის ან სამედიცინო მომსახურების გაწევისას. დედის ფასიანი დეკრეტული შვებულება განსაზღვრულია 70 დღით მშობიარობამდე და 56 დღით — მშობიარობის შემდეგ. ბავშვის გაჩენის შემდეგ მშობლებს სახელმწიფო ეხმარება 41 280 გრივნით (დაახლოებით 3700 ლარი), ოღონდ ეს თანხა 6 თვის განმავლობაში გაიცემა.

როგორც ხედავთ, **საქართველო, რომლის ხელისუფლებაც ხშირად იკვეხნის, რომ ამა თუ იმ სარეიტინგო სიაში მოწინავე პოზიციაზეა, ისევე როგორც პენსიის, საარსებო მინიმუმისა და საშუალო ხელფასის მხრივ, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გაწეული დახმარების მიხედვითაც ძალიან ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, არამედ მეზობლებს — რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, ლაპარაკი აღარ არის ევროპის ქვეყნებზე.**

ამჟამად საქართველოს პარლამენტის თითოეული წევრი, ხალხის რჩეული დეპუტატი, დანამატებია- ▶

**საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის უფსკრულში გადასაჩეხად არის გამზადებული, ქვეყნის ხელისუფლება კი უსუსურად ცდილობს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, თუ შეიძლება, მრავალშვილიანი ოჯახისთვის თვეში 20 ლარის გადაგდებას დახმარება დავარქვათ. არადა, მსოფლიოში არ არსებობს განვითარებული ქვეყანა, რომელიც არ ზრუნავს დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებაზე და შემუშავებული არ აქვს დახმარებებისა და შეღავათების პაკეტები დედების, ახალშობილებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რადგან მოსახლეობის შემცირება ხელს უშლის სოციალურ სტაბილურობასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ბესარიონ ხვისტანი და მისი ოჯახი

**კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების ფონზე, როცა საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები იხარჯება მთავრობის წევრებისა და დეპუტატების შესანახავად, აგრეთვე, ტოტო კუტუნიოს, რობი უილიამსისა და ელტონ ჯონის ჩამოსაყვანად, ხელისუფლება კი მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად მხოლოდ გროშებს იმეტებს, ხომ არ სჯობს, დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს შეუმცირდეთ ხელფასები, მაგალითად, 500-500 ლარით და ჯამური თანხა მრავალშვილიან ოჯახებს მოხმარდეს?**

◀ ნად 3700 ლარს იღებს; კომიტეტისა და თავმჯდომარის მოადგილეები — 3905 ლარს, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების მოადგილეები — 3970 ლარს; საგამოძიებო და დროებითი კომისიების თავმჯდომარეები — 4105 ლარს; ფრაქციების თავმჯდომარეები — 4635 ლარს; საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები და კომიტეტის თავმჯდომარეები — 4705 ლარს; პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე — 5505 ლარს; პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — 5570 ლარს; პარლამენტის თავმჯდომარე — 5905 ლარს.

ამას თუ დავუმატებთ თანხებს, რომლებიც ხალხის რჩეულების საზღვარგარეთ ვოიაჟებში იხარჯება, აგრეთვე, ძვირად ღირებული ავტომობილებით გადაადგილებასა და საწვავში, უზარმაზარი თანხა გამოდის. **მხოლოდ ყოფილი დეპუტატების შენახვა ქვეყნის ბიუჯეტს წელიწადში 4,5 მლნ ლარზე მეტი უჯდება, ხოლო მოქმედი დეპუტატების — დაახლოებით 28 მლნ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო პლატფორმა — ახალი საქართველოს" კვლევის მიხედვით, **მხოლოდ 2017 წლის პირველ ოთხ თვეში, 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს ხელფასის სახით მიეცათ 3 მლნ-ზე მეტი ლარი. ამ თანხიდან 1,8 მლნ დანამატია.**

როგორც კვლევით გაირკვა, **უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან 100 დღის განმავლობაში 120 პარლამენტარი არც ერთი კანონპროექტის ინიციატორი არ ყოფილა. პარლამენტის დეპუტატებმა და აპარატის თანამშრომლებმა კი 2017 წლის პირველ ოთხ თვეში 4,8 მლნ ლარი აიღეს, ყველაზე მეტი — ირაკლი კობახიძემ, თამარ ჩუგოშვილმა, გიორგი ვოლსკიმ, ირმა ინაშვილმა, დავით ბაქრაძემ, სერგი კაპანაძემ, ხათუნა გოგორიშვილმა, ზვიად ძიძიგურმა, რომან გოცირიძემ და ილია ნაკაშიძემ. თითოეულის შემოსავალმა 4 თვეში 23 ათას ლარს გადააჭარბა.**

ამას თუ დავუმატებთ პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, მინისტრებისა და მათი მოადგილეების ხელფასებს, მივიღებთ წელიწადში რამდენიმე ათეულ მილიონს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა ხელისუფლების წარმომადგენლების შესანახავად.

**კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების ფონზე, როცა საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები იხარჯება მთავრობის წევრებისა და დეპუტატების შესანახავად, აგრეთვე, ტოტო კუტუნიოს, რობი უილიამსისა და ელტონ ჯონის ჩამოსაყვანად, ხელისუფლება კი მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად მხოლოდ გროშებს იმეტებს, ხომ არ სჯობს, დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს შეუმცირდეთ ხელფასები, მაგალითად, 500-500 ლარით და ჯამური თანხა მრავალშვილიან ოჯახებს მოხმარდეს?**

### 5 ქვეყანა, რომლებშიც ყველაზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახია

**1. ნიგერი.** აფრიკის დასავლეთში მდებარე ნიგერი ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა მსოფლიოში, მაგრამ ლიდერია მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობით — 1000 მოქალაქეზე ყოველწლიურად 51 ახალშობილი იბადება. აქ ქალი სიცოცხლეში, საშუალოდ, 8 ბავშვს აჩენს;

**2. მალი.** ნიგერის მეზობელი ქვეყანაა. აქ ყოველ ათას მოქალაქეზე ყოველწლიურად 49 ბავშვი იბადება, ანუ თითოეული ქალი სიცოცხლეში 7 ბავშვს აჩენს;

**3. უგანდა.** აღმოსავლეთი აფრიკის ამ ქვეყანაში 1000 მოქალაქეზე ყოველწლიურად 48 ბავშვი იბადება, ანუ თითოეული ქალი სიცოცხლეში, საშუალოდ, 6 ბავშვს აჩენს;

**4. ავღანეთი.** ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა შუა აღმოსავლეთში მდებარეობს. აქ 1000 მოქალაქეზე ყოველწლიურად 45 ბავშვი იბადება. თითოეული ქალი სიცოცხლეში, საშუალოდ, 6 ბავშვს აჩენს;

**5. სიერა-ლეონე.** ეს სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ბოლო ორი წელია, ამ ქვეყანაში მოსახლეობამ 2,2-2,2%-ით მოიმატა. თითოეული ქალი სიცოცხლეში, საშუალოდ, 5 ბავშვს აჩენს.

### ყველაზე მრავალშვილიანი ოჯახი მსოფლიოში

დღეს მსოფლიოში ყველაზე მრავალშვილიან ოჯახად ითვლება **ჯიმ ბობ დაგერისა** და მისი მეუღლე **მიშელის** ოჯახი. მათ 19 შვილი ჰყავთ.

### ყველაზე მრავალშვილიანი ოჯახი საქართველოში

საქართველოში ყველაზე მეტი შვილი გელათის აკადემიისა და სემინარიის პრორექტორს, დეკანოზ **ბესარიონ ხვისტანსა** და მის მეუღლე **მაია გოშხეთელიანს** ჰყავთ. ისინი 13 შვილის მშობლები არიან. მე-13 შვილი მათ 2016 წელს გაუჩნდათ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**






## ყაზახეთში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა 10-ჯერ ნაკლებად დაიბეგრება

**ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის გადასახადების 10-ჯერ შემცირების ინიციატივით გამოვიდა.**

**„დაბალშემოსავლიანი ყაზახების მხარდასაჭერად, გთავაზობთ, მათი საგადასახადო ტვირთი 10-ჯერ შევამციროთ და 2019 წლის 1 იანვრიდან 1%-ით დავბეგროთ",** — ციტირებს სახელმწიფო მეთაურს ადგილობრივი გამოცემა nur.kz-ი. მისივე თქმით, **„მნიშვნელოვანია, ამ გზით გამოთავისუფლებული თანხები მათ შრომის ანაზღაურებაზე მიიმართოს".**

პრეზიდენტ ნაზარბაევის თვლის, რომ, ასეთი რეფორმის შემთხვევაში, ქვეყნის 2 მილიონ მოქალაქეს მოემატება შემოსავალი და ეს ტვირთად არ დააწვება დამსაქმებლებს.



## საქართველოში მილიონზე მეტი შემოსავალი 1 194 გადამხდელს აქვს

**შემოსავლების სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს ბიუჯეტში 1 მილიონ ლარზე მეტი 1 194-მა გადასახადის გადამხდელმა გადაიხადა.**

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 2016 წელს ბიუჯეტში 1 მილიონზე მეტი ლარი 1108 გადამხდელმა შეიტანა.

წლიურად 1-დან 500 მილიონ ლარამდე შემოსავალი საქართველოში 6 715 გადამხდელს აქვს; 9 გადამხდელს აქვს 500 მილიონიდან 1 მილიარდი ლარის ფარგლებში შემოსავალი; ხოლო 1 მილიარდ ლარზე მეტი შემოსავალი, 2016 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის მიხედვით, მხოლოდ 2 გადამხდელს უფიქსირდება.

## რა გაძვირდა თებერვალში

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის თებერვალში, იანვართან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0,2 % შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ — 2,7 %.**

მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები.** ამ ჯგუფში ფასებმა 0,4 პროცენტით მოიმატა, რაც ინფლაციის მაჩვენებელზე 0,13 პუნქტით აისახა. გაძვირდა ხილი (10,4 %), ბოსტნეული და ბაღჩეული (2,9 5), თევზეული (1,5 %).

**ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო** გაძვირდა 1,2 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,08 პუნქტი შეადგინა.

**რაც შეეხება ტრანსპორტს,** ფასები მომატებულია 2,9 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,41 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,3 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3,9 პროცენტი). ამასთანავე, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (11,1 პროცენტი);

**ჯანმრთელობის დაცვის სფეროში** ფასებმა 4,3 პროცენტით მოიმატა, რაც 0,35 პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლურმა პროპაგანდამ ისე გამოურეცხა ტვინი ქართველებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და მოსახლეობას (ძირითადად, ახალგაზრდა თაობას) შთააგონებენ, რომ თურქეთი და ირანი საქართველოს ისტორიული მეგობრები არიან, აშშ და ბრიტანეთი — სტრატეგიული მოკავშირეები, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთია ჩვენი და სრულიად კაცობრიობის მტერი. სინამდვილეში სწორედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს აჭარის ნაწილი ბათუმითურთ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.**

# საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც თურქეთს «ისტორიულ მეგობარს» უწოდებს, სტალინი თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა

**2012 წელს, ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინ, „ქართული ოცნება“ ამომრჩევლებს, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ჰპირდებოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მაგრამ უკვე მეექვსე წელიწადი დაიწყო და ამ მხრივ არათუ რამე გაკეთდა, „ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც, სააკაშვილისა და მისი გუნდის მსგავსად, ქართველ საზოგადოებას ყურები გამოუჭედეს „მაპის“, „მაპზე უკეთესის“, „მეტი ნატო საქართველოში“-ს ძახილით, ახლა, დასავლელი პატრონების ინიციატივით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლაზე ალაპარაკდნენ.**




ამერიკული პრესტიჟული კვლევითი ინსტიტუტის — Heritage Fundation–ის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის, ექსპერტ **ლუკ კოფის** თქმით, „საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ სიხარულით მიიღებენ ნატოს წევრობის ამ კომპრომისულ ვარიანტს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ“, ანუ „ხალხის რჩეულები“, ოღონდ დასავლელი პატრონების მითითებები შეასრულონ და თბილი სკამები შეინარჩუნონ, მზად არიან, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონები დათმონ ნატოში შესვლის სანაცვლოდ...

დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, წლებია, გაჰყვირის, საბჭოთა კავშირი საშინელი დიქტატორული სახელმწიფო იყო, მისი ხელმძღვანელი **სტალინი** კი — პირსისხლიანი ჯალათი, რომელიც, ხალხის დახვრეტის გარდა, არაფერს აკეთებდა და სწორედ სტალინს მიუძღვის უდიდესი წვლილი საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაშიო და ა.შ. ამ თვალსაზრისის გავრცელებაში მას მხარს უჭერენ ადგილობრივი ე.წ. ექსპერტები, ანალიტიკოსები, მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები. **დასავლურმა პროპაგანდამ ისე გამოურეცხა ტვინი ქართველებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და მოსახლეობას (ძირითადად, ახალგაზრდა თაობას) შთააგონებენ, რომ თურქეთი და ირანი საქართველოს ისტორიული მეგობრები არიან, აშშ — ბრიტანეთი — სტრატეგიული მოკავშირეები და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთია ჩვენი და სრულიად კაცობრიობის მტერი.**

ამ თვალსაზრისის დამკვიდრება **მიხეილ სააკაშვილმა** დაიწყო, განაგრძო პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა**, რომლის განცხადებები, რომ თურქეთი და ირანი, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დაუძინებელი მტრები, თურმე „ისტორიული მეგობრები“ არიან, რბილად რომ ვთქვათ, აღმაშფოთებელია. რამდენიმე დღის წინათ კი საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა **დავით სუჯაშვილმა** გაიმეორა კვირიკაშვილის ნათქვამი და პარლამენტის კომიტეტების დახურულ სხდომაზე განაცხადა: **„რუსეთი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მტერია, თურქეთი კი — საქართველოს მთავარი მოკავშირე“.** აი ამას ამბობენ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნები იმ ფონზე, როცა სულ უფრო თვალში საცემია თურქეთის ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის შედეგები აჭარასა და სრულიად საქართველოში. არავინ იხსენებს და სურთ, მოსახლეობასაც დაავიწყონ, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთ მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი.

სინამდვილეში სწორედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს აჭარის ნაწილი ბათუმითურთ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით (ყარსის შეთანხმებას უსწრებდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმება „მეგობრობისა და ძმობის“ შესახებ). და **სწორედ სტალინი ცდილობდა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების საბჭოთა კავშირისთვის (საქართველოსთვის) დაბრუნებას.**

**საბჭოთა კავშირმა სტალინის ხელმძღვანელობით თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები დიდი სამამულო ომის ბოლო თვეებში წაუყენა. სსრკ ითხოვდა 1878 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც, საბჭოეთის ხელმძღვანელების აზრით, 1921 წელს უსამართლოდ გადაეცა თურქეთს. ეს ტერიტორიები საქართველოსა და სომხეთს შორის უნდა განაწილებულიყო.**

1945 წლის 19 მარტს სსრკ-მა განახორციელა საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1925 წლის 25 დეკემბრის შეთანხმების დენონსაცია, შემდეგ კი დაიწყო მოლაპარაკებები ახალ შეთანხმებაზე. სსრკ-ისა და თურქეთის ახალი საზღვარი, საბჭოთა მხარის აზრით, უნდა გავლებულიყო ისე, როგორც იყო 1878 წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების არსებობის პერიოდში. **საბჭოთა ხელისუფლება უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად მიიჩნევდა ყარსის ოლქს, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილსა და ყოფილი ერივანის გუბერნიის სურმალინის მაზრას.**

1945 წლის 22 ივნისს თურქეთმა უარყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება და თავისი პოზიციების დაცვას აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით შეეცადა. თურქეთისადმი სსრკ-ის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი 1945 წლის 22 ივლისს პოტსდამში დიდი სამეულის კონფერენციის მეექვსე სხდომაზე განიხილეს.

ამ სხდომაზე მოლოტოვმა განაცხადა: **„1921 წელს თურქეთმა საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა საქართველოს ტერიტორიები მოსწყვიტა — ეს არის ყარსის ოლქის, ართვინისა და არდაგანის ტერიტორიები. ამიტომ განვაცხადე, რომ თურქეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელია საქართველოსა და სომხეთისთვის წართმეული ტერიტორიების საკითხის მოგვარება, მათთვის ამ ტერიტორიების დაბრუნება“.** ამ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ მოლოტოვმა პოტსდამის კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა რუკა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიებით.

**დასავლური პროპაგანდით მართლაც ტვინგამორეცხილები ამ რუკაზე ამბობენ, რომ სტალინის შედგენილია და გასათვალიწინებელი არ არის. ამიტომ დღეს კიდევ ერთხელ გთავაზობთ დასავლეთში ინგლისურ ენაზე შედგენილ რუკას, რომელზეც მკაფიოდაა მონიშნული საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ 1945-1953 წლებში, ანუ სტალინის სიცოცხლეში.**

23 ივლისის სხდომაზე კი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა იოსებ **სტალინმა:** „გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო, და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება რომ არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთმა — ჩვენი საზღვარი, მაგრამ **ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა, გაასწორონ საზღვრები და, თუ არა, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“** (ამონარიდი სიმონ კილაძის მასალიდან „სტალინი: თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოს მიწა-წყალი“).

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთისადმი ილაპარაკა **უინსტონ ჩერჩილმა** თავის ცნობილ გამოსვლაში ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) 1946 წლის 5 მარტს (ეს გამოსვლა ითვლება „ცივი ომის“ დასაწყისად): „თურქეთი და სპარსეთი ღრმად შეშფოთებული და შეწუხებული არიან იმ პრეტენზიების გამო, რომლებიც მათ წაუყენეს, და იმ ზემოქმედების გამო, რომელსაც ისინი განიცდიან მოსკოვის მხრიდან“.

მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა შექმნა საიდუმლო დოკუმენტი სახელწოდებით „ზოგიერთი მოსაზრება ამიერკავკასიის ფრონტის ოპერაციათა დაგეგმვის შესახებ“. **ამ დოკუმენტის მიხედვით, საბჭოთა არმია უნდა შესულიყო თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში, ტრაპიზონ-ბაიბურთისა და ყარს-ერზურუმის მიმართულებით; პირველ ეტაპზე (10 დღეში) გაენადგურებინა თურქეთის არმიის დაჯგუფება ყარსისა და ართვინის რაიონებში, შტურმით აეღო ტრაპიზონი; მეორე ეტაპზე (6 დღეში) გაენადგურებინა ოლთის-სარიყამიშის დაჯგუფება, გასულიყო ისპირ-თორთუმის ხაზზე და საბოლოოდ, მესამე ეტაპზე (ოპერაციის დაწყებიდან მე-20 დღეს) დაეკავებინა ერზურუმი.**

1946 წლიდან დასავლეთმა კიდევ უფრო გააქტიურა მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკელი ისტორიკოსი **ედუარდ მარკი** წერს, რომ, სახელდობრ, თურქეთის გარშემო შექმნილმა კრიზისმა და საბჭოთა კავშირის მზადებამ თურქეთთან ომისთვის, აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები, შეემუშავებინა ატომური ომის გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირს კი იმ მომენტში თავისი ატომური ბომბების გადამტანი საშუალებები არ ჰქონდა. ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ სსრკ-ის დასაშინებლად, რათა ომი არ დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ, ამერიკამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენა ატომური ბომბი და 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი მიწასთან გაასწორა.

**სხვათა შორის, ჩამონათვალში საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებისა, რომლებშიც ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდოთ ამერიკელებს, თბილისიც შედიოდა.**

აშშ დაეხმარა თურქეთს ფინანსური და სამხედრო თვალსაზრისით. 1952 წელს კი თურქეთი ნატოში მიიღეს, რაც მის მიმართ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების გამო მოხდა, ამიტომ სტალინი იძულებული შეიქნა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე იმხანად უარი ეთქვა. 1953 წლის 30 მაისს კი, სტალინის გარდაცვალებიდან დაახლოებით თვე-ნახევარში, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურად თქვა უარი ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. ამით საქართველომ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა ამ მოვლენების შემდეგ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, მოახერხა, საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს.

საქართველოს ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირეების“ დამსახურებაა, რომ საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი (12 ათას კვ.კმ-ზე მეტი) დღეს „ისტორიული მეგობრის“, თურქეთის, შემადგენლობაშია. აი ასე მეგობრულად მოქმედებდა ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი, ასე მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ახლა უკვე „სტრატეგიული მოკავშირეები“ — აშშ და დიდი ბრიტანეთი; საბჭოთა კავშირი კი, სტალინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აუმხედრდა, — რატომ სთხოვ თურქეთს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებასო, მაინც ცდილობდა ძირძველი ქართული მიწების შემოერთებას.

**ნიკა კორინთელი**

**პორტუგალიელი ჟურნალისტი ნუნო სიმაში, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა, ვარაუდობს, რომ ამერიკის ხელისუფლებამ საიდუმლო გარიგება დადო პორტუგალიის ხელისუფლებასთან კუნძულზე ბირთვული იარაღის განლაგების თაობაზე. ამაზე მიუთითებს ამერიკელების მოქმედება „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ისტორიულმა მეგობარმა» თურქეთმა პომპეზურად აღნიშნა «ქართველი ოკუპანტებისგან» ართვინის გათავისუფლება

**2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას და ამის გათვალისწინებით კიდევ უფრო ნათლად ჩანს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კი ისე არიან შეპყრობილნი ვასალის სინდრომით დასავლელი პატრონების მიმართ, რომ ისტორიის ფალსიფიკაციას არ ერიდებიან და თუთიყუშივით იმეორებენ სააკაშვილის მიერ წლების წინათ ნათქვამს, რომ თურმე „თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარია“. ეს 2017 წელს გაიმეორა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, ცოტა ხნის წინათ კი — საქართველოს დაზვერვის ხელმძღვანელმა დავით სუჯაშვილმა, რომელმაც პარლამენტის კომიტეტის დახურულ სხდომაზე განაცხადა: „რუსეთი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მტერია; თურქეთი კი — საქართველოს მთავარი მოკავშირე“. და ეს თქვა, იმის მიუხედავად, რომ აჭარა სწორედ რუსეთმა შემოუერთა დედასაქართველოს, ხოლო ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, ტაო-კლარჯეთი — სულ 12 ათასი კვ.მ ტერიტორია, დღესაც მიტაცებული აქვს თურქეთს.**

რამდენიმე დღის წინათ კი, 7 მარტს, თურქეთში, ართვინის ილში (პროვინცია) მდებარე დასახლებულ პუნქტ ბორჩხაში თურქებმა „ქართველი ოკუპანტებისგან“ გათავისუფლების 97-ე წლისთავი აღნიშნეს. 97 წლის წინათ, 1921 წლის მარტის დასაწყისში, ქემალისტების მოთხოვნით, საქართველოს არმიის ნაწილებმა ართვინი დატოვეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად ართვინის მუნიციპალიტეტში სპეციალური სხდომაც გაიმართა საღამოს ქუჩებში საზეიმო მსვლელობაც მოეწყო — ჩირაღდნებითა და თურქეთის დროშებით. ღონისძიებებში ართვინის მერი, მუნიციპალიტეტისა და თურქეთის გენშტაბის წევრებიც მონაწილეობდნენ. უფლებადამცველი **ნიკოლოზ მჟავანაძის** თქმით, „მიტინგზე გამოსვლისას ართვინის მერმა **მეჰმედ კოჯატეპესმა** განაცხადა: „დუშმანების (ქართველების) განდევნაში თურქმა ხალხმა უდიდესი ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი გამოამჟღავნა, დუშმანების (ქართველების) დამარცხებაში ჩვენ დიდი სისხლიც დავღვარეთ და თურქეთი არასდროს დაივიწყებს თავისი გმირი წინაპრების სახელს“.

თურქეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა შარშან მოითხოვეს, რომ 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე უბრწყინვალესი გამარჯვების აღსანიშნავი დღე არ დაგვეწესებინა, დღეს კი „საქართველოს ისტორიულმა მეგობარმა“ თურქეთმა პომპეზურად აღნიშნა „ქართველი ოკუპანტებისგან“ ართვინის გათავისუფლება.






# ტოქსიკური მეზობლობა

# ამერიკულმა სამხედრო ბაზამ პორტუგალიაში ონკოლოგიური დაავადებები გამოიწვია

**პორტუგალიაში აშშ-ის ავიაბაზის განლაგებამ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრაგიკული შედეგები გამოიწვია. როგორც სააგენტო Ruptly-მ გაარკვია, კუნძულ ტერსეირაზე, დასახლებულ პუნქტ ლაჟეშთან განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობაში ონკოლოგიურმა დაავადებებმა იფეთქა.**

რეგიონის მოსახლეობა „ცივი ომის“ პერიოდიდან ეჭვობს, რომ ვაშინგტონს ამ სამხედრო ბაზაზე ატომური იარაღი აქვს, რომელიც გარემოზე დამღუპველად მოქმედებს. პორტუგალიელი მეცნიერები ამბობენ, რომ ნიადაგის დაბინძურება, რომელმაც ონკოლოგიური დაავადებების მასობრივად გავრცელება გამოიწვია, შეუძლებელია, ბუნებრივი მიზეზებით აიხსნას. პორტუგალიელები გამოძიების ჩატარებას მოითხოვენ. აშშ-მა, რომელიც შეშფოთებული იყო ტერსეირაზე თავისი ჯარისკაცების დაღუპვით, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გაგზავნა იქ სპეციალური კომისია, მაგრამ მისი მუშაობის შედეგები დღესაც მკაცრად გასაიდუმლოებულია.

## „აშშ-მა უნდა გადაგვიხადოს!“

Ruptly-ის კორესპონდენტი წერს, რომ კუნძულ ტერსეირაზე მცხოვრებნი მტრულად არიან განწყობილნი ამერიკელების მიმართ. „ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი ამბობს: „ჩემი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა“ — „America First“, მაგრამ აქ, აზორის კუნძულებზე, პირველ რიგში უნდა იყოს კუნძულები, შემდეგ — ამერიკა“, — ამბობს ქალაქ პრაია დე ვიტორიას ყოფილი მერი **კარლუშ ლიმა.** ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტ **მარკუშ ფაგუნდეშს** კი სურს, რომ ვაშინგტონმა ფული გადაიხადოს. „ეჭვიც არავის ეპარება, რომ ეს პრობლემა ამერიკულ ავიაბაზასთან არის დაკავშირებული, ანუ აშშ პასუხისმგებელია და მან უნდა აანაზღაუროს ჩვენი დანაკარგები“, — განაცხადა ფაგუნდეშმა, რომელიც აპირებს, ამ პრობლემის მოგვარების მოთხოვნით პორტუგალიის პარლამენტს მიმართოს.

**გამოძიების ჩატარებას ხელს უშლის სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ ტერსეირაზე გარემოს დაბინძურების დონე დასაშვებზე 50-ჯერ მაღალია, პორტუგალიაში არ არსებობს ეკოლოგიური კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც საქმე აღიძვრებოდა.**



ყოფილი მერი კარლუშ ლიმა მიუთითებს მოტიტვლებულ ბორცვზე, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების სიმბოლოდ იქცა. ადგილობრივი ფერმერები ამ ბორცვის ფერდობებს მრავალი წლის განმავლობაში ამუშავებდნენ და ცდილობდნენ, მოსავალი მოეყვანათ, მაგრამ ამაოდ. **„ჩვენთან ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია, რასაც დათესავ, ყველაფერი ამოდის, მაგრამ აქ, ამ ბორცვზე, ასე არ არის. ნათესები ყოველთვის ნადგურდება“,** — ამბობს ლიმა. სწორედ ამ ბორცვთან ახლოს არის ამერიკული სამხედრო ბაზის ნარჩენები. მოსახლეობას არ სჯერა, რომ ონკოლოგიური დაავადებების აფეთქება შემთხვევითობაა. „ადგილობრივ ადამიანს აქვს ისეთივე გენები, კვების კულტურა, უნარჩვევები, როგორიც სხვა პორტუგალიელებს. ერთადერთი განსხვავება — ეს არის დაბინძურება ლაჟეშში მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზიდან“, — ამბობს ჯანმრთელობის დაცვის ლისაბონის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი **ნორბერტო მესიაში.**

ტერსეირაზე ამერიკული ავიაბაზა „ცივი ომის“ დაწყებამდე დაფუძნდა, როგორც ევროპის ტერიტორიაზე მიმავალი აშშ-ის თვითმფრინავების საწვავის შესავსები პუნქტი. გამწმენდი სისტემების არარსებობის გამო დაღვრილი ავიასაწვავი ნიადაგმა შეიწოვა და მისი მასშტაბური დაბინძურება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, აშშ-ს ლოჯისტიკა არ შეუზღუდავს. ვაშინგტონმა შეიმუშავა სასწრაფო ოპერაციების გეგმა, რათა წინ აღდგომოდა სსრკ-ის წინ წაწევას დასავლეთ ევროპაში. და აზორის კუნძულები აღიარებული იქნა, როგორც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ადგილი, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა კომუნისტური საფრთხის თავიდან აცილება.

**პორტუგალიელი ჟურნალისტი ნუნო სიმაში, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა, ვარაუდობს, რომ ამერიკის ხელისუფლებამ საიდუმლო გარიგება დადო პორტუგალიის ხელისუფლებასთან კუნძულზე ბირთვული იარაღის განლაგების თაობაზე. ამაზე მიუთითებს ამერიკელების მოქმედება „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.**

ბაზა ლაჟეში ოფიციალურად დაიხურა 1994 წელს, თუმცა საწვავით თვითმფრინავების გამართვა არ შეწყვეტილა.

**პორტუგალიელმა ინტერნეტმომხმარებლებმა ყურადღება გაამახვილეს კუნძულ ტერსეირასა და აშშ-ის უცნაურ ურთიერთობაზე. სამხედრო ბაზის დახურვის მიუხედავად, ვაშინგტონი განაგრძობს თანხების გადარიცხვას ადგილობრივ ბიუჯეტში, მაგრამ რატომ იხდის ამ თანხებს, გაურკვეველია.**

სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ ამერიკის სამხედრო ობიექტების განლაგებას მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში ყოველთვის სდევს სკანდალი. პრობლემას ქმნის ამერიკელების შეუსაბამო, არაადეკვატური დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ვაშინგტონი ცდილობს, უცხოეთში მივლინებული თავისი ჯარისკაცები სამართლებრივი ველიდან გაიყვანოს და მათი სტატუსი დიპლომატებისას გაუთანაბროს. სწორედ დაუსჯელობის სინდრომის გამო სჩადიან ამერიკელი სამხედროები უამრავ მკვლელობასა და გაუპატიურებას უცხო მიწაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური პრობლემები. 2005 წელს უზბეკეთის ტერიტორიიდან ამერიკული სამხედრო ბაზის გაყვანის მიზეზად ეკოლოგიური პრობლემები დასახელდა.

**გვერდი მოამზადა ნიკოლოზ აბაშიძემ**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთში 18 მარტს გაიმართება ლეგიტიმური და დემოკრატიული არჩევნები. ვლადიმერ პუტინი თავისი რეიტინგით გაცილებით აღემატება კონკურენტებს, მაგრამ ამას არანაირი კავშირი „ავტორიტარიზმთან“ არ აქვს. პუტინიც ისევე ცდილობს, დაარწმუნოს ამომრჩეველი თავისი კანდიდატურის უპირატესობაში, როგორც სხვა კანდიდატები. სხვა საკითხია, რომ ამომრჩევლები პუტინის სიტყვას უფრო ენდობიან, ვიდრე მისი კონკურენტებისას. საქართველოს ხელისუფლებას, სურვილის შემთხვევაში, ექნება საშუალება, აწარმოოს საქართველოსთვის აგრერიგად საჭირო დიალოგი რუსეთის დემოკრატიულად არჩეულ, ლეგიტიმურ ხელისუფალთან.**

# რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობისა და დემოკრატიულობის შესახებ

**რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს. დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის მით უფრო საინტერესოს ხდის ამ არჩევნებს. დასავლეთი, რომელიც ანტირუსულ პროპაგანდას აწარმოებს და ამ პროპაგანდის ქვეშ საქართველოც მოექცა თავისი ფსევდოჟურნალისტიკითა და არარაობა პოლიტიკოსებით, შანსს არ უშვებს ხელიდან, რათა გააკრიტიკოს პრეზიდენტი პუტინი და მას „ავტორიტარიზმში“ დასდოს ბრალი, მაგრამ რეალურად რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულობისა და ლეგიტიმურობის ხარისხს წუნი ვერ უპოვეს. პუტინის ავტორიტარიზმის შესახებ საუბარი ცარიელი ლაყბობაა და სინამდვილეს არ ასახავს. ამის დასტურად წინასაარჩევნო კამპანიის ცალკეული პარამეტრები გამოდგება.**


ს. ბაბურინი


პ. გრუდინინი


ვ. ჟირინოვსკი


ვ. პუტინი


ქ. სობჩაკი


მ. სურაიკინი


ბ. ტიტოვი


გ. იავლინსკი

## საპრეზიდენტო კანდიდატების მრავალფეროვნება

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობენ სხვადასხვა პოლიტიკური თვალსაზრისის, ფასეულობების, იდეოლოგიის მქონე ადამიანები. რუსეთში მმართველი პარტია „ედინაია როსიას“ შემდეგ ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანია პარტია კომუნისტებისა, რომლებმაც პოლიტიკის ვეტერანის, **გენადი ზიუგანოვის,** ნაცვლად, წარმოადგინეს უფრო ახალგაზრდა და საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი კანდიდატი — **პავლე გრუდინინი.** ის წარმატებული საბჭოთა მეურნეობის დირექტორია, მისი ძლიერი მხარეა ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა. „ლიბერალ-დემოკრატების“ უცვლელი ლიდერი, 71 წლის ლიბერალ-დერჟავნიკი **ვლადიმერ ჟირინოვსკი** უკანასკნელად გამოვა ამ არჩევნებზე კანდიდატად. რადიკალი კომუნისტების ლიდერია **მაქსიმ სურაიკინი**, ხოლო ლიბერალურ ფრთას **ქსენია სობჩაკი** და **გრიგორი იავლინსკი** წარმოადგენენ. საპრეზიდენტო კანდიდატად ასევე რეგისტრირებული არიან ბიზნესომბუდსმენი **ბორის ტიტოვი** და „დერჟავნიკი“ **სერგეი ბაბურინი.** თავის ბოლო საპრეზიდენტო მმართველობის ვადაზე პრეტენზია განაცხადა ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმაც.** საინტერესოა, რომ პუტინმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა არა მმართველი პარტიის, არამედ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის სახელით. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები (სულ 8 პიროვნება) თითქმის სრულად ასახავენ რუსეთის ამომრჩევლების სპექტრს. აქ არიან მემარცხენე კონსერვატორები, „ხალხოსნები“ და მემარჯვენე ლიბერალები, ასევე, ცენტრისტი პრეზიდენტი. წარმოდგენილი არ არიან რადიკალები და ექსტრემისტები. ამ მხრივ, რუსეთის არჩევნები დემოკრატიულობის სტანდარტებს პასუხობს.

## კანდიდატების დაცულობა კანონით

პრეზიდენტის არჩევნებს განსაზღვრავს კანონი „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. ამ კანონის ძალით, ისევე, როგორც კონსტიტუციითა და სხვა კანონებით, გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება და აზრის გამოხატვა. ნებისმიერი კანდიდატი და მისი მხარდამჭერები დაცულნი არიან აზრის გამოხატვასა და არსებული ხელისუფლების მიმართ კრიტიკაში. გავიხსენოთ, რა ხდებოდა საქართველოში ცოტა ხნის წინათ: როგორ ესროდნენ ქვებს ოპოზიციას, დაქირავებული „ზონდერბრიგადები“ სცემდნენ ოპოზიციის აქტივისტებს, ლანძღავდნენ მათ ლიდერებს, ჟურნალისტები კი კომპრომატებს თითხნიდნენ მათზე. დღევანდელ საქართველოში ეს ასე აღარ არის, მაგრამ რუსეთში არც ხუთიოდე წლის წინათ იყო, მით უმეტეს, ბოლო პერიოდში კანონმდებლობა დაიხვეწა და მასში მეტი დემოკრატიული ელემენტი შევიდა.

## მასმედიაში აზრის გამოხატვისა და კრიტიკის თავისუფლება

კანონმდებლობით, საპრეზიდენტო კანდიდატებს გამოყოფილი აქვთ სატელევიზიო საეთერო დრო ამომრჩევლებთან თავისუფალი ურთიერთობისთვის. უზარმაზარ რუსეთში ტელევიზიას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აკისრია ამ მხრივ, ვიდრე, დავუშვათ, პატარა საქართველოში, სადაც, ტელევიზიების მიერ ინფორმაციების დაბლოკვის შემთხვევაში (და ასეთი არაერთი შემთხვევაა, სამწუხაროდ), კანდიდატებს შეუძლიათ, შედარებით სწრაფად მოიარონ საქართველო და უშუალოდ შეხვდნენ ამომრჩევლებს. ასეთი რამ რუსეთში, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, გაცილებით რთულია, ამიტომ კანდიდატები აქტიურად იყენებენ საეთერო დროს ტელევიზიასა და რადიოში. ამას ემატება კონკურენცია ინტერნეტსივრცეში. კანონი საშუალებას აძლევს ტელევიზიებს, თვითონ განსაზღვრონ დებატების ფორმატი პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეთანხმებით. პრეზიდენტმა პუტინმა ნებაყოფლობით თქვა უარი სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, მისი ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთა შორის რამდენიმე ცნობილი ქართველიცაა, სხვადასხვა რეგიონში მართავენ ხალხთან შეხვედრებს.

ტელედებატები ემოციების მაღალი გრადუსით გამოირჩევა. მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ყურადღება ყველა კანდიდატმა მეტ-ნაკლები წარმატებით მიიპყრო. ყოველ მათგანს ჰქონდა და არჩევნებამდე კიდევ აქვს თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა. სრულიად უცნობმა პოლიტიკოსმა, პავლე გრუდინინმა, რეიტინგის მნიშვნელოვნად მომატება შეძლო და იგი რეალურად იბრძოლებს, პრეზიდენტობისთვის თუ არა, მეორე ადგილისთვის მაინც, თანაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით (10 პროცენტზე მეტი). მას ხელს უშლის მასმედიის მიერ აქცენტის გადატანა საზღვარგარეთულ საბანკო ანგარიშებსა და შვილების ბიზნესებზე ასევე საზღვარგარეთ, მაგრამ გრუდინინს ყველა საშუალება აქვს, უპასუხოს ამ კრიტიკას და პასუხობს კიდეც. ხოლო მასზე მიტანილი საინფორმაციო იერიში ირიბად ადასტურებს, რომ გრუდინინში რეალური კანდიდატი დაინახეს.

სატელევიზიო დებატები ხანდახან მძაფრ ფორმას იღებს. მაგალითად, გრუდინინმა მიატოვა ცენტრალური ტელევიზიის პირდაპირი ეთერი, რადგან არ მოეწონა სტუდიაში ატეხილი აყალ-მაყალი, ხოლო მეორე სატელევიზიო ეთერში ჟირინოვსკიმ გალანძღა ქსენია სობჩაკი, რომელმაც მას პასუხად წყალი შეასხა. ერთი მხრივ, ეს ცუდია, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი დასამახსოვრებელი, თუნდაც უარყოფითი, ეპიზოდები, ამომრჩევლის უფრო მეტ ყურადღებას აჩენს არჩევნების მიმართ. **ასეთი ფაქტები ცხადყოფს, რომ რუსეთში მიმდინარეობს დაძაბული საარჩევნო პროცესი წინასწარი „ჩაწყობის“ გარეშე.**

## „დიდი ფულის“ დახარჯვის აუცილებლობის არარსებობა

**განსხვავებით „ყველაზე დემოკრატიული“ ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნებისგან, რომლის ფარგლებშიც ათეულობით მილიარდი დოლარი იხარჯება, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები ფრიად მცირებიუჯეტიანია. წარსულს ჩაბარდა ანტიდემოკრატიული, ფულსა და ძალადობაზე დამყარებული არჩევნები, როგორიც რუსეთში 1996 წელს ჩატარდა.**

დღეს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე კანონით არის გათვალისწინებული კანდიდატის მიერ დასახარჯი ფულის ლიმიტი. თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 მილიონ რუსულ რუბლს, რაც 10 მილიონ დოლარზე ნაკლებია. საერთაშორისო მასშტაბით, ეს არის ძალიან მცირე თანხა (მაგალითად, საფრანგეთში ერთ კანდიდატს 22.5 მილიონ ევრომდე შეუძლია დახარჯოს). წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურა მილიარდერმა **მიხეილ პროხოროვმაც** წამოაყენა, მაგრამ, მიუხედავად დიდი ფინანსური შესაძლებლობებისა, მისი შედეგი არჩევნებზე მოკრძალებული აღმოჩნდა. დღევანდელი რუსული სახელმწიფოს დამსახურებაა, რომ ოლიგარქებს არ აქვთ საშუალება, ფულადი სახსრებით გადაწყვიტონ არჩევნების ბედი. ესეც, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს, დემოკრატიული მიღწევაა.

## ცენტრალური საარჩევნო კომისია

კანონმდებლობით, რუსული ცესკო მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ხელისუფლების არც ერთ შტოს არ განეკუთვნება, თუმცა მისი 15 წევრი კომპლექტდება პრეზიდენტისა და პარლამენტის ორივე პალატის მიერ. ცესკოს აქვს დიდი უფლება-მოსილებები, რათა აკონტროლოს წინასაარჩევნო პროცესი მისი დემოკრატიულობის თვალსაზრისით. ცესკოს ამჟამინდელი თავმჯდომარეა **ელა პამფილოვა** — ცნობილი უფლებადამცველი, რომელიც სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2010 წელს მან პროტესტი გამოთქვა სპეცსამსახურების უფლება-მოსილების გაზრდაზე და პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარებისა და ადამიანის უფლებების საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა. 2014 წელს იგი ვლადიმერ პუტინმა საზოგადოებრივი პალატის წარდგინებით დანიშნა უფლებამოსილ პირად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, 2016 წლიდან კი — ცესკოს თავმჯდომარედ.

ცესკოს ინიციატივით, ბოლო პერიოდში დაიხვეწა და უფრო დემოკრატიულია ბევრი საარჩევნო პროცედურა, ასევე, არჩევნების ტექნიკური მხარე.

## ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებლები

არჩევნების გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობას არჩევნების დღეს დაიცავს მრავალრიცხოვანი ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებელი. წავიდა დრო, როდესაც რუსეთის საშინაო საქმეებში ერეოდნენ უცხოელები, მაგრამ ახლა უცხოურ სადამკვირვებლო მისიებს აქვთ საშუალება, რუსეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვით, დააკვირდნენ არჩევნებს. რუსეთის სახელისუფლო შტოები თვითონ იწვევენ დამკვირვებლებს უცხოეთიდან, მაგრამ უცხო სახელმწიფოების მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში აღიარებულ პიროვნებებს შეუძლიათ, მიმართონ რუსეთს არჩევნების დაკვირვებაში მონაწილეობის მისაღებად.

კანონის მიხედვით, **„უცხოელი (საერთაშორისო) დამკვირვებელი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ყოფნისას სარგებლობს რუსეთის ფედერაციის მფარველობით. საარჩევნო კომისიები, ფედერალური სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, უცხოელ (საერთაშორისო) დამკვირვებელს აღმოუჩინონ საჭირო დახმარება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში**“.

წელს, არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, საქართველოს წარმომადგენლებიც არიან მიწვეულნი, რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიცაა.

რუსეთში 18 მარტს გაიმართება ლეგიტიმური და დემოკრატიული არჩევნები. ვლადიმერ პუტინი თავისი რეიტინგით გაცილებით აღემატება კონკურენტებს, მაგრამ ამას არანაირი კავშირი „ავტორიტარიზმთან“ არ აქვს. პუტინიც ისევე ცდილობს, დაარწმუნოს ამომრჩეველი თავისი კანდიდატურის უპირატესობაში, როგორც სხვა კანდიდატები. სხვა საკითხია, რომ ამომრჩევლები პუტინის სიტყვას უფრო ენდობიან, ვიდრე მისი კონკურენტებისას. საქართველოს ხელისუფლებას, სურვილის შემთხვევაში, ექნება საშუალება, აწარმოოს საქართველოსთვის აგრერიგად საჭირო დიალოგი რუსეთის დემოკრატიულად არჩეულ, ლეგიტიმურ ხელისუფალთან.



**გულბაათ რცხილაძე**

მეოთხე თაობის კომპლექსებისგან განსხვავებით, „სარმატს“ აქვს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისგან თავდაცვის საშუალებები (საშახტო გამშვები მოწყობილობა), აგრეთვე, მაღალი სიზუსტის ჰიპერბგერითი საბრძოლო ბლოკები; შეუძლია იფრინოს სუბორბიტული ტრაექტორიით. ამ რაკეტით შეიძლება მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების დაზიანება და განადგურება ქობინის კინეტიკური ენერგიით, ბირთვული აფეთქების გარეშე. ორსაფეხურიანი რაკეტის სასტარტო მასა 169 ტონაა, სათავო ნაწილის მასა — 10 ტ.

პარა ბელუმ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 6 ყველაზე საშინელი რაკეტა მსოფლიოში

1 მარტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამოსვლას ფედერალური საკრებულოს წინაშე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოში. ვლადიმერ პუტინმა ილაპარაკა რუსულ ახალ იარაღებზე, რომლებმაც შეშფოთება გამოიწვია დასავლეთში. მათ შორის აღსანიშნავია უახლესი ენერგეტიკული მოწყობილობის მქონე ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტა „სარმატი“, რომლის წინაშეც თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები უძლურია. მას დასავლეთში „განკითხვის დღის იარაღი“ უწოდეს. სწორედ ამიტომ განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ, რომ „დასავლეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის „ქოლგა“ ნახვრეტებიანიაო“.
გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე საშინელი ძალის მქონე 6 ბირთვული რაკეტის ჩამონათვალს:



## 6. საფრანგეთი, «M51»

რაკეტა „M51“-ით საფრანგეთის არმია 2010 წელს შეიარაღდა. ამ მყარსაწვავიანი ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილია Triomphant-ის ტიპის წყალქვეშა ნავები. შეუძლია იფრინოს 10 ათასი კმ-ის მანძილზე და გადაიტანოს 100 კილოტონა სიმძლავრის 10 ბირთვული ქობინი. მიზანში მოხვედრის ცდომილება 150-200 მ-ია. „M51“-ის წინააღმდეგ ნაკლებეფექტიანია თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები.



## 5. აშშ, «LCM-306 Minuteman III»

ეს სისტემა ამერიკის არმიის შეიარაღებაშია 1970 წლიდან, თუმცა მოგვიანებით გააუმჯობესეს ბევრი პარამეტრით. ეს არის მიწისზედა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, რომელიც მოძრაობს წამში 8 კმ/სთ სიჩქარით. მიზანში მოხვედრის ცდომილება 200 მეტრია. რაკეტას შეუძლია გადაიტანოს 375-400 კილოტონა სიმძლავრის ბირთვული ქობინი.



## 4. აშშ, «UCM-133 Trident II»

„ტრაიდენტ II“ 1990-იან წლებში შემუშავებული რაკეტის მოდერნიზებული ვერსიაა. ამ წყალქვეშა ნავების ბალისტიკურ რაკეტას შეეძლო 14 ქობინის გადატანა, მაგრამ მოდერნიზების შემდეგ ქობინების რაოდენობა 5-მდე შემცირდა (თითოეული ქობინის სიმძლავრე 475 კილოტონაა). მოქმედების დიაპაზონი დამოკიდებულია ტვირთზე და 7,8 ათასი კმ-დან 11 ათას კილომეტრამდეა. ცდომილების ალბათობა 120 მეტრია და, ამ მონაცემის მიხედვით, ეს ბალისტიკური რაკეტა ერთ-ერთი ზუსტია მსოფლიოში.

## 3. ჩინეთი, «DF-5/5A»



ეს სისტემა ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში 1981 წლიდანაა, მაგრამ, ეფექტიანობის მიხედვით, ლიდერთა შორის არის მსოფლიოში. ამ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას შეუძლია 5 მეგატონა სიმძლავრის ქობინის გადატანა 12 ათას კმ-ზე. მიზანში მოხვედრის ცდომილება კი შეიძლება 1 კმ-მდე იყოს. ამ რაკეტის დანიშნულება ერთადერთია — გაანადგუროს ქალაქი. ბოლო წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გააუმჯობესა „DF-5“ — რაკეტას მოემატა მოქმედების დიაპაზონი. ამასთანავე, ახლა რაკეტას შეუძლია რამდენიმე ქობინის გადატანა; ხოლო მიზანში მოხვედრის ცდომილება, ბოლო მონაცემებით, 300 მეტრს შეადგენს.



## 2. რუსეთი, «P-36M2» — «ვოევოდა»

დასავლეთში ამ რაკეტას „სატანა“ შეარქვეს. ის სსრკ-ის შეიარაღებულმა ძალებმა 1974 წელს მიიღო, მაგრამ მას შემდეგ ბევრჯერ გაუმჯობესდა. ბოლო მოდერნიზაციის შედეგად, „ვოევოდას“ შეუძლია 750 კილოტონა სიმძლავრის 10 ქობინის გადატანა. მოქმედების დიაპაზონი 11 ათასი კმ-ია, სიჩქარე — წამში 8 კმ, მიზანში მოხვედრის ცდომილება — 220 მ. ეს იარაღი 2018 წლის 1 მარტამდე ყველაზე მეტად აშფოთებდა პენტაგონს.



## 1. რუსეთი, «სარმატი»

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, სარაკეტო-კოსმოსური დარგის საწარმოებთან ერთად, დაიწყო მძიმე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „სარმატის“ გამოცდის ბოლო ფაზა. ახალ რაკეტას მოქმედების დიაპაზონიცა და საბრძოლო ქობინების რაოდენობაც „ვოევოდაზე“ მეტი აქვს. „სარმატი“ აღჭურვილია დიდი სიმძლავრის საბრძოლო ქობინებითა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისგან თავის დაღწევის თანამედროვე მოწყობილობებით.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ შექმნილ ახალ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას შეუძლია, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნებისმიერ სისტემას აუაროს გვერდი და ეს იქნება პასუხი ამერიკულ ინიციატივაზე „სწრაფი გლობალური დარტყმის“ შესახებ. ახალ ბალისტიკურ რაკეტა „სარმატს“ რაკეტსაწინააღმდეგო ბარიერების გადალახვის ისეთი ენერგეტიკული მარაგი აქვს, რომ შეუძლია ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსის გავლით იფრინოს და მიზანს მიაღწიოს“.

**ახალ ბალისტიკურ რაკეტა «სარმატს» რაკეტსაწინააღმდეგო ბარიერების გადალახვის ისეთი ენერგეტიკული მარაგი აქვს, რომ შეუძლია ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსის გავლით იფრინოს და მიზანს მიაღწიოს**



**„სარმატის“ ტექნიკური მახასიათებლები:**

**„სარმატი“ — ეს არის საშახტო ბაზირების მეხუთე თაობის რუსული სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი, რომელიც აღჭურვილია მძიმე, ორსაფეხურიანი თხევადი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით.**

მეოთხე თაობის კომპლექსებისგან განსხვავებით, „სარმატს“ აქვს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისგან თავდაცვის საშუალებები (საშახტო გამშვები მოწყობილობა), აგრეთვე, მაღალი სიზუსტის ჰიპერბგერითი საბრძოლო ბლოკები; შეუძლია იფრინოს სუბორბიტული ტრაექტორიით. ამ რაკეტით შეიძლება მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების დაზიანება და განადგურება ქობინის კინეტიკური ენერგიით, ბირთვული აფეთქების გარეშე. ორსაფეხურიანი რაკეტის სასტარტო მასა 169 ტონაა, სათავო ნაწილის მასა — 10 ტ.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პედოფილი ციხეში გამოამწყვდიეს მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ მან 1960-იან წლებში არაერთხელ გააუპატიურა 12 წლის ბიჭი. ნიუელი პედოფილი აღმოჩნდა, რამაც იუნისეფის წარმომადგენლები შოკში ჩააგდო, რადგან ის იყო არა მხოლოდ კონსულტანტი, არამედ წამყვანი ფიგურა გაეროში.**



## აშშ-ის არმიამ თავის რიგებში პირველი ტრანსგენდერი მიიღო

**ამ „სასიხარულო“ ინფორმაციას პენტაგონი ავრცელებს. სააგენტო Reuters-ს ეს ახალი ამბავი დაუდასტურა ამერიკის სამხედრო უწყების წარმომადგენელმა დევიდ ისტბერნმა, რომელმაც განაცხადა, რომ 2018 წლის 23 თებერვალს ერთმა ტრანსგენედერმა ხელი მოაწერა აშშ-ის არმიაში სამსახურის გავლის კონტრაქტს.**

იუწყებიან, რომ თავდაპირველად მას მოუწევს ახალგაზრდა მებრძოლის კურსის გავლა, შემდეგ კი დაიწყებს სამსახურს ერთ-ერთ საარმიო ქვედანაყოფში.

უწყებაში განაცხადეს, რომ არ იციან, ზუსტი რაოდენობა იმ ტრანსგენდერებისა, რომლებსაც შეეძლოთ ემსახურათ არმიაში თავიანთი ბიოგრაფიის ამ პიკანტური დეტალის დამალვის გზით. პენტაგონის აზრით, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ეს არის პირველი კონტრაქტი, რომელიც ტრანსგენდერთან ოფიციალურად გაფორმდა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის აგვისტოში დონალდ ტრამპმა აამოქმედა აკრძალვა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ტრანსგენდერების მიღებისა, მაგრამ შარშან, წლის ბოლოს, სასამართლომ გააუქმა 45-ე პრეზიდენტის განკარგულება და თეთრი სახლის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა, დათანხმებოდა სქესგამოცვლილი პირების არმიაში სამსახურს.





## ტრანსგენდერმა პენსიონერმა 5,5 მილიონი დოლარი მოიგო და მომხიბლველ ქალად იქცა

**57 წლის მელისა ედმა ეროვნულ ლატარიაში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი (5,5 მილიონი დოლარი) მოიგო და გადაწყვიტა, გაახალგაზრდავებულიყო სახის კორექციის საშუალებით. კოსმეტიკური პროცედურები ამ ქალბატონს 3 ათასი დაუჯდა.**

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 57 წლის ქალბატონმა შეიმხაპუნა ბოტოქსი, მოიცილა ღაბაბი, ნაოჭები, დაიბერა ტუჩები, რაღაც სხვა პროცედურებიც ჩაიტარა და, როგორც ზღაპარში გომბეშოდან ლამაზი ასული, მომხიბლავ ქალიშვილად გამოგვეცხადა.

მილიონერის საქმრომ **რეიჩელ ნასონმა** აღიარა, რომ საცოლე ახლა უფრო მოსწონს, რადგან სრულად შეესაბამება მის გემოვნებას, ხოლო მისი რჩეულის „ყოფილ სახის კანს“ გაპუტული ინდაურის კანს ამსგავსებს.

მელისა კი მიღწეულით არ კმაყოფილდება და აპირებს, გაიკეთოს ოპერაცია, რომელიც მის სახეს უფრო გაანაზებს.

**მომზადდა РУССКАЯ ВЕСНА-ს, READING EAGLE-ს და MIRROR-ის მასალების მიხედვით**

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ინგლისელი პედოფილი ათწლეულების განმავლობაში ადგენდა «სტანდარტებს» «ბავშვობის დაცვის» სფეროში

**ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით გასამართლებული პიტერ ნიუელი იყო იუნისეფის — გაეროს ბავშვთა ფონდის, არა მხოლოდ კონსულტანტი, არამედ წამყვანი ფიგურა, რომელიც ადგენდა „ბავშვობის დაცვის“ საერთაშორისო სტანდარტებს, — იუწყება ანალიტიკური ცენტრი „საოჯახო პოლიტიკა“.**



პედოფილი ციხეში გამოამწყვდიეს მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ მან 1960-იან წლებში არაერთხელ გააუპატიურა 12 წლის ბიჭი. ნიუელი პედოფილი აღმოჩნდა, რამაც იუნისეფის წარმომადგენლები შოკში ჩააგდო. ნიუელი იყო არა მხოლოდ კონსულტანტი, არამედ წამყვანი ფიგურა გაეროში.

ანალიტიკური ცენტრი თავის მოხსენებაში განიხილავს მომხდარს და ასკვნის, რომ მსგავსმა ფაქტებმა უნდა დააფიქროს საზოგადოება და საღად და ახლებურად შეხედოს საერთაშორისო მოთხოვნებს „ბავშვთა დაცვის“ სფეროში.

მოხსენებაში დასაბუთებულად არის წარმოდგენილი, რომ ოჯახებში ბავშვთა ფიზიკური დასჯის აკრძალვის მოძრაობა დაიწყო პედოფილური ორგანიზაციის „პედოფილიის შესახებ ინფორმაციის გაცვლის“ საქმიანობის წინააღმდეგ გამოსვლებით. აღნიშნული ორგანიზაცია დიდ ბრიტანეთში 1974-1982 წლებში მოქმედებდა. იმ პერიოდში ინგლისის საზოგადოების ბევრ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ პედოფილია ჰომოსექსუალების უფლებების ერთ-ერთი ასპექტი იყო. მან (ამ ორგანიზაციამ) აქტიური ბრძოლა დაიწყო ბავშვების სექსუალური თავისუფლებისა და მშობელთა კონტროლისგან მათი გათავისუფლებისთვის, რათა გაეადვილებინა პედოფილებისთვის ბავშვებთან მისაწვდომობა.

მისი დახურვის შემდეგ „ბავშვთა უფლებების დაცვის“ დროშა აიტაცა პიტერ ნიუელმა, რომელიც მანამდე „სამოქალაქო თავისუფლების ეროვნულ საბჭოში“ საგანმანათლებლო მიმართულებას ხელმძღვანელობდა.

მრავალი წლის განმავლობაში იგი მონდომებით და თანმიმდევრულად ქმნიდა მოძრაობას, რომელსაც უნდა ებრძოლა თავდაპირველად მასწავლებლების, შემდეგ კი მშობლების მიერ ბავშვების ფიზიკურად დასჯის წინააღმდეგ ჯერ ეროვნულ, შემდეგ კი საერთაშორისო დონეზე. მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ ამ მოძრაობის სწრაფვა დასახული მიზნის მისაღწევად თავიდანვე აგებული იყო მანიპულაციებსა და სიცრუეზე. ნიუელი ამ საქმეში წამყვან როლს თამაშობდა ჯერ ინგლისურ, შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც ამ მიზნისთვის იყო შექმნილი.

**ნიუელის ორგანიზაციის მიერ მიღებულ დოკუმენტებსა და მის „ექსპერტულ“ მონაწილეობას ეყრდნობოდა თავის გადაწყვეტილებებში ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კომიტეტი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. იგი იყო იუნესკოს, იუნისეფის ოფიციალური პუბლიკაციების ავტორი, თანაავტორი და სარედაქციო საბჭოების წევრი. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, რომლებიც განსაზღვრავდა გლობალურ პოლიტიკას. მაგალითად დასახელებულია ბავშვებზე ძალადობის პრობლემაზე გაეროს ოფიციალური კვლევითი მოხსენება.**

ნიუელი დიდი ხნის განმავლობაში იყო საერთაშორისო ორგანიზაციის — „ბავშვების უფლებების საინფორმაციო ქსელის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, რომელთანაც თანამშრომლობდნენ ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ბევრი ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები.

ნიუელის აქტიური მოღვაწეობა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების საქმიანობა საფუძვლად დაედო საერთაშორისო სტრუქტურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მშობლების მიერ ბავშვების ფიზიკურად დასჯის აკრძალვის შესახებ. მან, ფაქტობრივად, განსაზღვრა საერთაშორისო ორგანიზაციების „სტანდარტები“ „ბავშვების უფლებების დაცვის“ სფეროში.

სწორედ იგი მოძღვრავდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორ უნდა ედევნებინათ თვალყური გაეროს „ბავშვების უფლებების დასაცავი“ სპეციალური მოხსენების დებულებების განხორციელებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში (მის მიერ ამ თემაზე დაწერილი ცნობარი 2008 წელს გამოსცა გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ Save the Children).



**პიტერ ნიუელის დაპატიმრებისა და მისთვის სასჯელის განსაზღვრის შემდეგ იუნისეფის წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებული პიტერ ნიუელის დაპატიმრებით. ამ დანაშაულის შესახებ არაფერი ვიცოდით 10 წლის წინათ, როცა იგი იუნისეფის კონსულტანტად მუშაობდა. მას შემდეგ იუნისეფმა შემოიღო შტატიანი თანამშრომლებისა და კონსულტანტების გაფორმებისა და შემოწმების მკაცრი პროცედურები“.**

„ეს შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს, რა მოჩვენებითია ბევრი საერთაშორისო მოთხოვნა და ნორმა ბავშვებისა და, საერთოდ, ადამიანის უფლებათა სფეროში, — განაცხადა ანალიტიკური ცენტრის „საოჯახო პოლიტიკა. რფ“-ს პრეზიდენტმა **ალექსეი კომოვმა**, — ჩვენ დიდი ხნის წინათ მივაქციეთ ყურადღება, რომ ბევრი დებულება ეფუძნება რადიკალურ, საზოგადოებისთვის საშიშ იდეოლოგიებს, რომლებიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, არაფრისგან არის წარმოქმნილი. ეს ისტორია გვიჩვენებს, რომ სტანდარტების სისტემას აყალიბებდნენ არა აბსტრაქტული იდეოლოგები, არამედ რეალური პედოფილი და სტრუქტურები, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა“.

**გორბაჩოვმა მზის სინათლეზე გამოიტანა ნაფტალინდაყრილი ტროცკისტული თეზისი საბჭოთა კავშირში მუშაკის „გაუცხოების“ შესახებ: „ადამიანები, რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდათ საკუთრება, ძალაუფლება, მოქმედებისა და შემოქმედების უფლება, გარდაიქმნენ „ზევიდან“ გაცემული ბრძანებების პასიურ შემსრულებლებად: გეგმა, საბჭოს გადაწყვეტილება, რაიკომის მითითება და ა.შ., საქმის არსს არ ცვლის. ყველაფერი წყდებოდა „ზემოთ“, ადამიანს კი ეკისრებოდა ამ საშინელი მანქანის პასიური ჭანჭიკის როლი“.**

ხელსახლეხი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**



სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (425-432)

1991 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, **მიხეილ გორბაჩოვმა** განაცხადა: **„ჩემს საქმიანობას წინასწარ გათვლილი გეგმა განსაზღვრავდა... ყველაფრის მიუხედავად, ისტორიული ამოცანა გადავწყვიტეთ: ტოტალიტარული მონსტრი დაემხო“. ეს თქვა უმაღლესმა მმართველმა თავის სახელმწიფოზე, რომელსაც ერთგულება შეჰფიცა(?!).**

აი როგორ ესმის მას სახელმწიფოს როლის საკითხი ეკონომიკაში (მისი ეს თვალსაზრისი, როგორც ყველა სხვა, მანიპულაციურ პრინციპს ეფუძნება): „საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის განმასხვავებელი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანი მატერიალურად სრულად იყო დამოკიდებული სახელმწიფოზე, რომელიც მონოპოლიურ ეკონომიკურ მონსტრად გარდაიქმნა“.

უაზრობისა და ალოგიკურობის ნიმუშია! **სახელმწიფო, რომელსაც საკუთრება აქვს, რატომ არის „მონსტრი“?! მაშ, რატომ არ არის მონსტრი კერძო კორპორაცია „ჯენერალ ელექტრიკი“, რომლის საკუთრება უფრო მეტია, ვიდრე ზოგიერთი სახელმწიფოსი?! თუ საკუთრება სახელმწიფოსია, მაშინ რატომ უნდა იყოს ადამიანი „მატერიალურად სრულად სახელმწიფოზე დამოკიდებული“ და არა, მაგალითად, თავის შრომით საქმიანობაზე? ეს „სრული დამოკიდებულება“ რეალურად რაში გამოიხატებოდა? ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო საწარმო რით არის კერძოზე უარესი?** პირიქით, მშრომელისთვის რომ უკეთესია, ამას ადასტურებს ლოგიკაც და პრაქტიკაც.

**გორბაჩოვმა მზის სინათლეზე გამოიტანა ნაფტალინდაყრილი ტროცკისტული თეზისი საბჭოთა კავშირში მუშაკის „გაუცხოების“ შესახებ: „ადამიანები, რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდათ საკუთრება, ძალაუფლება, მოქმედებისა და შემოქმედების უფლება, გარდაიქმნენ „ზევიდან“ გაცემული ბრძანებების პასიურ შემსრულებლებად: გეგმა, საბჭოს გადაწყვეტილება, რაიკომის მითითება და ა.შ., საქმის არსს არ ცვლის. ყველაფერი წყდებოდა „ზემოთ“, ადამიანს კი ეკისრებოდა ამ საშინელი მანქანის პასიური ჭანჭიკის როლი“.**

ასეთია მანიპულატორის პრიმიტიული სქოლასტიკა, რომლის მიზანია ადამიანის გონების სიტყვების ნაკადით დათრგუნვა. ცარიელი სიტყვებია და ამაო ტვინის ჭყლეტაა მათში საღი აზრის ძებნა. იგივე ითქმის „გეგმაზე, საბჭოს გადაწყვეტილებაზე, რაიკომის მითითებაზე, შუქნიშნის სიგნალებზე“, რომლებსაც იგი კრიტიკულად ეკიდება, რადგან ეს ყველაფერი (რასაც იგი ჩამოთვლის) ჩვენი ძალისხმევისა და ცხოვრების პირობების კოორდინაციისა და შეთანხმებულობის სხვადასხვა საშუალებაა. რატომ არ უნდა დავემორჩილოთ მათ? თუ მიჰყვები მოქმედების კარგად გათვლილ გეგმას, ეს ვითომ ნიშნავს, რომ შენ „ამ საშინელი მანქანის პასიური ჭანჭიკი“ ხარ? ამ აბსურდულ დებულებას განათლებული ადამიანები ტაშს უკრავდნენ...

ასეთივე აბსურდული და მითოლოგიზებულია „ხავერდოვანი რევოლუციების“ წინამძღოლის, ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტის, **ვაცლავ ჰაველის,** მიერ წარსულის გააზრება: „ჩვენი ჰაერით სუნთქვა შეუძლებელია, ჩვენი წყლის დალევა არ შეიძლება. იბადებიან ავადმყოფი ბავშვები, რადგან მშობლები ჟანგბადის ნაცვლად გოგირდით სუნთქავენ, წყლის ნაცვლად სვამენ ქლორიან ნავთობს. ჩვენ დავანგრიეთ ან უპატრონოდ მივაგდეთ შესანიშნავი ქალაქები და სოფლები. ქვეყანა დავფარეთ კურდღლის სოროებით, რომლებშიც შეუძლებელია ცხოვრება, შეიძლება მხოლოდ დაძინება და ტელევიზორის ყურება. კვდება ჩვენი ტყეები. ათიათასობით ადამიანი მუშაობს იმისთვის, რათა უარესად იცხოვროს. უმსხვილესი მანქანათმშენებელი ქარხნები, ფულის ნაცვლად, ვალებს იღებენ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩვენი მიწა ვერაფერს შობს. ჩვენი ეკონომიკა მათ ხელშია, ვინც ამაოდ ხარჯავს ენერგიას. ჩვენი ფული ფული არ არის. ვერაფერს იყიდი შუმავლის იქით ორ კილომეტრში. საავადმყოფოების უმრავლესობა ვერ ასრულებს თავის მისიას, ათასობით ექიმი მხოლოდ შეავსებს ქაღალდებს, რომლებსაც მათ გარდა არავინ კითხულობს. მილიონობით ადამიანი უაზრო სამუშაოს ასრულებს. ჩვენი სტუდენტები ზაფხულობით ევროპაში არ მოგზაურობენ, მათ არ იციან ენები, ვერ გაიგეს, ვინ არის **შექსპირი**, რადგან მხოლოდ იმას სწავლობენ, რომ კომუნიზმი მსოფლიო ისტორიის მწვერვალია *(იხ. გაზეთი „იზვესტია“, 1990 წლის 13 აპრილი).*

წარმოიდგინეთ: „ხავერდოვან რევოლუციამდე“ ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეები, „ჟანგბადის ნაცვლად, გოგირდით სუნთქავდნენ; წყლის ნაცვლად, სვამდნენ „ქლორიან ნავთობს!“ — ეს უკვე არც მეტაფორებია, არც ჰიპერბოლები, ეს შამანის შელოცვებია... „ჩვენი სტუდენტები ზაფხულობით ევროპაში არ მოგზაურობენ, ვერ გაიგეს, ვინ არის შექსპირი!“ რა დონემდე უნდა დაეკნინებინათ მასობრივი აზროვნება, რომ ადამიანებს ეს ყველაფერი დაეჯერებინათ?..

რატომაა მითი ასეთი ეფექტიანი აზროვნების მანიპულაციისას? — მითი რეალობის **ინტერპრეტაციას** ახდენს და ქმნის წესრიგის ილუზიას. მითი პოლიტტექნოლოგების ლაბორატორიებში იქმნება. აშშ-ში პროპაგანდის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი **გ. ლასუელი** ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „პოლიტიკური მითი არის კომპლექსი იდეებისა, რომლებსაც მასები ჭეშმარიტებად აღიქვამენ, მიუხედავად იმისა, მართლა ჭეშმარიტებას წარმოგვიდგენს თუ ცრუ და ყალბია“.

პოლიტიკური მითის კონსტრუირებისას პოლიტტექნოლოგები ქმნიან, როგორც „სიკეთის ხატს“, ასევე მის მოწინააღმდეგეს — „ბოროტების იმპერიის“ სახეს. მაგალითად, **რეიგანის პერიოდის აშშ-ის პროპაგანდაში საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ, არამედ, როგორც ბოროტების განსახიერება, როგორც კაცობრიობის მტერი, რომელსაც წმინდა ომი უნდა გამოუცხადონ. ამერიკელმა ობივატელმა ეს აღიქვა, როგორც მსოფლიოს მოწესრიგების საშუალება, და მოეხსნა გაურკვევლობის სტრესი. ამას მოჰყვა ამერიკელი ობივატელის დონეზე ევროპელების აზროვნების გადაყვანა.**

პროექტის მითით ჩანაცვლების ტექნიკა ეფექტიანად გამოიყენეს ბოლო წლების „ხავერდოვანი რევოლუციების“ დროს. მაგალითად, უკრაინაში გამოიყენეს **კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლის მითი.** იუშჩენკო წარმოადგინეს, როგორც კეთილი ძალა („რეჟიმთან მებრძოლი“); იანუკოვიჩი, როგორც ბოროტი ძალა („კუჩმას რეჟიმისა და მოსკოვის მიერ ხელდასმული“).

ნუ შევუდგებით ამ კონსტრუქციის ყოველმხრივ ანალიზს და განვიხილოთ მხოლოდ „რეჟიმთან მებრძოლის“ მითი. უკრაინელი მიმომხილველი წერს: **„იუშჩენკოს** პოლიტიკური პროგრამა და რიტორიკა ეკლექტიკურია. იუშჩენკო, როგორც **კუჩმა** და **იანუკოვიჩი, სააკაშვილი** და **პუტინი**, ასევე — **ლუკაშენკო**, არც მემარჯვენეა, არც მემარცხენე, არც ლიბერალია, არც კონსერვატორი, არც ფაშისტი და არც სოციალ-დემოკრატი. ამომრჩევლებს მან უგემურად მოხარშული ლიბერალური და სოციალისტური იდეების, პროვინციული უკრაინული ნაციონალიზმისა და პროვინციული მედასავლეთეობის ნაზავი შესთავაზა, მაგრამ მთავარი კომპონენტი მაინც პროტესტი იყო. პროტესტი არაპოპულარული, დანაწევრებული, უგერგილო და ამიტომ სუსტი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც კარგ სამიზნედ იქცა.

იუშჩენკოსა და მისი გუნდის უეჭველ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ მოწინააღმდეგისთვის საკუთარი დღის წესრიგის თავს მოხვევა, იგულისხმება კამპანია „ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ“. ნებისმიერი სხვა დღის წესრიგის შემთხვევაში იუშჩენკო აუცილებლად წააგებდა უკრაინელების სიმპათიის მოსაპოვებელ ბრძოლას. იგულისხმება: „პრორუსული კანდიდატი პროდასავლურის წინააღმდეგ“ და „აღმოსავლეთის კანდიდატი დასავლეთის (უკრაინის) კანდიდატის წინააღმდეგ“; „მრეწველთა კანდიდატი სპეკულანტების კანდიდატის წინააღმდეგ“ და ა.შ. ეროვნული ბანკის მმართველობის ყოფილმა თავმჯდომარემ და ყოფილმა პრემიერმინისტრმა ხალხს ოპოზიციონერად მიასაღა თავი, ისე, რომ ბრბოს ეჭვის ნატამალიც არ გასჩენია პრეზიდენტად მისი არჩევის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური შედეგების მიმართ. ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა წარმატების მისაღწევად.

დასასრულ, თითქოს საიმისოდ, რომ უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია“ წარმოჩენილიყო, როგორც აზროვნების მანიპულაციის ქრესტომატიული მაგალითი, მასობრივი აზროვნება აღაგზნეს სენსაციით იუშჩენკოს მოწამვლის შესახებ.

**(გაგრძელება მომდევნო ნომერში)**



„ნარინჯისფერი რევოლუცია“ კიევში

**რეიგანის პერიოდის აშშ-ის პროპაგანდაში საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ, არამედ, როგორც ბოროტების განსახიერება, როგორც კაცობრიობის მტერი, რომელსაც წმინდა ომი უნდა გამოუცხადონ. ამერიკელმა ობივატელმა ეს აღიქვა, როგორც მსოფლიოს მოწესრიგების საშუალება, და მოეხსნა გაურკვევლობის სტრესი. ამას მოჰყვა ამერიკელი ობივატელის დონეზე ევროპელების აზროვნების გადაყვანა**



ანუ „ღირსების რევოლუცია“ ნეზალეჟნიას მოედანზე

მსოფლიო საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე“.**

# რა ძალები აღუდგნენ წინ სახელმწიფოს შექმნას საქართველოში?



## ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისი გამართლდა

1992 წელს სანკტ-პეტერბურგში „ნაროდნაია პრავდამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიასთან.**

**რატომ ებრძვის ოფიციალური დასავლეთი ყველგან ეროვნულ მოძრაობას; რატომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებასა და ომების პროვოცირებას; რას მოუტონს კაცობრიობას სახელმწიფოების დამოუკიდებლობის განადგურება, ქვეყნების მოსახლეობის გენოციდი და მთელი პლანეტის საბოლოო დამორჩილება... — ამ და სხვა მსგავს საკითხებზე ექსპრეზიდენტის მოსაზრება განვლილმა წლებმა სრულიად დაასაბუთა და საქართველო, და არა მხოლოდ საქართველო, დააყენა რეალური საშიშროების წინაშე, რაც გამოიხატა „სტრატეგიული მოკავშირის“ მიერ ამა თუ იმ „პარტნიორ“ ქვეყანაში „წესრიგის დამყარების“ შედეგად ქვეყნის სათავეში ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის დანიშვნაში.**

**„როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარღვევას“ და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან, მაგრამ, როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინებად შეაფასა. იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას“, — ვკითხულობთ ინტერვიუს ანოტაციაში.**

— მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში, კარგა ხანია, განუდგნენ დემოკრატიას. **დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და, თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, უბრალოდ, ამხობენ მას.** ასეთ შემთხვევაში მათთვის არ აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული. **ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.**

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ, შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

**— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოების საშინაო საქმეებში?**

— კაცობრიობის მტრებს — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს, პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, **სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯ. ბეიკერის უშუალო მონაწილეობითა და ბუშის ლოცვა-კურთხევით.**

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. **სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მა მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.**

**— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?**

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.**

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენ მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს. ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან **ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით.** ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსლიმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

**ძალები, რომლებსაც ეკისრებათ მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ, უბრალოდ, ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი.** ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მქონე ხალხი. **დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემს საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით.** ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ მოხსენიებული იქნა კავკასია და იუგოსლავია.

**— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნულ ინტერესებზე. რა მიგაჩნიათ ეროვნული სახელმწიფოს აშენების უმთავრეს პირობად?**

— პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან, რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დასარღვევად. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

**— რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?**

— **სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არ აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებს და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა.** დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად, **დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტს მათ კავშირს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებს მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.**

**— რა ძალები აღუდგნენ წინ სახელმწიფოს შექმნას საქართველოში?**

— საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც, ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები, მზად არიან, ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდებისა. სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ ▶

**ასეთი ხასიათის პროპაგანდა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქადაგება და ამ იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო „ივერიისათვის“ და, პირველ რიგში, მისი რედაქტორისთვის. „ივერია“ სათავეში ედგა ყოველგვარ საქველმოქმედო საქმიანობას, ხედავდა რა მასში ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ საშუალებას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

**— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?**

— ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, **კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათა შორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.** წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისთვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის, ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და, ბოლოს და ბოლოს, მოახდინოს მისი ოკუპაცია, მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. საკმარისია, რუსეთმა ცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისგან.

**— ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?**

— ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. **მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავსმოხვეული.**

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე.

**იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების, პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერების. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულსკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული, მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე.**

**მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისგან.**

„ნაროდნაია პრავდა“
1992 წ. სანქტ-პეტერბურგი

წყარო:
http://mamuli.net/sinatle

# ხალხთა ურთიერთობაში «ივერიის» მიერ გაბნეული «კეთილი ნერგი»

**დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მონდომებით, მისთვის ჩვეული გულისყურით ადევნებდა თვალს კავკასიელი ხალხების ცხოვრებას გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მეტად დაინტერესებული იყო აფხაზეთით, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობით, მათი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. სწორადაა აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ი. ჭავჭავაძე უბრწყინვალესი ქართველი სოციოლოგია, რომელმაც საზოგადოებრივი კანონზომიერების ღრმა ჩაწვდომის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა“. მისი ინტერესი აფხაზეთისა და აფხაზებისადმი, ამ მოძმე ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ადათწესების, სარწმუნოების, ზეპირსიტყვიერებისა და ტრადიციებისადმი გაიზარდა მას შემდეგ, რაც საკუთარი პერიოდული ორგანო „ივერია“ დააარსა (1877 წ.).**



დიმიტრი მარღანია — აფხაზი სასულიერო მოღვაწე და პედაგოგი, ოჩამჩირელი დეკანოზი, აფხაზური ანბანის შემქმნელი (ლათინური ანბანის საფუძველზე), „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად პირველი მთარგმნელი

## წერილი I

„ივერია“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ალვივებდა ძმობასა და მეგობრობას, ურთიერთგაგებასა და პატივისცემას, ეროვნული თვითშეგნების აუცილებლობას ისტორიულად ნაწამებ ძმურ ხალხებს შორის, რომელთა გათიშვასა და განკერძოებას ბევრი გულმოდგინედ ცდილობდა. ხალხთა ურთიერთობაში „ივერიის“ მიერ გაბნეულ „კეთილის ნერგს“ ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა.

ასეთი ხასიათის პროპაგანდა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქადაგება და ამ იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო „ივერიისათვის“ და, პირველ რიგში, მისი რედაქტორისთვის.

„ივერია“ სათავეში ედგა ყოველგვარ საქველმოქმედო საქმიანობას, ხედავდა რა მასში ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ საშუალებას.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და ფხიზლად ადევნებდა თვალს ახალგაზრდა აფხაზი ინტელიგენციის საქმიანობას. იგი ყველა შესაძლებელ შემთხვევაში მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას მისი მოღვაწეობის შესახებ. „ივერიაში“ ქვეყნდებოდა მდიდარი მასალა აფხაზი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

იმ პერიოდის ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე იყო ოჩამჩირის ბლაღოჩინი **დიმიტრი მარღანია**, რომელსაც თავისი ერისა და ხალხთა ურთიერთობის სასიკეთოდ ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. ქართველ მკითხველს მისი თავი, როგორც საზოგადო მოღვაწისა, პირველად „ივერიამ“ გააცნო. გაზეთის კორესპონდენტი აფხაზეთიდან ნიკო ჯანაშია წერდა:

**„აქ (ოჩამჩირეში. — ო.ჭ.) ახლა გადმოიყვანეს ბლაღოჩინად მამა დიმიტრი მარღანია. მამა დიმიტრი მარღანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის“.**

ეს იყო ახალგაზრდა აფხაზი მოღვაწის შრომის არა მარტო დაფასება, არამედ მისი ერთგვარი წახალისებაც, მის შესახებ ავტორიტეტული საზოგადოებრივი აზრის შექმნაც.

ილია ჭავჭავაძის დაულალავი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთის ცხოვრება, აფხაზი ხალხის ყოფა, მისი კულტურა და ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარება. **„ივერიას“ არაერთგზის აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ სოხუმს, ისე როგორც რუსეთის ბევრ სხვა ქალაქს, მისცემოდა თვითმმართველობა. ეს კი ქალაქისა და საერთოდ აფხაზეთის განვითარების ახალი და შედარებით თავისუფალი გზა იქნებოდა, რომელიც შეზღუდავდა მეფის მთავრობის მსახურთა ძალმომრეობასა და აღვირახსნილობას**. მაგალითად, „ივერია“ ერთ-ერთ თავის ნომერში წერდა:

ასეთმა დაჟინებულმა მოთხოვნებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და 1899 წლიდან ქალაქს თვითმმართველობის არჩევის უფლება მისცეს.

ი. ჭავჭავაძე აქაც საქმის კურსში იყო. იგი სოხუმელ მკვიდრთ აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებას, ზოგჯერ კი მათ მიერ დასახელებული ქალაქისთვის კანდიდატურაზე საკუთარ აზრსა და შეხედულებასაც სთავაზობდა საჭიროებისამებრ. ასე მოხდა, მაგალითად, 1890-იანი წლების დასასრულს, როდესაც სოხუმის თვითმმართველობაში მეტად გამწვავდა მდგომარეობა და საჭირო შეიქნა ისეთი კანდიდატურის მოძებნა ქალაქის მოურავად, რომელიც იქნებოდა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, განათლებული, კულტურული, თანაბარი ძალით დაიცავდა ყველა მშრომელის, ყველა ხალხის უფლებას, მიუხედავად მათი ეროვნული და სოციალური წარმოშობისა და რელიგიისა.

აი, აქ აუცილებელი გახდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების — **ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ხახანაშვილისა** და **ვასილ პეტრიაშვილის** აზრის გათვალისწინება.

**1899 წელს სოხუმში პირველად იქნა შემოღებული ქალაქის თვითმმართველობა.** ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, სადაც უმრავლესობა ქართველები და აფხაზები იყვნენ, გადაწყვიტეს, ქალაქის თავად აერჩიათ გამოცდილი და უმწიკვლო ადამიანი, ცნობილი ლიტერატორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე **ალექსანდრე სარაჯიშვილი.** თ. სახოკია მას ასე ახასიათებდა: „კაცი დიდხანს ნამსახური სხვადასხვა სახელმწიფო პასუხსაგებ პოსტებზე. დამსახურებული ჰქონდა სრული ნდობა მთავრობის თვალში, ამასთან ცნობილი იყო, როგორც ქართველი თვალსაჩინო ლიტერატორი, საზღვარგარეთ განათლება მიღებული, ადამიანი უმწიკვლო პატიოსნებისა და თავის სამშობლოს კეთილდღეობის იდეით გამსჭვალული“.



ალექსანდრე სარაჯიშვილი

**ამ საკითხზე სოხუმელმა ქართველმა მოღვაწეებმა, ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა წერილები გაუგზავნეს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს და სთხოვეს რჩევა-დარიგება. ასე გაიბა მიმოწერა ი. ჭავჭავაძესთან, ნ. ნიკოლაძესთან, ი. გოგებაშვილთან, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. პეტრიაშვილთან და მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორ ალ. ხახანაშვილთან.**

„ვისაც შევატყობინეთ ჩვენი გაჭირვება, — წერდა თედო სახოკია, — ყველამ გამოგვიგზავნა პასუხი და გამოსთქვა თავისი დადებითი აზრი ალ. სარაჯიშვილის შესახებ“.

სოხუმელმა ქართველმა და აფხაზმა ხმოსნებმა ილია ჭავჭავაძისადმი წერილის მიწერა დაავალეს პედაგოგ **ანთიმოზ ჯუღელს**, რომელმაც ილიას ასეთი შინაარსის ბარათი გაუგზავნა:

„თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა ინება და როგორც იყო თვითმმართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებათ უმეტესობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კაცი არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ გვსურს თავად გვყავდეს კარგი როგორც ჭკუა-გონებით, ისე მოქმედებით მხნე და გამოცდილი კაცი. ამას აქ ბევრი საქმე ექნება. ბევრის თათბირის შემდეგ ჩვენ, აქაური ქართველობა, შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურობს და გადავწყვიტეთ დაგეკითხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ, რამდენად სასარგებლო იქნება იგი ჩვენთვის“.

ამ დოკუმენტს თარიღად უზის 1899 წლის 22 აპრილი.

ილია ჭავჭავაძემ ორ დღეში გასცა პასუხი. აი, ისიც:

„დიდად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ ივანისავ!

**მადლობელი ვარ, რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰთხოულობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი... თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა, მე წინადვე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველებისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერის კაცისათვის მიგიგნიათ“.**

სოხუმელებმა ასევე დადებითი პასუხი მიიღეს სხვებისაგანაც. ალ. სარაჯიშვილს ყველა ახასიათებდა, როგორც მეცნიერს, პატიოსანს, კეთილშობილს, საქმიანს და ინტერნაციონალისტ მოღვაწეს. მათ შორის **იაკობ გოგებაშვილი** იტყობინებოდა:

**„უკეთეს კანდიდატს ვერ იშოვით ვერც ქართველები და ვერც რუსები. კაცს უსწავლია საქართველოში, რუსეთში, ევროპაში. სწორედ რომ განათლებული ქართველია, გარდა ქართულისა და რუსულისა, ევროპული ენებიც იცის. ჩვენს ლიტერატურაში უღვაწნია და ეხლაც მოღვაწეობს... ამასთან, ძლიერ პატიოსანი და მშრომელი კაცია.**

**რუსები, როცა გაიცნობენ, მადლობას გეტყვიან ქართველებს, რომ ამისთანა კაცი მოგინახავთ. სისხლითაც ენათესავება რუსებს. დედა რუსი ჰყავს და ცოლადაც რუსის ქალი შეურთავს, რაც მას სრულიად არ უშლის ქართველი მამულიშვილი იყოს, თუმცა ლობიოს პატრიოტობას კი, რასაკვირველია, მოშორებულია“.**

სოხუმის ქალაქისთავად ორი კანდიდატურა იქნა დასახელებული — **ალ. სარაჯიშვილი** და **ბერენსი.** ფარული არჩევნების შედეგად პირველმა მიიღო 24 დადებითი და 8 უარყოფითი ხმა, ხოლო მეორემ — 24 უარყოფითი და 8 დადებითი ხმა. მიუხედავად ამისა, ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა კენჭის ყრის შედეგები. „თავისი გაიტანა უსამართლობამ და ტლანქმა ძალამ“, — წერდა ამ უკანონობის შესახებ თედო სახოკია.

გუბერნატორმა, წინააღმდეგ ყოველივე წესდებულებისა, სოხუმის მოურავად დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ გაშავებული **ბერენსი.**

მსგავსადვე მოუვიდა თედო სახოკიას. „ივერიაში“ ვკითხულობთ:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული თ. სახოკია გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე“.

მომზადდა
**ოთარ ჭურღულიას**
**წიგნის „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ მიხედვით**

# იტალიამ ევროკავშირთან დაპირისპირების კურსი აიღო




**იტალიაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტია „ლიგამ“ (ყოფილი „ჩრდილოეთის ლიგა“) და „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობამ“ განაცხადეს, რომ მზად არიან, შექმნან კოალიციური მთავრობა, — იუწყება Deutsche Wirts Nachrichten.**

მაგრამ, რადგან ხმების დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ დააგროვა ხმების უმრავლესობა, ეს პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს, — აღნიშნავს იგივე გამოცემა. „ლიგის“ ხელმძღვანელი **მატეო სალვინიმ** გამარჯვება მიულოცა მემარჯვენე ცენტრისტების ბლოკს, რომელშიც გაერთიანებულია იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრის — **სილვიო ბერლუსკონის** პარტიაც „წინ, იტალია!“.

„ჩვენ ევროპას ვუჭერთ მხარს, მაგრამ სხვა ევროპას“, — განმარტა სალვინიმ და ევროს ძირმომპალი ვალუტა უწოდა.

პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ არჩევნებში იტალიელების დაახლოებით ნახევარმა ხმა ევროსკეპტიკურ პარტიებს მისცა. სტატიის ავტორი ამას უკავშირებს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, მიგრაციის პრობლემების გართულებასა და ფინანსური კრიზისის შედეგებს.

ჯერ კიდევ 2017 წლის მაისში გაცხადდა, რომ იტალიაში დამოკიდებულება იცვლება. ჯერ კიდევ მაშინ გამოკითხულ იტალიელთა 46-მა პროცენტმა განაცხადა, რომ არ მიაჩნიათ თავი ევროკავშირის მოქალაქეებად. მათი აზრით, არჩევნები სერიოზულ გავლენას იქონიებს დისკუსიაზე ევროპაში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ.

იტალიის ეკონომიკა სიდიდით მესამეა ევროზონაში, მაგრამ, საფრანგეთისგან და გერმანიისგან განსხვავებით, მის ინტერესებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. იტალიელები მიიჩნევენ, რომ მათ „უღალატეს“, — წერს გამოცემა. ბერლინმა და პარიზმა დაგეგმეს ევროკავშირის განვითარების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ამ კავშირის ბიუჯეტის გაზრდასაც ითვალისწინებს, მაგრამ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპაში ამ პროგრამას დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებიან. ნიდერლანდების პრემიერმინისტრმა **მარკ რიუტემ** ბერლინში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ არ სურს, კვლავაც უხადოს ფული ბრიუსელს. მსგავს პოზიციაზე დგას ავსტრიის კანცლერი **სებასტიან კურციც.**

„ახლოვდება ქარიშხალი“, — აფრთხილებენ თანამოქალაქეებს გერმანელი ექსპერტები. ფაქტობრივად, იტალიის ყველა პარტია წინასაარჩევნოდ დაჰპირდა ხალხს, რომ შეამცირებს გადასახადებს, რაც უეჭველად გაართულებს ურთიერთობას ევროკავშირთან. ბრიუსელს ერთდროულად გადასაწყვეტი ექნება ბრექსიტის, მიგრაციის პოლიტიკით უკმაყოფილო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წამოჭრილი პრობლემები, ამას ემატება იტალია, რომელიც, როგორც ჩანს, ევროინტეგრაციის მომხრეთა ბანაკიდან მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგდება.



# თურქეთმა ნატოს უღალატა?

**ნატოელები რუსულმა რაკეტებმა დააფრთხო, კერძოდ, „C-400“ რაკეტების თურქეთში განლაგებამ, რომლებიც ამ ქვეყანამ შეიძინა, — იუწყება Breaking Defence, ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პეტრე პაველის განცხადებაზე დაყრდნობით.**

ამ მაღალჩინოსანს მიაჩნია, რომ „C-400“ ნატოს ტექნოლოგიებთან შეუთავსებელია, ამიტომ რუსულ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს თურქეთი, ალიანსის ეს წევრი ქვეყანა, გამოიყენებს, როგორ ცალკეულ ერთეულებს, რომლებიც საერთო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში არ იქნება ინტეგრირებული.

პაველი შიშობს, რომ თურქეთში საკონსულტაციოდ და „C-400“-ის საექსპლუატაციოდ მივლინებული რუსი სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება დაზვერვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება უეჭველად გამოიყენებს. 2017 წლის 29 დეკემბერს რუსეთმა და თურქეთმა ანკარაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „C-400“-ის ორი ბატარეის გაყიდვა-შეძენის შესახებ, რომელიც ტექნოლოგიურ თანამშრომლობასაც ითვალისწინებს.

**ცნობისთვის:** აღნიშნული კომპლექსებით რუსეთის არმია 2007 წლიდან არის შეიარაღებული.




# ფლორიდაში მასწავლებლებს იარაღის ტარების ნება დართეს

**ფლორიდის პარლამენტმა უმნიშვნელო უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი, რომლითაც მასწავლებლებს ნება დართეს, ატარონ იარაღი შტატის სკოლებში.**

კანონი ითვალისწინებს 21 წელს მიღწეული მოქალაქისთვის იარაღის ტარების უფლების მიცემას. მანამდე ეს უფლება 18 წელს მიღწეულებს ჰქონდათ. გარკვეულად იზღუდება შეტევითი იარაღის გაყიდვა, იზრდება შეიარაღებული მცველების რაოდენობა სასწავლო დაწესებულებებში.

კანონპროექტს ხმა მისცა 67-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი გამოვიდა 50. მანამდე, ანუ 5 მარტს, კანონპროექტი მიიღო შტატის სენატმა, რომელმაც ერთი შესწორება შეიტანა: პედაგოგებმა პოლიციაში უფასოდ უნდა გაიარონ იარაღის ხმარების სპეციალური კურსები. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს გუბერნატორი **რიკ სკოტი.** მან განაცხადა, რომ ყურადღებით შეისწავლის კანონპროექტის ტექსტს და მოეთათბირება დაღუპული ბავშვების მშობლებს.

# პენტაგონმა აღიარა, რომ ვერ გაუმკლავდება რუსეთისა და ჩინეთის სტრატეგიულ ძალებს



**გასულ ოთხშაბათს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯონ რუდმა, განაცხადა, რომ მოწინააღმდეგის სტრატეგიული ძალები ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო ძალებს ვერ შეაჩერებს.**

შეიარაღებული ძალების კომიტეტის წევრმა სენატორებმა რუდს ჰკითხეს, შეძლებს თუ არა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, წინ აღუდგეს რუსეთის უახლეს შეიარაღებას, რომლის შესახებაც ვლადიმერ პუტინმა ისაუბრა ფედერალური კრებისადმი მიმართვაში 2018 წლის 1 მარტს. რუდმა უპასუხა, რომ სისტემა ამისთვის არ არის მოწოდებული: „აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა იმ სახით, როგორითაც შეიქმნა და დღეს მოქმედებს, ვერ მოერევა რუსეთის ან ჩინეთის სტრატეგიულ ბირთვულ არსენალს.

პარლამენტარების წინაშე გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს შეემატა 80 ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, წყალქვეშა ნავების 102 ბალისტიკური რაკეტა და სტრატეგიული დანიშნულების სამი წყალქვეშა კრეისერი „ბორეი“. მან თქვა, რომ რუსეთმა დაიწყო საგანგებო სტრატეგიული დანიშნულების შეიარაღების შემუშავება, რომელიც არ გამოიყენებს ფრენის ბალისტიკურ ტრაექტორიას და ამიტომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისთვის მიუწვდომელია.

# აშშ-ის დაზვერვის აზრით, ანტირუსული სანქციები უსარგებლოა

**რუსეთმა თავი გაართვა დაკისრებულ სანქციებს, — ნათქვამია აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორ დენიელ ქოუტსის მოხსენებაში, რომელიც მან აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტს წარუდგინა.**

ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კრემლი კვლავაც ცდილობს დასავლეთის ქვეყნების ერთსულოვნების დარღვევას სანქციების პოლიტიკისა და უკრაინისადმი დამოკიდებულების საკითხებში.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი ცდილობს, შეასუსტოს აშშ-ის პარტნიორული ურთიერთობები ევროპელ მოკავშირეებთან, წაახალისებს ანტიამერიკულ პოლიტიკურ შეხედულებებს და ნერგავს უნდობლობას დემოკრატიული პროცესების მიმართ, რომლებსაც მხარს უჭერს ვაშინგტონი. ამ საქმიანობისთვის რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს „გავლენის ოპერაცია“, რადგან ასეთი რეაქცია შექმნილ მდგომარეობაში ძვირი არ ჯდება, და ამ გზით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების მოსახლეობაზე.



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894